171
1967

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა

# კრებული

# СБОРНИК

## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

*Министерства просвещения Грузинской ССР*

**1**

იანვარი

თბილისი — 1967

ედაქტორი უშ. ობოლაძე
ორექტორი ე. აგლაძე

ფასი 10 კაპ.

ა...დად 15.III-67 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5. ქაღალდის ზომ
60×84. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 7,5.

შეკ 77 უე—07547. ტირაჟი 5000.

თბილისის სტამბა № 11, უშ. ჩხეიძის ქ., 19.
Тбилисская типография № 11, ул. Уш. Чхеидзе, № 19.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმისა

1966 წლის 14 ოქტომბერი

**საქართველოს სსრ მოსწავლეთა XVIII რესპუბლიკური სპარტაკიადისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების მოსწავლეთა მეგობრულ თამაშებში საქართველოს ნაკრები გუნდების მონაწილეობის შედეგების შესახებ**

საქართველოს სსრ მოსწავლეთა XVIII რესპუბლიკურმა სპარტაკიადამ, რომელიც ჩატარდა 1966 წლის 1-დან 22 ივნისამდე ქ. ქ. თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ცხინვალში, ჭიათურასა და რუსთავში, გამოავლინა მოსწავლეთა შორის სპორტული მუშაობის ერთგვარი გაუმჯობესება.

შინასასკოლო, სარაიონო და ზონალურ შეჯიბრებებზე სპორტის 20 სახეში მონაწილეობდა 300 ათასზე მეტი მოსწავლე, რომელთაგანაც სპარტაკიადის ფინალურ ნაწილში მონაწილეობის უფლება მოიპოვა 2957 მოსწავლემ.

გასულ წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა სპარტაკიადაში მონაწილე რაიონებისა და გუნდების რაოდენობა.

ფინალური შეჯიბრების დროს ნაჩვენები იქნა სპორტის ოსტატის 6, სპორტის ოსტატობის კანდიდატის 12, პირველი თანრიგის 78, მეორე—368, მესამე—415 და 495 მოზარდთა პირველი თანრიგის შედეგი.

მძლეოსნობაში სპარტაკიადაზე დამყარებული იყო 4 რეკორდი, ნაცვლად ერთისა გასულ წელს, სპორტის ოსტატის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა ორმა მოსწავლემ, პირველი თანრიგისა—11 მოსწავლემ.

F-3187
რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომზადებული გუნდები გამოიყვანეს სპორტულ ტანვარჯიშში თბილისის, ქუთაისის, ცხინვალის (ჭაბუკების), ზუგდიდის, გორისა და ფოთის (გოგონები) სპორტულმა სკოლებმა; ხელბურთში—ქუთაისის (გოგონები), კალათბურთში თბილისის, ქუთაისის (ჭაბუკების გუნდი), აფხაზეთის ასსრ (გოგონები), ფრენბურთში—თბილისისა და აფხაზეთის ასსრ სპორტულმა სკოლებმა.

სპორტულ-ტექნიკური შედეგების მიხედვით სპარტაკიადაზე პირველი ჯგუფის კოლექტივებს შორის პირველ ადგილზე გამოვიდა ქ. თბილისის მოსწავლეთა კოლექტივი 29 საჯარიმო ქულით, მეორე ადგილზე ქ. ქუთაისის მოსწავლეთა კოლექტივი 71 საჯარიმო ქულით, მესამეზე—აფხაზეთის ასსრ ნაკრები კოლექტივი 75 საჯარიმო ქულით, მეოთხეზე აჭარის ასსრ და მეხუთე ადგილზე სამხ. ოსეთის ავტ. ოლქის მოსწავლეთა კოლექტივი.

მეორე ჯგუფის ქალაქებისა და რაიონების კოლექტივებს შორის პირველ ადგილზე გამოვიდა ქ. ფოთის, მეორეზე—ქ. რუსთავისა და მესამეზე ქ. გორის კოლექტივები.

ჩატარებული სპარტაკიადის შედეგად სპორტის ყველა სახეობაში დაკომპლექტდა ნაკრები გუნდები, რომლებიც გადაყვანილ იქნენ სასწავლო-საწვრთნელ შეკრებაზე ამიერკავკასიის რესპუბლიკების მოსწავლეთა მეგობრულ თამაშებში მონაწილეობისათვის.

სპარტაკიადის ჯეროვან სიმაღლეზე ჩატარებას ხელი შეუწყო მსაჯთა კოლეგიებისა და განათლების სამინისტროს მიერ მიმაგრებული მუშაკების გეგმიანმა და ოპერატიულმა მუშაობამ.

სპარტაკიადის მონაწილეებს კარგი მომსახურება გაუწიეს სამედიცინო პერსონალმა, ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის, ცხინვალის, რუსთავის სკოლა-ინტერნატების ხელმძღვანელობამ, საერთო საცხოვრებლებზე და სასადილოებზე მიმაგრებულმა პედაგოგებმა და თბილისის № 1 ავტოსატრანსპორტო კანტორის მუშაკებმა.

დამაკმაყოფილებელი შედეგებით გამოვიდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკების მეგობრულ თამაშებზე საქართველოს მოსწავლეთა გოგონებისა და ჭაბუკების ნაკრები გუნდები, სადაც პირველი ადგილები დაიკავეს სპორტულ ტანვარჯიშში, ფარიკაობაში, ნიჩბოსნობაში, წყალში ხტომაში, ჩოგბურთში, ჭადრაკში; ჭაბუკების გუნდებმა თავისუფალ ჭიდაობაში, სროლაში, კრივში, ფეხბურთში, გოგონების გუნდებმა ხელბურთსა და კალათბურთში.

ამასთან ერთად მოსწავლეთა XVIII რესპუბლიკურმა სპარტაკიადამ და ამიერკავკასიის რესპუბლიკების მოსწავლეთა მეგობრულმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშებმა მოსწავლეთა შორის სპორტულ მუშაობაში გამოავლინა მთელი რიგი ნაკლოვანებები. სპორტის ცალკეულ სახეობებში გუნდების სპორტულ-ტექნიკური მომზადების დონე დაბალი აღმოჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ მ/წელს რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე მონაწილეთა რაოდენობა მძლეოსნობაში გაცილებით მეტი იყო, ვიდრე გასულ წელს, დაბალი სპორტული მაჩვენებლების გამო სპარტაკიადაზე მონაწილეობის უფლება ვერ მოიპოვა რესპუბლიკის 24 რაიონმა (ამბროლაური, ასპინძა, ახალქალაქი, ბოგდანოვკა, ტყიბული, ორჯონიკიძე, საჩხერე, თერჯოლა, თეთრიწყარო, ბოლნისი, ბორჯომი, ვანი. გეგეჭკორი, გურჯაანი, დმანისი, ყაზბეგი, ყვარელი, ლაგოდეხი, მაიაკოვსკი, თიანეთი, ცაგერი, ცხაკაია, წყალტუბო, ჩოხატაური), ხოლო იმ რაიონების მნიშვნელოვანმა ნაწილმა, რომლებიც დაშვებულნი იყვნენ სპარტაკიადაზე, ვერ გამოავლინეს საჭირო სპორტული მომზადება და ვერ აჩვენეს სათანადო სპორტული შედეგები (კასპი, მცხეთა, ჭიათურა, ზუგდიდი, აბაშა, საგარეჯო, წულუკიძე, ახალციხე, წალენჯიხა, თელავი, წითელწყარო, წალკა, ლენტეხი, ქარელი, გარდაბანი, ონი და სხვ.).

სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ მძლეოსნობის 31 სახეობიდან, მხოლოდ 2 სახეობაში იქნა ნაჩვენები პირველი, 8 სახეობაში მეორე და 20 სახეობაში მესამე თანრიგის შედეგი.

ხელბურთში რესპუბლიკის სპარტაკიადაზე მონაწილე რაიონების და ქალაქების გუნდები მოუმზადებელი აღმოჩნდნენ, რის გამო, გოგონათა და ჭაბუკთა რესპუბლიკური ნაკრები გუნდები სუსტი მონაწილეებით იყო დაკომპლექტებული. ანალოგიური მდგომარეობა იყო ფრენბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, წყალბურთში და კლასიკურ ჭიდაობაში.

მაგიდის ჩოგბურთში მოუმზადებელი აღმოჩნდნენ გურჯაანის ჭაბუკთა და გოგონათა, კალათბურთში—ონის, ბორჯომის, სიღნაღის, წალენჯიხის, ყვარლის, საჩხერის ჭაბუკთა და აბაშის, ფოთის, ახალქალაქის, საგარეჯოს, მარნეულის გოგონათა გუნდები.

ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი ფრენბურთში, რომელშიც რაიონების საგრძნობმა ნაწილმა სათანადოდ ვერ მოამზადეს გუნდები. კოლექტივებს შორის სპარტაკიადის საერთო ჩათვლაში დაბალი მაჩვენებლები მოიპოვეს I ჯგუფიდან სამხ. ოსეთის ავტონომიური ოლქის, მეორე ჯგუფიდან საგარეჯოს, კასპის, ცხაკაიას და მახარაძის რაიონების ნაკრებმა კოლექტივებმა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო ახალქალაქის, ბორჯომის, გურჯაანის, ყვარლის, ლაგოდეხის, მცხეთის, ონის, საჩხერის, სიღნაღის, წულუკიძის, წყალტუბოს, ტყიბულის რაიონებმა ვერ შეძლეს დებულებით დადგენილი გუნდების გამოყვანა (რის გამოც მათთვის სპარტაკიადის საერთო ჩათვლაში, ადგილები არ იქნა გამოყვანილი).

ამიერკავკასიის რესპუბლიკების მოსწავლეთა თამაშებზე ხელბურთში, წყალბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში მხოლოდ მეორე ადგილზე გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები, ხოლო ფრენბურთში, კალათბურთში (ჭაბუკთა გუნდები) და კლასიკურ ჭიდაობაში—მესამე ადგილზე

სპარტაკიადაზე ცალკეული შეჯიბრებების ჩ:ტარების დროს ადგილი ჰქონდა დისციპლინის დარღვევისა და ასაკგადაცილებული მონაწილეების ·გამოყვანის ფაქტებს. ასე, მაგალითად: ჩოგბურთში—საშეჯიბრო დისციპლინის დარღვევის გამო თბილისელ მოსწავლეებს თ. ქვირიასა და ო. ცხვირაშვილს, მსაჯთა კოლეგიის მიერ გამოეცხადათ სასტიკი საყვედური. ფეხბურთში კალენდარული შეხვედრების ჩატარების დროს მსაჯსაც და მოწინააღმდეგე გუნდის მწვრთნელთან შეკამათებისათვის ხობის რაიონის მოსწავლე გ. აბრამია, ჩოხატაურის რაიონის მოსწავლე ი. მინდაძე გაძევებული იქნენ მოედნიდან. მეორე ჯგუფის გუნდებს შორის ფინალური შეხვედრების ჩატარებისას მოწინააღმდეგე გუნდის წევრისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის გამო მსაჯმა გააძევა მოედნიდან გორელი მოსწავლე ვ. კოზინი.

თავისუფალ ჭიდაობაში შეჯიბრებიდან მოიხსნა სამხ. ოსეთის ავტ. ოლქის ორი ასაკგადაცილებული მოსწავლე პ. ვალიევი და ვ. ჯიოევი.

აფხაზეთის ნაკრები გუნდებიდან ველოსპორტში მოსწავლე რ. მარაბიანი, ხოლო ნიჩბოსნობაში—მოსწავლე ი. ტურუკინი, როგორც ასაკგადაცილებულები მოიხსნენ შეჯიბრებიდან. ანალოგიური მდგომარეობა შეიმჩნეოდა ფეხბურთში. კასპის რაიონის გუნდში მოსწავლე—კულუმბეკაშვილის პასპორტით თამაშობდა ორი წლით გადაზრდილი მოსწავლე ა. რევაზიშვილი. საგარეჯოს გუნდში ი. ელერდაშვილის ნაცვლად თამაშობდა ასაკგადაცილებული ი. ილაური, ქარელის რაიონის მოსწავლეთა გუნდში ი. ლომუტაშვილი.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. რესპუბლიკის მოსწავლეთა XVIII სპარტაკიადისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების მოსწავლეთა მეგობრული თამაშების სპორტულ-ტექნიკური შედეგები დამტკიცდეს.

2. რესპუბლიკის მოსწავლეთა XVIII სპარტაკიადაზე პირველ ადგილზე გამოსული ქ. თბილისის მოსწავლეთა სპორტული კოლექტივი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გარდამავალი თასით და პირველი ხარისხის დიპლომით. მეორე ადგილზე გამოსული ქ. ქუთაისის მოსწავლეთა სპორტული კოლექტივი—მეორე ხარისხის დიპლომით, ხოლო მესამე ადგილზე გამოსული აფხაზეთის ასსრ მოსწავლეთა სპორტული კოლექტივი—მესამე ხარისხის დიპლომით.

პირველ ადგილზე გამოსული გუნდების მწვრთნელებს გამოეცხადოთ მადლობა და დაჯილდოვდნენ განათლების სამინისტროს სიგელებით (სია თან ერთვის).

სპარტაკიადის ჯეროვან სიმაღლეზე ჩატარებისათვის გამოეცხადოთ მადლობა და დაჯილდოებულ იქნენ განათლების სამინისტროს სიგელებით:

ა) სპარტაკიადის მსაჯთა კოლეგიიდან: ვ. კიკნაძე, შ. მუხიგულაშვილი, თ. ჩხარტიშვილი, ვ. სანთელაძე, ლ. ქოჩიაშვილი, პ. იორდანიშვილი, გ. როსტიაშვილი, ნ. სეფაშვილი, დ. კინწურაშვილი, ს. სიხარულიძე,

ბ) სამეურნეო და პედაგოგიური პერსონალიდან: ნ. კაპლუნი, ქ. ტოკლიკიშვილი, ა. სუხიაშვილი, ე. პარავიანი, ი. ხეთერელი, ა. მანჯგალაძე, უ. თეთრაშვილი და გ. ჩხობაძე.

გ) სამედიცინო მომსახურე პერსონალიდან კ. აროზელიძე.

3. ამიერკავკასიის რესპუბლიკების მეგობრულ თამაშებში მონაწილე და ქობულეთის სკოლა-სანატორიუმში საზაფხულო შეკრებაზე მყოფ ნაკრები გუნდების წევრებს პირად სარგებლობაში დაეტოვოთ განათლების სამინისტროს სასპორტო სკოლიდან მიღებული სპორტული ფორმა და ფეხსაცმელი.

4. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს და შესაბამის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარეებს:

ა) გააძლიერონ კონტროლი და ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ ზოგადსაგანმანათლებლო და ბავშვთა სასპორტო სკოლებს, სასწავლო, კლასგარეშე და სკოლის გარეშე სპორტული მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის. სისტემატურად იზრუნონ ფიზიკურ კულტურაში მეცადინეობის ჩატარებისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად, სრულ წესრიგში მოიყვანონ სასკოლო სპორტული ბაზები;

ბ) კოლეგიების, სახალხო განათლების საბჭოებისა და სპორტკავშირის პრეზიდიუმის სხდომებზე განიხილონ სპორტული კოლექტივების რესპუბლიკურ სპარტაკიადაში მონაწილეობის შედეგები, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად და 1967 წლის საიუბილეო სპარტაკიადისათვის ნაკრები გუნდების უკეთ მოსამზადებლად;

5. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებას (ამხ. ი. ბაცელაშვილი), საქართველოს სპორტკავშირის სპორტულ ფედერაციებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებებთან ერთად:

ა) ა/წლის 1-ლ ნოემბრამდე შეიმუშაოს და წარმოადგინოს დასამტკიცებლად სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ სპორტის სახეობებში ნაკრები გუნდების მომზადების გეგმა.

ბ) საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ სპორტის 19 სახეობაში მოსწავლეთა ნაკრები გუნდების საბოლოო შემადგენლობის დასაზუსტებლად, მიმდინარე წლის ბოლომდე ჩაატაროს დამატებითი რესპუბლიკური შეჯიბრებები. სამატჩო შეხვედრები სპორტის ცალკეულ სახეობებში, დააკომპლექტოს ნაკრები გუნდები და უზრუნველყოს მათთან სასპორტო სკოლების ბაზაზე სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობის სისტემატური ჩატარება.

გ) ა/წლის I ნოემბრამდე შეიმუშაოს და წარმოადგინოს დასამტკიცებლად მოსწავლეთა ნაკრები გუნდების 1967 წლის სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების ჩატარების სადისლოკაციო პუნქტები და მონაწილეთა სპორტული ფორმით უზრუნველყოფის საკითხები;

დ) ნაკრებ გუნდებთან მუშაობის გაუმჯობესებისა და მათი უკეთ მომზადების მიზნით მიამაგროს საიუბილეო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული გუნდები სპორტის სახეობათა მიხედვით—ქ. ქ. თბილისის, ქუთაისისა და რესპუბლიკურ სპორტულ



ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლებზე (სასპორტო სკოლებზე მიმაგრებული აღნიშნული გუნდების სია თან ერთვის).

გაფრთხილებული იქნენ სპორტული სკოლების დირექტორები, რომ მათზე მიმაგრებული ნაკრები გუნდების მომზადებაზე მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მათ.

საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ა. კვაჭაძე) გამოუყოს განათლების სამინისტროს სასპორტო სკოლას ნაკრები გუნდების მოსამზადებლად მ/წლის 31 დეკემბრამდე საჭირო თანხა 15 ათასი მანეთის რაოდენობით სპორტული ღონისძიებებისათვის გათვალისწინებული ხარჯებიდან, ხოლო ამ ღონისძიებისათვის 1967 წლის 1 იანვრიდან—20 ივლისამდე საჭირო თანხების გამოყოფა გაითვალისწინოს სასპორტო სკოლის 1967 წლის ბიუჯეტში.

6. მოსწავლეთა ნაკრები გუნდების უფროსებად, უფროს მწვრთნელებად, მწვრთნელებად და სპორტის სახეობებზე მიმაგრებულ პასუხისმგებელ პირებად დამტკიცდეს შემდეგი ამხანაგები (სია თან ერთვის).

7. განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის და საქართველოს სპორტკავშირის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებების მიერ წარმოდგენილი 1967 წლის მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის დებულება დამტკიცდეს.

8. დაევალოს საქართველოს სპორტკავშირთან არსებულ სპარტაკიადის შტაბს მ/წლის 25 ოქტომბრამდე უზრუნველყოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდების სამეცადინო სათანადო სპორტული ბაზებისა და ინვენტარის გამოყოფა.

9. მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადებში მონაწილეობის მიუღებლობისა და XVIII სპარტაკიადაში მოუმზადებელი გუნდების გამოყვანისათვის ახალქალაქის, ონის, სიღნაღის და მცხეთის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს მიეთითოთ, ხოლო აღნიშნული რაიონების ბავშვთა სპორტული სკოლების დირექტორებს ა. ადამიანცს, ი. ხაკიანს, ვ. ხმალაძეს, და კ. მრევლიშვილს გამოეცხადოთ საყვედური.

10. მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე ასაკგადაცილებული ბავშვების გამოყვანისათვის ლ. შენგელიას (სოხუმი, ველოსპორტი), ა. მუხვარს (აფხაზეთი, ნიჩბოსნობა), ს. ტყემალაძეს (კასპი, ფეხბურთი), კ. გუგალაძეს (ქარელი, ფეხბურთი), ა. კვერნაძეს (საგარეჯო, ფეხბურთი), ტ. ხუციშვილს (თეთრიწყარო, ფეხ-

ბურთი), ნუცუბიძეს (გარდაბანი, ფრენბურთი) გამოეცხადოთ სას-ტიკი საყვედური.

11. აღნიშნული დადგენილების შესრულებაზე კონტროლის გაწევა დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებას (ი. ბაცელაშვილი) და საქართველოს სპორტკავშირის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილებას (შ. სუხიშვილი).

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

საქართველოს სსრ სპორტ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის თავმჯდომარის მოადგილეობის შემსრულებელი **ლ. ხანაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ს ი ა

## გამარჯვებული გუნდების მწვრთნელებისა, რომლებიც დაჯილდოებულნი არიან განათლების სამინისტროს სიგელით

### I ჯგუფი

1. მძლეოსნობა — ჭაბუკები — ფ. ბურიაკოვი
   გოგონები — ე. გაგუა, თბილისი
2. ტანვარჯიში — ჭაბუკები — გ. ჩხარტიშვილი
   გოგონები — ნ. მახვილაძე, თბილისი
3. ცურვა — ჭაბუკები — ი. ნათაძე
   გოგონები — ლ. მარგუნენკო, თბილისი
4. კალათბურთი — ჭაბუკები — გ. ხახლიანი
   გოგონები — ს. ბაბახანიდი, თბილისი
5. ფრენბურთი — ჭაბუკები — შ. მარლიშვილი
   გოგონები — ს. ტარახჩიანი, თბილისი
6. ხელბურთი — ჭაბუკები — ო. ჟვანია
   გოგონები — გ. გურულიშვილი, ქუთაისი
7. მაგ. ჩოგბურთი — ჭაბუკები — კ. გუგუშვილი
   გოგონები — კ. გუგუშვილი, ბათუმი
8. ჩოგბურთი — ჭაბუკები — მ. კლდიაშვილი
   გოგონები — ა. ხანგულიანი, თბილისი
9. წყალში ხტომა — ჭაბუკები — ა. ესიკოვსკი
   გოგონები — გ. გასპარიანი, თბილისი
10. ნიჩბოსნობა — ჭაბუკები — ფ. ხუროშვილი, მცხეთა
    გოგონები — მ. ლომთათიძე, აჭარა
11. ფარიკაობა — ჭაბუკები — რ. გოშაძე
    გოგონები — ო. ტროფიმოვა, თბილისი
12. შაში — ჭაბუკები — ი. მოძღვრიშვილი, ქუთაისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა

1966 წლის 9 დეკემბერი

**1965—66 სასწავლო წელს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა სამუშაოზე მოწყობის მიმდინარეობის შემოწმების შესახებ**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებსა და შესაბამის პროფკავშირის კომიტეტებს ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობით გარკვეული მუშაობა აქვთ ჩატარებული ზემდგომი ორგანოების დადგენილებისა და შესაბამის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წლის 11 აპრილის № 392 ბრძანების შესასრულებლად „1966 წელს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობის სწავლების გაფართოებისა და სახალხო მეურნეობაში სამუშაოდ მოწყობის ღონისძიებათა შესახებ".

ადგილობრივი შრომითი მოწყობის კომისიებში არსებული მასალების მიხედვით გეგმით რესპუბლიკაში სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში შესაფერის სამუშაოზე უნდა მოწყობილიყო 70

ათასი საშუალო სკოლის კურსდამთავრებული. მიმდინარე წლის 6 დეკემბრის მონაცემებით სამუშაოზე გაგზავნილია 50.000 ახალგაზრდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა ამისა, 1965—66 სასწავლო წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთაგან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემაში გეგმით უნდა მოწყობილიყო 500 ახალგაზრდა; ამათგან მიმდინარე წლის 7 დეკემბრისათვის სამუშაოზე მოწყობილია 400 კურსდამთავრებული. ამ მიმართებით კარგი მუშაობა აქვთ ჩატარებული აფხაზეთის ასსრ, ქ. რუსთავის, ტყიბულის, ბოგდანოვკის, დმანისის, ზუგდიდის, ონის, სიღნაღის, ხობის, ცხაკაიასა და ჩოხატაურის რაიონებს.

ამასთან ერთად საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის საქმეში ადგილი აქვს ნაკლოვანებებს. ჯერ კიდევ რიგ რაიონებსა და ქალაქებში საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა გარკვეული ნაწილი სამუშაოზე არაა გაგზავნილი (აბაშის, გარდაბნის, მაიაკოვსკის, ცაგერისა და სხვ. რაიონები). განათლების სამინისტროს სისტემაში საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის მდგომარეობის შესახებ ცნობები არ წარმოუდგენიათ ახალქალაქის, ბოლნისის, ბორჯომის, გარდაბნის, გეგეჭკორის, კასპის, ყვარლის, მარნეულის, სამტრედიისა და ხაშურის რაიონებს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენენ:

1. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს და პროფკავშირის შესაბამის კომიტეტებს:

ა) საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის კომისიებთან ერთად დააზუსტონ იმ ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც დღემდე არ მუშაობენ და არც სწავლობენ, ჩაატარონ მათთან სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა და მიიღონ ზომები მათი შესაფერის სამუშაოზე გასაგზავნად;

ბ) 1967 წლის 15 იანვრამდე წარმოადგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში დაწვრილებითი ცნობები საშუა-

ლო სკოლის კურსდამთავრებულ ახალგაზრდობის შრომითი მოწყო-
ბის შესახებ.

2. ახალქალაქის, ბოლნისის, ბორჯომის, გარდაბნის, გეგე-ქკორის, კასპის, ყვარლის, მარნეულისა და ხაშურის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა გარდა, ზემოთ აღნიშნულისა, დაუყოვნებლივ წარმოადგინონ მასალები საშუალო სკოლის იმ კურსდამთავრებული ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის შესახებ, რომლებიც შესაფერის სამუშაოზე უნდა გაგზავნილიყვნენ განათლების სისტემის დაწესებულებებში.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე
ლ. ზალდაფერიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წ. 17 დეკემბრის № 1426 ბრძანება

### 1366 წლის II, III და IV კვარტალში განათლების სამინისტროში შემოსულ მშრომელთა განცხადება-საჩივრების განხილვის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების მიერ გარკვეული მუშაობა ტარდება მშრომელთა წერილების, განცხადება-საჩივრების განხილვისა და დროულად რეაგირების საქმის გასაუმჯობესებლად. შემოსული წერილების და განცხადება-საჩივრების განხილვა, პასუხების გაცემა ძირითადად დროულად სწარმოებს. ამ მხრივ აღსანიშნავია საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების, სკოლა-ინტერნატების და საგეგმო-საფინანსო სამმართველოების, სკოლამდელი აღზრდისა და კადრების განყოფილებების მუშაობა.

1966 წლის აპრილის თვიდან ნოემბრის ბოლომდე სამინისტროში შემოვიდა მშრომელთა 6424 წერილი და სხვადასხვა ხასიათის განცხადება-საჩივარი, რომლებიც სამმართველო-განყოფილებებზე შემდეგნაირად ნაწილდება: სკოლების სამმართველო—1224; საგეგმო-საფინანსო სამმართველო—840; საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველო—1486; სკოლა-ინტერნატების სამმართველო—737; კადრების განყოფილება—1556; სკოლამდელი აღზრდის განყოფილება—245; მეთოდური განყოფილება—54 და ა. შ.

სამინისტროს მიერ გატარებული და აგრეთვე მიღებული სხვა ღონისძიებების შედეგად გაძლიერდა სამმართველო-განყოფილებებისა და მათი უფროსების ყურადღება მშრომელთა წერილებისადმი, ამაღლდა პასუხისმგებლობა მშრომელთა განცხადება-საჩივრების დროულად და ამომწურავად განხილვის საქმისადმი.

სამინისტროს კოლეგიის სხდომებზე პერიოდულად იხილება წერილებისა და განცხადება-საჩივრების შემოწმებისა და განხილვის მდგომარეობა.

მიუხედავად ამისა, მშრომელთა განცხადება-საჩივრების განხილვის საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

არის შემთხვევები, როდესაც სამინისტროში ირღვევა შემოსული მშრომელთა განცხადება-საჩივრების განხილვისათვის დაწესებული ვადები. ასე, მაგალითად, მიმდინარე წლის 5 აგვისტოს სოფ. კარალეთიდან (გორის რ-ნი) შემოვიდა მშობელთა განცხადება „სკოლაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ“. აღნიშნული განცხადება გადაეცა სკოლების სამმართველოს 8 აგვისტოს თარიღით, ამ განცხადების მონახვა ვერ მოხერხდა.

არის შემთხვევები, როდესაც მშრომელთა განცხადებები ეგზავნებათ განსახილველად სხვა ორგანიზაციებს კუთვნილებისამებრ, მაგრამ ამის შესახებ, ზოგჯერ სამმართველო-განყოფილებები არ აცნობებენ განმცხადებელს. მაგალითად, ა/წლის 29 აპრილს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციიდან განათლების სამინისტროში შემოვიდა ზესტაფონის მცხოვრებ მოქ. აბაშიძის განცხადება, რომელიც 3 მაისს გადაეგზავნა ზესტაფონის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს. კაპიტალური მშენებლობის განყოფილება მოითხოვდა ზომების მიღებასა და პასუხის შეტყობინებას, როგორც სამინისტროსათვის, ასევე განმცხადებლისათვის, მაგრამ პასუხი დღემდე არ არის მიღებული. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ შეხსენება გაუგზავნა მხოლოდ ნოემბერში.

ასეთ შემთხვევებს აქვს ადგილი აგრეთვე სკოლების სამმართველოში.

ყველა სამმართველო-განყოფილებაში სრულად არ ივსება მშრომელთა წერილების აღრიცხვის ჟურნალში მოცემული გრაფები, რის გამო ძნელდება საჩივრების მოძრაობის დადგენა და მიღებულ ზომებში გარკვევა.

მიუხედავად მრავალჯერი მითითებისა, სამმართველო-განყოფილებებში არ არის შემოღებული თანამშრომელთა ოპერატიული თათბირები მშრომელთა განცხადება-საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ.

არის შემთხვევები, როდესაც განათლების ადგილობრივი ორგანოები აგვიანებენ მშრომელთა განცხადება-საჩივრების გან-

ხილვასა და საჭირო ზომების მიღებას, და გვიან უგზავნიან პასუხებს თვით სამინისტროსაც, რის გამოც განმცხადებელი პასუხს დროულად ვერ ღებულობს. ასე მაგალითად, ჯავის რაიონიდან ა/წლის 13 აპრილს განათლების სამინისტროში შემოვიდა სინაგურის საშუალო სკოლაში მუშაობის ჩაშლის შესახებ დეკანოიძისა და ბაზაევის საჩივარი, რომელიც საჭირო ზომების მისაღებად გადაეგზავნა ს/ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. გ. ძაგოევს. მიუხედავად იმისა, რომ კადრების განყოფილებამ შეხსენებაც გაუგზავნა, პასუხი მაინც ორი თვის დაგვიანებით გამოგზავნეს. ასეთი დაგვიანების შემთხვევებს ადგილი აქვს ქარელის, ზესტაფონის, წულუკიძის, ბოლნისის, გარდაბნის, თელავისა და ზოგიერთი სხვა რაიონის განათლების განყოფილებაში.

ასე მაგალითად, მიმდინარე წლის 10 მაისს სამინისტროში შემოსული მოქ. ხარშილაძის განცხადება საჭირო ზომების მისაღებად გადაეგზავნა თელავის რაიონის განათლების განყოფილებას, რომელმაც პასუხი მხოლოდ სამი შეხსენების შემდეგ, 24 ოქტომბერს გამოგზავნა. ცხადია, აღნიშნულ განცხადებაზე, რომ დროულად გაცემულიყო პასუხი მოქ. ხარშილაძე მეორე განცხადებას აღარ გამოგზავნიდა.

ხშირია შემთხვევები, როდესაც საჩივრებისა და განცხადებების ჩამოწერა სამმართველო-განყოფილებებში ხდება ინსპექტორების მიერ შედგენილი ცნობებისა და სამმართველო-განყოფილებათა უფროსების ან მათი მოადგილეების რეზოლუციის გარეშე. განყოფილებებისა და სამმართველოების უფროსები არ ახორციელებენ სისტემატურ კონტროლს საჩივრების განხილვის მიმდინარეობისა და მათ საბოლოოდ გადაწყვეტაზე, რის გამოც განცხადება-საჩივართა ერთი ნაწილი რჩება პასუხგაუცემელი.

მშრომელთა განცხადება-საჩივრების რიცხვის ზრდა იმის შედეგია, რომ სკოლებისა და განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელები მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეს, არ იჩენენ სათანადო გულისხმიერებას მშრომელებისადმი, დროულად არ ღებულობენ საჭირო ზომებს საკითხების ადგილზე მოსაგვარებლად (ს/ოსეთის ავტონომიური ოლქის, ხაშურის, თელავის, ბოლნისის, მარნეულის, გარდაბნის, მაიაკოვსკის, ზესტაფონის რაიონები), რის შედეგად ბევრი მშობელი და მასწავლებელი იძულებულია

Г 3189.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჩივრით მიმართოს ზემდგომ ორგანოებს ისეთი საკითხების მოსაგვარებლად, რომელთა გადაწყვეტა სკოლების ხელმძღვანელებისა და განათლების ადგილობრივი ორგანოების მიერ უნდა ხდებოდეს.

აღსანიშნავია, რომ მშრომელთა საჩივრები ხშირად გამოწვეულია იმითაც, რომ ადგილებზე განათლების ორგანოები და სკოლის ხელმძღვანელები სუსტად ერკვევიან შრომის კანონმდებლობის საკითხებში და არღვევენ სამუშაოზე მიღების, გადაყვანისა და დანიშვნის წესებს.

არის შემთხვევები, როდესაც მუშაკებს ითხოვენ სამუშაოდან ადგილობრივ პროფორგანიზაციასთან შეუთანხმებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ა/წლის 29 აგვისტოს განიხილა საკითხი მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ და მიიღო სათანადო დადგენილება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აღნიშნული დადგენილების შესასრულებლად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. განათლების სამინისტროს სამმართველო-განყოფილებათა უფროსებმა:

ა) დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები, რათა განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი მშრომელთა განცხადება-საჩივრების განხილვის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ბ) პირადად განიხილონ თვითეული განცხადება-საჩივარი, ღრმად ჩასწვდნენ მათ შინაარს და უმოკლეს ვადაში უზრუნველყონ საჭირო გადაწყვეტილებათა მიღება-გატარება და განმცხადებლებისათვის ამომწურავი პასუხის მიცემა;

გ) აღკვეთონ მშრომელთა წერილების განხილვისათვის დაწესებული ვადების დარღვევის შემთხვევები და მათზე პასუხის გაუცემლობა;

დ) ყოველთვიურად პირადად შეისწავლონ სამმართველო-განყოფილებაში მშრომელთა საჩივრების განხილვის მდგომარეობა, განიხილონ ეს საკითხი ოპერატიულ თათბირებზე და მშრომელთა საჩივრებისადმი უსულგულო დამოკიდებულების შემთხვევა გახადონ ფართო მსჯელობის საგნად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) დაავალდებულონ სასკოლო ინსპექტორები ადგილებზე მივლინებისას შეამოწმონ მშრომელთა განცხადება-საჩივრების განხილვის მდგომარეობა სკოლებსა და განათლების ადგილობრივ ორგანოებში;

ვ) სისტემატურად შეისწავლონ ადგილებზე მშრომელთა საჩივრების გამომწვევი მიზეზები და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი მათ აღმოსაფხვრელად;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ განმეორებითი საჩივრების გამომწვევ მიზეზებს;

ზ) მშრომელთა განცხადება საჩივრის სხვა ორგანიზაციაზე განსახილველად გადაგზავნის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ეცნობოს განმცხადებელს.

არ დაუშვან საჩივრის იმ პირთათვის გადაგზავნა, ვიზედაც საჩივარია აღძრული.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) მიიღონ ქმედითი ზომები მშრომელთა განცხადება-საჩივრების განხილვის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, მეტი ყურადღება გამოიჩინონ მშრომელთა საჩივრებისადმი, გულდასმითა და საფუძვლიანად განიხილონ თვითეული მათგანი და უზრუნველყონ გადასაწყვეტი საკითხების ადგილზე მოგვარება;

ბ) არ დაუშვან მშრომელთა განცხადება-საჩივრეპის განხილვისათვის დაწესებული ვადების დარღვევა;

გ) დადგენილ ვადაში და შეხსენების გარეშე აცნობონ პასუხი განათლების სამინისტროს, მათზე გადაგზავნილ საჩივარზე გატარებული ღონისძიების შესახებ.

3. ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილებამ:

ა) სისტემატური კონტროლი დააწესოს სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ მშრომელთა მიღების სარეგისტრაციო ჟურნალების სწორად და სრულად წარმოებაზე;

ბ) მიიღოს ქმედითი ზომები სამინისტროში შემოსულ მშრომელთა წერილების დროულად და არსებული წესებით აღრიცხვასა და მათ მოძრაობაზე კონტროლის დაწესებისათვის.

4. კანცელარიის გამგემ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) უზრუნველყოს მშრომელთა განცხადება-საჩივრების დროულად გადაცემა დანიშნულებისამებრ;

ბ) სისტემატურად ადევნოს თვალყური კონტროლზე აღებულ განცხადება-საჩივრების დროულად შესრულების საქმეს.

5. მინისტრის თანაშემწემ თ. გოდაბრელიძემ თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1966 წლის 9 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წ. 29 დეკემბრის ბრძანება № 1485

### ვანის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

ვანის რაიონის სკოლები გარკვეულ დადებით მუშაობას ატარებენ, მაგრამ ამასთან ერთად, როგორც ეს სკოლების სამმართველოს ბრიგადის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათიდან ჩანს, გამოკვლეული სკოლებ ს მუშაობაში შეინიშნება არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი.

სკოლებში სათანადოდ არ არის მოწყობილი და შევსებული სასწავლო კაბინე -ლაბორატორიები.

მასწავლებელთა ერთი ნაწილი სისტემატურად არ იმაღლებს თეორიული ცოდნის დონეს, არ კითხულობს მეთოდურ ლიტერატურას. მათ მიერ ჩატარებული გაკვეთილები არ შეესაბამება მეცნიერებათა საფუძვლების სწავლების თანამედროვე მოთხოვნებს, ვერ იჩენენ მკაცრ და სამართლიან მოთხოვნას მოსწავლეთა მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობის გამოსამუშავებლად, რის შედეგადაც სუსტია მოსწავლეთა მომზადება ცალკეულ საგნებში.

არასწორად არიან სპეციალობის მიხედვით შერჩეული სკოლის დირექტორები და დირექტორის მოადგილეები სასწავლო მუშაობის დარგში. უმთავრესად ისინი ერთი და იგივე ან მონათესავე სპეციალობისა არიან. სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები უმთავრესად სკოლის დირექტორებისა და დირექტორის მოადგილეების სასწავლო მუშაობის დარგში სუსტი მუშაობით აიხსნება, ისინი არსებითად ვერ სწვდებიან მასწავლებელთა მუშაობას და საქმიან მითითებებს არ აძლევენ მათ. ვერ რაზმავენ პედაგოგიურ კოლექტივებს, რათა ისინი ბეჯითად, მთელი მონდომებით და უნარით მუშაობდნენ სკოლის წინაშე დასმული ამოცანების გადასაწყვეტად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ვანის რაიონის განათლების განყოფილებამ (ამხ. ხარძეიშვილი):

ა) ვანის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს ბრიგადის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათი განიხილოს სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე და მასწავლებელთა იანვრის თათბირზე დასახოს კონკრეტული, ქმედითი ღონისძიებანი მასში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მასწავლებელთა მეთოდურ დახელოვნებას, მათი იდეური, თეორიული და პროფესიული მომზადების მკვეთრ ამაღლებას, ქმედითი კონტროლი განახორციელოს, რათა მასწავლებლები აუცილებლად კითხულობდნენ პედაგოგიურ ჟურნალ-გაზეთებს და დამხმარე ლიტერატურას.

გააძლიეროს სკოლების ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა პასუხისმგებლობა მოსწავლეთა სწავლისა და აღზრდის შემდგომი გაუმჯობესებისათვის

გ) აღნიშნული მოხსენებითი ბარათი, განათლების განყოფილების წარმომადგენლის მონაწილეობით, განიხილოს რაიონის ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, დასახოს და განახორციელოს ღონისძიებანი ამ სკოლების მუშაობაში არსებულ ანალოგიურ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

დ) სათანადო სასჯელი დაადოს ამ მოხსენებით ბარათში დასახელებულ სუსტად მომუშავე სკოლის ხელმძღვანელებს და მასწავლებლებს;

ე) ახალი სასწავლო წლისათვის გადასინჯოს სკოლის დირექტორებისა და სასწავლო მუშაობის დარგში დირექტორის მოადგილეების კადრები და ისინი, რომლებიც ვერ ართმევენ თავს მათზე დაკისრებულ მოვალეობას, შესცვალოს უფრო ენერგიული და საქმისმცოდნე მუშაკებით;

ვ) ამიერიდან არ დაუშვას დირექტორებად და დირექტორის მოადგილეებად სასწავლო მუშაობის დარგში ერთი და იგივე სპეციალობის მუშაკების დანიშვნა, ხოლო იმათ მიმართ, რომლებიც მუშაობენ, გაატაროს საჭირო ღონისძიება პირველი შესაძლებლობისთანავე მათი გადაჯგუფებისათვის;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზ) გადამჭრელი ზომები მიიღოს სკოლების სასწავლო კაბინეტებისა და ლაბორატორიების მოსაწყობად და მათი სათანადო ხელსაწყო-იარაღებით და რეაქტივებით შესავსებად;

თ) სასწავლო წლის IV მეოთხედში შეისწავლოს ამ მოხსენებით ბარათში აღნიშნული სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობა და იმ მუშაკების მიმართ, რომლებიც სათანადო დასკვნას არ გააკეთებენ და არსებითად არ გარდაქმნიან მუშაობას, დააყენოს საკითხი, სათანადო წესის დაცვით, მათი სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ;

2. სკოლების სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახია) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1966 წლის 9 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უშ. ობოლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს ამხ. თ. ლაშქარაშვილს

# მოხსენებითი ბარათი

## ვანის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრიგადამ სკოლების სამმართველოს სასკოლო ინსპექტორის შ. ლომიძის, მეთოდისტების ა. აბაშიძის, ტ. ფაჩუაშვილის, პედაგოგიკის სამეცნიერო კვლევითი და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების თანამშრომლების ლ. კობლაძისა და გ. ჯავახიშვილის შემადგენლობით ა/წლის 13-დან 20 ნოემბრამდე შეისწავლა ვანის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა.

უკანასკნელ წლებში სერიოზული მუშაობაა გაწეული სკოლების მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად. მ/წელს ექსპლოატაციაში შევიდა დაბა ვანის გ. ტაბიძის სახელობის, ამაღლებისა და შუაგორის საშუალო სკოლების შენობები; ადგილობრივი სახსრებით აშენდა ციხესულორის, მუქედის და დიხაშხოს რვაწლიანი სკოლები. შუამთის საშუალო სკოლას დაშენდა მეორე სართული (10 ოთახი), 5—6 ოთახი მიშენდა ისრითის საშუალო, მიქელეფონის, ზედაგორას და ძულუხის 8-წლიან სკოლებს; ყველა სკოლას გამოეყო სასკოლო მიწის ნაკვეთი. სულ რაიონის სკოლებს აქვთ 42 ჰა მიწის ნაკვეთი. ამ ნაკვეთებიდან შემოსავალმა გასულ და მიმდინარე სასწავლო წელს შეადგინა 30000 მან. რომელიც მოხმარდა სკოლების სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიების შევსებას და პიონერქალაქის მშენებლობას.

განათლების განყოფილების აპარატი დაკომპლექტებულია სათანადო სპეციალობის, ცენზისა და გამოცდილების მქონე მუშაკებით, რომლებიც ღრმად და საფუძვლიანად სწავლობენ სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობას, მოურიდებლად ავლენენ მათ

მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს და სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს მათ გამოსასწორებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების საბჭოს სხდომებზე სისტემატურად იხილება საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის გატარების, სკოლებში სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის, ბავშვთა უმეთვალყურეობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების საკითხები.

ჯეროვანი ღონისძიებებია გატარებული საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის შესასრულებლად. სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი ჩაბმულია სწავლებაში. შესრულებულია 1966—67 სასწავლო წლისათვის სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა. გეგმის I—VIII კლასებში უნდა სწავლობდეს 7291 მოსწავლე, ფაქტიურად სწავლობს 7368, I—X კლასებში კი გეგმით გათვალისწინებული 8626-ის ნაცვლად სწავლობს 8636 მოსწავლე. როგორც საკითხის შესწავლამ ცხადყო, ვანის რაიონის სკოლებს ერთგვარი წარმატებები აქვთ მოპოვებული ცალკეული საგნების სწავლების საქმეში. შემოწმებული სკოლების მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი კეთილსინდისიერად, პასუხისმგებლობის გრძნობით მუშაობს, სერიოზულად ემზადება ყოველი გაკვეთილისათვის და მოსწავლეებსაც მტკიცე ცოდნა-ჩვევებს აძლევს. კარგად მუშაობენ მასწავლებლები დაწყებით კლასებში ქ. ზვიადაძე, ნ. ნიკოლეიშვილი, გ. ძიგრაშვილი (ამაღლების საშუალო სკოლა), მ. პატარიძე, ე. ფხაკაძე, ვ. მგელაძე (კიროვის სახ. საშ. სკოლა), ნ. თავაძე (უმურის საშ. სკოლა); ქართულ ენასა და ლიტერატურაში შ. გოგაძე. თ. სანებლიძე (შუამთის საშ. სკოლა), ლ. ხურციძე. ლ. კაპანაძე (ქვედა გორის საშ. სკ.); მათემატიკაში მ. გიორგაძე, ი. კორძაძე (კიროვის სახ. საშ. სკ.), ს. მღმასახლისი (ქვედა გორის საშ. სკ.); ფიზიკაში თ. ჩიგოგიძე (კიროვის სახ. საშ. სკოლა), ვ. რუხაძე (უმურის საშ. სკოლა), ქიმიაში მ. ხარძეიშვილი, ნ. კაშია (კიროვის სახ. საშ. სკ.) რ. თვალბეიშვილი (უმურის საშ. სკ.); ისტორიაში მ. ადეიშვილი (კიროვის სახ. საშ. სკოლა), რ. ძიგრაშვილი (ამაღლების საშ. სკ.), ს. ფარცხალაძე (შუამთის საშ. სკ.); გეოგრაფიაში ლ. ნადირაიშვილი (კიროვის სახ. საშ. სკ.); ა. ბიბიჩაძე (ქვედა გორის საშ. სკ.) ბ. კორძაძე (შუამთის საშ. სოლა), საზოგადოებათმცოდნეობაში მ. ლომთათიძე (ტაბიძის სახ. საშ. სკ.).

აღსანიშნავია, რომ დ. ვანის კიროვის სახელობის საშ. სკოლაში (მასწ. მ. ადეიშვილი) მოწყობილია მხარეთმცოდნეობის მუ-

ზეუმი. შეგროვილია 200-მდე მდიდარი ექსპონატი და გამოფენილია ორ ნუმიზმატიკისა და მხარეთმცოდნეობის განყოფილებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვედა გორის საშ. სკოლის მათემატიკის წრის წევრების მიერ (ხელ-ი ვ. გიორგაძე) დამზადებულია: სადემონსტრაციო ლოგარითმული სახაზავი, გამყოფი ფარგალი, სხვადასხვა გეომეტრიული ნაკვთი და გეომეტრიული სხეული, რომელიც გამოყენებულია სწავლებაში, წრეში სწარმოებს შესაფერისი ამოცანების და ისეთი საკითხების განხილვა, რომელიც საპროგრამო მასალის ღრმად შესწავლას ემსახურება.

დაბა ვანის კიროვის სახელობისა და ყუმურის საშუალო სკოლების დირექტორები მ. მესხი და ვ. ნადირაძე სათანადო კონტროლსა და ხელმძღვანელობას უწევენ მასწავლებლებისა და კლასის ხელმძღვანელების მუშაობას.

მიუხედავად აღნიშნულისა, ვანის რაიონის სკოლების მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებია:

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების მიერ გაკვეთილებზე უგულებელყოფილია ტექსტზე მუშაობა, ნაკლები ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრებას და კომენტირებულ კითხვას, მასწავლებელთა უმეტესი ნაწილი ახალი მასალის შინაარს ჯერ თხრობით გადასცემს და შემდეგ უკითხავს ტექსტს; უგულებელყოფილია ნაწარმოების იდეურმხატვრული ანალიზი; რის შედეგადაც ღარიბია მეტყველება და მხატვრული ნაწარმოების ან მწერლის შემოქმედების გარჩევის მაგიერ ხდება შინაარსის გადმოცემა.

სუსტია მოსწავლეთა წერითი მეტყველების კულტურა. მართალია, საკონტროლო წერის ნორმები ძირითადად ყველა კლასში შესრულებულია, მაგრამ V—VIII კლასებში სჭარბობს გრამატიკის კურსიდან აღებული ისეთი თემები, რომლებიც საკლასო სავარჯიშოდ გამოდგება და არა საკონტროლოდ, IX—X კლასებში ვხვდებით უფრო მიმოხილვითი სახის თემებს, ვიდრე ცალკეულ ნაწარმოებთა გარჩევას. უგულებელყოფილია საკლასო წერები და შემოქმედებითი ხასიათის თემები, რაც ამდიდრებს მოსწავლეთა როგორც ზეპირ, ასევე წერითი მეტყველების კულტურას.

აღნიშნული ნაკლოვანებანი მეტნაკლებად შეინიშნება შემდეგი მასწავლებლების მუშაობაში; რ. ბუაძე, მ. ჩიკვიშვილი (გალ. ტაბიძის სახ. საშ. სკ.), ნ. თავაძე, ე. ადეიშვილი (ყუმურის საშ. სკოლა), მ. ტყეშელაშვილი, ვ. გაბუნია (ამაღლების საშ. სკოლა), ა. აბრა-

მიძე, თ. კორძაძე, ნ. გიორგაძე, ზ. გოგორიშვილი (ვანის ქვ-როვის სახ. საშ. სკოლა).

განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი მასწავლებლების სუს-ტი მუშაობა:

შუამ ის საშ. სკოლის მასწავლებელმა პ. სულაბერიძემ სუს-ტად იცის ქართული ენის გრამატიკა, არ უვარგა გაკვეთილის ორგანიზაცია, ნაკლებად ემზადება გაკვეთილებისათვის, ასეთი მუ-შაობის შედეგია კლასის აკადემიური მომზადების დაბალი დონე. მაგალითად, წინადადება „გამაგრდი, თუ ვაჟკაცი ხარ"—გაარჩევინა კლასს: გამაგრდი—ქვემდებარე; ვაჟკაცი—ქვემდებარე, ხარ—შემას-მენელი, ხოლო მორფოლოგიურ გარჩევაში „თუ" კავშირი ისევ სა-კავშირებელ სიტყვად გაასაღა.

ამაღლების საშუალო სკოლის მასწავლებელმა გ. კანკაძემ იცის საგანი, მაგრამ სუსტად ფლობს სწავლების მეთოდებს. ამიტომ კლასს შესწავლილი მასალა სუსტად აქვს ათვისებული. კლასმა არ იცის სიტყვის დამარცვლა, ანბანი და სხვა. კლასმა არ იცის მსაზღვრელი, საზღვრული და ამ საკითხებზე ესაუბრება, როდესაც ახალი მასალა—„ბრუნვის ნიშნების გავრცობა" არ საჭიროებდა ამას. სუსტია კლასის აკადემიური მომზადება.

ყუმურის საშ. სკოლის II კლასის მასწავლებელი ლ. ადეი-შვილი ნაკლებად ემზადება გაკვეთილებისათვის, არ იყენებს თვალ-საჩინოებას (ახალი მასალა იყო „მუდამ მწვანე ხეები"); კლასმა გაკვეთილი არ იცოდა („შემოდგომა" ზეპირად), მაინც ახსნა მა-სალა. ნაკლებ ყურადღებას აქცევს სალექსიკონო მუშაობას. მასწავ-ლებელი ინდივიდუალურად მუშაობს ცალკეულ მოსწავლეებთან, ამიტომ კლასში საშინელი ხმაურია, ყველა თავისთვის კითხულობს ან ლაპარაკობს, მაგრამ მასწავლებელი ამ მდგომარეობას შეჩვეუ-ლია და მასზე ეს ხმაური არ მოქმედებს.

ქვედაგორას საშ. სკოლის III-ა კლასის მასწავლებელ ვ. ჩიგო-გიძის მეტყველება კუთხურია, თვითონ ხმარობს „ნუ ღელავხარ". „არ წაჩხუბებულარიან" და სხვა. მოსწავლეთა მეტყველებაც კუთხუ-რია, მასწავლებელი ვერ ასწორებს მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეც-დომებს. მასწავლებელი სუსტად ფლობს სწავლების მეთოდებს. მთელ გაკვეთილზე თვითონ მეტყველებს არალიტერატურული ენით, მოსწა-ვლეები კი გარინდებული სხედან. ახალი მასალის ახსნისას „კოდო და ლომი" ჯერ აუხსნა რა არის ლომი, კოდო, შემდეგ გადასცა იგავის შინაარსი, წაუკითხა ტექსტი, კიდევ გადასცა შინაარსი და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზეუმი. შეგროვილია 200-მდე მდიდარი ექსპონატი და გამოფენი-ლია ორ ნუმიზმატიკისა და მხარეთმცოდნეობის განყოფილებაში.

ქვედა გორის საშ. სკოლის მათემატიკის წრის წევრების მიერ (ხელ-ი ვ. გიორგაძე) დამზადებულია: სადემონსტრაციო ლოგარითმული სახაზავი, გამყოფი ფარგალი, სხვადასხვა გეომეტრიული ნაკვთი და გეომეტრიული სხეული, რომელიც გამოყენებულია სწავლებაში, წრეში სწარმოებს შესაფერისი ამოცანების და ისეთი საკითხების განხილვა, რომელიც საპროგრამო მასალის ღრმად შესწავლას ემსახურება.

დაბა ვანის კიროვის სახელობისა და ყუმურის საშუალო სკოლების დირექტორები მ. მესხი და ვ. ნადირაძე სათანადო კონტროლსა და ხელმძღვანელობას უწევენ მასწავლებლებისა და კლასის ხელმძღვანელების მუშაობას.

მიუხედავად აღნიშნულისა, ვანის რაიონის სკოლების მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებია:

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების მიერ გაკვეთილებზე უგულებელყოფილია ტექსტზე მუშაობა, ნაკლები ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრებას და კომენტირებულ კითხვას, მასწავლებელთა უმეტესი ნაწილი ახალი მასალის შინაარს ჯერ თხრობით გადასცემს და შემდეგ უკითხავს ტექსტს; უგულებელყოფილია ნაწარმოების იდეურ-მხატვრული ანალიზი; რის შედეგადაც ღარიბია მეტყველება და მხატვრული ნაწარმოების ან მწერლის შემოქმედების გარჩევის მაგიერ ხდება შინაარსის გადმოცემა.

სუსტია მოსწავლეთა წერითი მეტყველების კულტურა. მართალია, საკონტროლო წერის ნორმები ძირითადად ყველა კლასში შესრულებულია, მაგრამ V—VIII კლასებში სჭარბობს გრამატიკის კურსიდან აღებული ისეთი თემები, რომლებიც საკლასო სავარჯიშოდ გამოდგება და არა საკონტროლოდ, IX—X კლასებში ვხვდებით უფრო მიმოხილვითი სახის თემებს, ვიდრე ცალკეულ ნაწარმოებთა გარჩევას. უგულებელყოფილია საკლასო წერები და შემოქმედებითი ხასიათის თემები, რაც ამდიდრებს მოსწავლეთა როგორც ზეპირ, ასევე წერითი მეტყველების კულტურას.

აღნიშნული ნაკლოვანებანი მეტნაკლებად შეინიშნება შემდეგი მასწავლებლების მუშაობაში; რ. ბუაძე, მ. ჩიკვიშვილი (გალ. ტაბიძის სახ. საშ. სკ.), ნ. თავაძე, ე. ადეიშვილი (ყუმურის საშ. სკოლა), მ. ტყეშელაშვილი, ვ. გაბუნია (ამაღლების საშ. სკოლა), ა. აბრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიძე, თ. კორძაძე, ნ. გიორგაძე, ზ. გოგორიშვილი (ვანის ქალაქოროვის სახ. საშ. სკოლა).

განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი მასწავლებლების სუსტი მუშაობა:

შუამთის საშ. სკოლის მასწავლებელმა პ. სულაბერიძემ სუსტად იცის ქართული ენის გრამატიკა, არ უვარგა გაკვეთილის ორგანიზაცია, ნაკლებად ემზადება გაკვეთილებისათვის, ასეთი მუშაობის შედეგია კლასის აკადემიური მომზადების დაბალი დონე. მაგალითად, წინადადება „გამაგრდი, თუ ვაჟკაცი ხარ“—გაარჩევინა კლასს: გამაგრდი—ქვემდებარე; ვაჟკაცი—ქვემდებარე, ხარ—შემასმენელი, ხოლო მორფოლოგიურ გარჩევაში „თუ“ კავშირი ისევ საკავშირებელ სიტყვად გაასაღა.

ამაღლების საშუალო სკოლის მასწავლებელმა გ. კანკაძემ იცის საგანი, მაგრამ სუსტად ფლობს სწავლების მეთოდებს. ამიტომ კლასს შესწავლილი მასალა სუსტად აქვს ათვისებული. კლასმა არ იცის სიტყვის დამარცვლა, ანბანი და სხვა. კლასმა არ იცის მსაზღვრელი, საზღვრული და ამ საკითხებზე ესაუბრება, როდესაც ახალი მასალა—„ბრუნვის ნიშნების გავრცობა“ არ საჭიროებდა ამას. სუსტია კლასის აკადემიური მომზადება.

ყუმურის საშ. სკოლის II კლასის მასწავლებელი ლ. ადეიშვილი ნაკლებად ემზადება გაკვეთილებისათვის, არ იყენებს თვალსაჩინოებას (ახალი მასალა იყო „მუდამ მწვანე ხეები“); კლასმა გაკვეთილი არ იცოდა („შემოდგომა“ ზეპირად), მაინც ახსნა მასალა. ნაკლებ ყურადღებას აქცევს სალექსიკონო მუშაობას. მასწავლებელი ინდივიდუალურად მუშაობს ცალკეულ მოსწავლეებთან, ამიტომ კლასში საშინელი ხმაურია, ყველა თავისთვის კითხულობს ან ლაპარაკობს, მაგრამ მასწავლებელი ამ მდგომარეობას შეჩვეულია და მასზე ეს ხმაური არ მოქმედებს.

ქვედაგორას საშ. სკოლის III-ა კლასის მასწავლებელ ვ. ჩიგოგიძის მეტყველება კუთხურია, თვითონ ხმარობს „ნუ ღელავხარ“. „არ წაჩხუბებულარიან“ და სხვა. მოსწავლეთა მეტყველებაც კუთხურია, მასწავლებელი ვერ ასწორებს მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს. მასწავლებელი სუსტად ფლობს სწავლების მეთოდებს. მთელ გაკვეთილზე თვითონ მეტყველებს არალიტერატურული ენით, მოსწავლეები კი გარინდებული სხედან. ახალი მასალის ახსნისას „კოლო და ლომი“ ჯერ აუხსნა რა არის ლომი, კოლო. შემდეგ გადასცა იგავის შინაარსი, წაუკითხა ტექსტი, კიდევ გადასცა შინაარსი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის შემდეგ დააწყებინა მოსწავლეებს კითხვა. ბოლოს თვით მასწავლებელმა გააცნო კლასს იგავის დედააზრი. კლასის მომზადება სუსტია და ამის მიზეზი მასწავლებელია, რადგან ტექსტზე ნაკლებად ამუშავებს მოსწავლეებს.

შემოწმებულ სკოლებში მეთოდგაერთიანებათა და ლიტერატურული წრეების მუშაობა ძირითადად დამაკმაყოფილებელია. მუშაობენ ნახევარწლიური სამუშაო გეგმებით. თემატიკა მოფიქრებითაა შერჩეული, მეურნეობა სრულ წესრიგში აქვთ.

ყუმურის საშ. სკოლაში მუშაობს ერთი ლიტერატურული წრე IX—X კლასების მოსწავლეებისათვის, საჭიროა იმუშაოს მეორე წრემ V—VIII კლასების მოსწავლეებისათვის.

ამაღლების საშ. სკოლაში, ორი წრე მუშაობს V—VII და VIII—X კლასებისათვის. დაყოფა არაა სწორი: უნდა იმუშაოს ორმა წრემ: V—VIII და IX—X კლასების მოსწავლეთათვის.

არადამაკმაყოფილებელი შედეგები მოგვცა საკონტროლო წერებმა.

შუამთის საშ. სკოლაში ჩატარდა წერა X კლასში (მასწ. შ. გოგაძე). საწერი თემა იყო: გლეხთა ტიპები ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებაში. 27 მოსწავლიდან შეფასება „5“ მიიღო 3, ოთხი—4, სამი—13 და ორი 7 მოსწავლემ.

ქვედაგორის საშ. სკოლის X კლასში (მასწ. ი. კაპანაძე). საწერი თემა იყო: ღარიბ გლეხთა მდგომარეობის ასახვა ეგ. ნინოშვილის მოთხრობების მიხედვით.

კლასში 22 მოსწავლეა, წერა 20-მა. აქედან შეფასება სამი მიიღო 12-მა, ორი კი—8 მოსწავლემ.

გ. ტაბიძის სახ. ვანის საშ. სკოლის X კლასი (მასწ. რ. ბუაძე) საწერი თემა იყო: პატრიოტიზმი ალ. ყაზბეგის შემოქმედებაში. კლასში 28 მოსწავლეა, წერა 23-მა. შეფასება სამი მიიღო 12-მა, ორი კი—11 მოსწავლემ. ნაშრომები დატვირთულია კრიტიკოსთა ციტატებით, მაგრამ თავიანთ ნააზრევად აქვთ მოცემული, სხვათა სიტყვას ბრჭყალებში არ სვამენ.

კიროვის სახ. ვანის საშ. სკოლის X კლასის (მასწ. ნ. გიორგაძე) საწერი თემა იყო: ეგ. ნინოშვილის „სიმონას“ განხილვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლასში 22 მოსწავლეა, წერა 20-მა. შეფასება ოთხი მიიღო 3-მა, სამი 10-მა, ორი კი—7 მოსწავლემ.

ამაღლების საშუალო სკოლის VIII კლასში (მასწ. ლ. ხურციძე) საწერი თემა იყო: ვაჟა ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“ (მოკლე შინაარსი).

კლასში 25 მოსწავლეა, წერა—21-მა. შეფასება სამი მიიღო 5-მა, ორი კი 16-მა მოსწავლემ.

მასწავლებლის მიერ ნაშრომები უპასუხისმგებლოდაა გასწორებული, დაუმსახურებლადაა შეფასებული „3“-ზე ზ. ტყეშელაშვილისა და მ. ხურციძის ნაშრომები, მათ „2“ ეკუთვნით, თუმცა მეოთხედურ შეფასებაში „ოთხები“ უწერიათ.

ყუმურის საშ. სკოლის VIII კლასში (მასწ. ვ. ადეიშვილი) საწერი თემა იყო: ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“ (მოკლე შინაარსი).

კლასში 29 მოსწავლეა, წერა 27-მა, შეფასება ხუთი მიიღო 1-მა, ოთხი—4-მა. სამი—4 და ორი—11-მა მოსწავლემ. წიგნიერი ნაწერია. მოსწავლეებს მოკლე შინაარსის წერა შეუძლიათ- მასწავლებლის მიერ გულდასმითაა გასწორებული. შეფასება ძირითადად ობიექტურია.

როგორც ჩატარებული წერების ასევე საკონტროლო წერების გადათვალიერების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ მეოთხედური ნიშნები წერაში ლიბერალურად იწერება. თემები ერთფეროვნად არის გაშლილი, ნაშრომებში უფრო სქემატური შინაარსია მოცემული, კრიტიკის ენა სჭარბობს, ნაკლებად ჩანს დამოუკიდებელი მეტყველება და კრიტიკული აზროვნება. ხუთოსან და ოთხოსან მოსწავლეთა შორის დიდი განსხვავება არ არის, ხუთოსანი მოსწავლე კი შემოქმედი უნდა იყოს. რაც შეეხება სამოსანი მოსწავლეების ნაშრომებს, ბევრი მათგანის ნამუშევარი ორს იმსახურებს. საჭიროა მეტი პასუხისმგებლობით ხდებოდეს მოსწავლეთა ნაშრომების შეფასება.

ვანის რაიონის შემოწმებული სკოლების ზოგიერთ დაწყებით კლასში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ისწავლება არითმეტიკა. მასწავლებლები ვ. ჩიგოგიძე, დ. გიორგაძე (ქვედა გორის საშ. სკოლა), ნ. თვალაბეიშვილი (ყუმურის საშ. სკოლა) ბავშვებს ვერ უვითარებენ კონკრეტული მსჯელობისა და ლოგიკური აზროვ-

ნების უნარს, მოსწავლეებმა თითქოს იციან მოქმედებათა წესები, მაგრამ პრაქტიკულად მათი გამოყენება და მარტივი ოპერაციების შესრულება არ შეუძლიათ. ეს პედაგოგები მოსწავლეებს კარგად ვერ აგებინებენ ამოცანის პირობის შინაარსს და ისე იწყებენ გაუაზრებლად მის ამოხსნას, ზოგჯერ მეტად ბუნდოვან კითხვებსაც სვამენ, მუშაობაში ვერ აბამენ მთელ კლასს, ხშირად ერთსა და იმავე მოსწავლეს ეკითხებიან.

აღსანიშნავია, რომ დაწყებითი კლასების არითმეტიკის ზოგიერთი მასწავლებელი სასკოლო სახელმძღვანელოსაც კი ვერ ფლობს და ზოგჯერ თვითონ ვერ ხსნის სახელმძღვანელოში მოცემულ ყველა სავარჯიშოს. სათანადო ყურადღებას არ აქცევენ საკონტროლო და საშინაო წერით მუშაობას. მოსწავლეთა ნამუშევრებში გვხვდება ციფრების არამართებულად დაწერის, გადასწორების შემთხვევები და მოუთმენელი უსუფთაობა.

არსებითი ნაკლოვანებებით ხასიათდება მათემატიკის სწავლება.

მასწავლებელთა ერთი ნაწილი სისტემატურად არ იმაღლებს თეორიული ცოდნის დონეს, არ კითხულობს მეთოდურ ლიტერატურას, მათ მიერ ჩატარებული გაკვეთილები არ შეესაბამება მათემატიკის სწავლების თანამედროვე მოთხოვნებს.

შუამთის საშ. სკოლის IX კლასის მასწავლებელი თ. გუმბერიძე ვერ ამჩნევს მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს. მას არ გაუსწორებია მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომა, რომ $ax+b=0$ განტოლების ფესვები დადებითია, როცა a და b ერთნაირი ნიშნითაა, ხოლო უარყოფითი, როცა სხვადასხვა ნიშნითაა. ვერ არჩევს კვადრატულ სამწევრს კვ. განტოლებიდან. მეთოდურად გაუმართავად და ზერელედ გადასცემს ახალ მასალას. დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე, მათ წარმოდგენა არა აქვთ განტოლებათა ამოხსნის გრაფიკულ ხერხზე, არ იციან წრფივი ფუნქციის კოეფიციენტების გეომეტრიული აზრი, ასოთა დასაშვები მნიშვნელობები და სხვა.

ამავე სკოლის X კლასის მასწავლებელი ნ. მეფარიშვილი, კმაყოფილდება მხოლოდ $y=a^x$ ფუნქციის გრაფიკის განხილვით იმ შემთხვევისათვის, როდესაც $0 \angle a \angle 1$ გრაფიკის მიხედვით განვიხილავთ ფუნქციის თვისებას. მეთოდურად გაუმართავ გაკვეთილებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ატარებენ აგრეთვე ამავე სკოლის მასწავლებლები კ. გუმბერიძე და მ. ხელაძე.

ყუმურის საშ. სკოლის IX კლასის მასწავლებელმა ა. გიორგაძემ თეორემა „თუ სიბრტყე გადის მეორე სიბრტყის გადამკვეთ სწორზე და ჰკვეთს ამ სიბრტყეს“ ახსნა თხრობით, თვალსაჩინოების გამოყენების გარეშე, არ მოუხდენია საკვანძო საკითხების გახსნა. ამიტომ მოსწავლეებმა ვერ გაიგეს. მოსწავლეები მიცემულ გაკვეთილს გადმოსცემენ უსისტემოდ, ვერ უკავშირებენ დაზეპირებულ წინადადებებს ერთმანეთს. არ შესწევთ უნარი ლოგიკური მსჯელობისა. ასევე გაუმართავი გაკვეთილი ჩაატარა V კლასში მასწავლებელმა ა. ადეიშვილმა. მან საშინაო დავალებად მიცემული მაგალითები განმეორებით ამოხსნა კლასში. არ აქცევს ყურადღებას მოსწავლეებში ზეპირი ანგარიშის ჩვევების დანერგვას. ახალი მასალა—„წილადების შეკვეცა“ არ იქნა გასაგებად ახსნილი.

ამაღლების საშ. სკოლის მასწავლებელი გ. სვანიძე თვითონ ასრულებს საშინაო დავალების ამოხსნას, მოსწავლეები კი გაუაზრებლად იწერენ დაფიდან მზამზარეულად გამოყვანილ მაგალითებს. მოსწავლეებმა ზეპირად იციან განსაზღვრებები და განმარტებები, მაგრამ არ იციან შემოკლებული გამრავლების ფორმულების გამოყენება ზეპირი გამოთვლების დროს. რაციონალური რიცხვების შედარება, რიცხვის აბსოლუტური სიდიდის გეომეტრიული აზრი, საერთოდ უმარტივეს მოსაფიქრებელ საკითხებზე ვერ ახერხებენ პასუხის გაცემას. გამოანგარიშების დროს არ იყენებენ საანგარიშო (ლოგარითმულ) სახაზავს, რომელიც გამოანგარიშებისას იძლევა დროის დიდ ეკონომიას.

ამავე სკოლის VI კლასის მასწავლებელი ი. ტყეშელაშვილი ვერ ახერხებს ახალი მასალის „პროპორცია და მისი თვისება“ ახსნას, ის ჯერ იძლევა პროპორციის განსაზღვრას და ყოველგვარი მტკიცების გარეშე ყვება პროპორციის ძირითად თვისებას, პროპორციის წევრთა გადასმას, პროპორციის უცნობი წევრის პოვნას. მასწავლებელი სვამს არამართებულ კითხვებს: „რას უდრის შეფარდების შუა წევრი“, „როგორ ვიპოვოთ რიცხვის პროცენტი“ და სხვა. მოსწავლეებმა არ იციან, რამდენგვარია წილადი, სიდიდეთა განზომილებანი, დამოკიდებულება მოცემულ რიცხვებსა და მათზე მოქმედებათა შედეგებს შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგიერთ სკოლაში ადგილი აქვს საპროგრამო მასალის გავლაში ჩამორჩენას. მაგ., ქვედაგორას საშუალო სკოლის IX კლასში (მასწ. ი. დვალიშვილი) გეომეტრიაში ჩამორჩენაა 5 სასწავლო კვირა.

საკონტროლო წერების თემატიკა ღარიბია. მოცულობა მცირე, მოსწავლეთა ნაშრომები არ არის გასწორებული გულდასმით და შეფასება არაობიექტურია. მაგალითად, ამაღლების საშ. სკოლის X კლასში (მასწ. ა. გაბუნია) მოსწავლე, რომელსაც ამოუხსნია სამი მაგალითი უშეცდომოდ, ხოლო მეოთხე მაგალითი ვერ დაუმთავრებია, შეფასებულია ნიშან „2“-ზე, ხოლო იმავე წერაში მეორე მოსწავლეს დაშვებული აქვს უხეში შეცდომა და მეოთხე მაგალითის ამოხსნა დამთავრებული არ აქვს, შეფასებულია ნიშან „4“-ზე.

მასწავლებელმა ი. დვალიშვილმა (ქვედაგორის საშ. სკოლა) შემოწმების დღეს IX კლასში ჩაატარა საკონტროლო წერა გეომეტრიაში, საწერ თემად მისცა ორი უმარტივესი ამოცანა (ვიპოვოთ წრეწირის სიგრძე და წრის ფართობი. თუ რადიუსი უდრის 5,6 მ. გამოითვალოს რგოლის ფართობი, თუ დიდი რკალის ქორდა 4 მეტრია და მეორე წრეწირის მხებს წარმოადგენს. 24 მოსწავლიდან 5-მა მიიღო შეფასება „3“ დანარჩენმა კი—„2“.

დამამთავრებელ კლასებში ჩატარებულმა საკონტროლო წერებმა გვიჩვენა მოსწავლეთა დაბალი მომზადება.

არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო გ. ტაბიძის სახ. საშ. სკოლაში (მასწ. ვ. გიორგაძე) 24-დან 20-მა მოსწავლემ, ამაღლების საშ. სკოლაში (მასწ. ა. გაბუნია) 22-დან 18-მა მოსწავლემ, შუამთის საშ. სკოლაში (მასწ. შ. მეფარიშვილი) 25-დან 23-მა მოსწავლემ. ზემოთდასახელებულ სკოლებში არცერთ მოსწავლეს არ მიუღია სამზე მაღალი ნიშანი. შედარებით უკეთესი შედეგები გვიჩვენა ყუმურის საშ. სკოლის X კლასმა (მასწ. ო. ჯულაყიძე). შეფასებული 24 მოსწავლიდან ნიშანი „4“ მიიღო სამმა მოსწვალემ. შეფასება—სამი დაიმსახურა 5 მოსწავლის ნაშრომმა.

მიუხედავად იმისა, რომ ვანის რაიონის სკოლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გატარებული ფიზიკის სწავლებისათვის მატერიალური ბაზის მოსაწყობად, ყველა შესწავლილ სკოლაში ფიზიკის კაბინეტ-ლაბორატორიისათვის გამოყოფილია ერთი ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი ოთახი, კაბინეტებში არის ელექტროგაყვანილობა კინოსაპროექციო დანადგარები. ხელსაწყოები სათანადოდ არის დალაგებული დარგების მიხედვით და ხდება მათი უდიდესი ნაწილის გამოყენება სწავლებაში. მაგრამ ჯერ კიდევ არცერთ სკოლაში არ არის შესაძლებელი პროგრამით გათვალისწინებული ყველა ექსპერიმენტის ჩატარება, რადგან საკმაო რაოდენობით არ აქვთ ინვენტარი, ხელსაწყო-იარაღები და მასალები, არ გააჩნიათ პროგრამაში ახლად შეტანილი საკითხების სწავლებისათვის თვალსაჩინოება. ზოგი მასწავლებელი არ ემზადება გაკვეთილისათვის და დაბალ დონეზე ატარებს მას.

შუამთის საშ. სკოლის მასწ. ა. მილორავა საკმაო ყურადღებას არ აქცევს ფორმულების ზუსტად წაკითხვას და პრაქტიკულ საკითხებზე ვარჯიშს, უხეშად ერევა მოსწავლეთა პასუხებში და არასწორ დასკვნამდეც კი მიჰყავს ისინი. VIII კლასში მან არასწორად წაიკითხა ფორმულა $R=\frac{u}{I}$. ამავე სკოლისა და ტაბიძის სახ. საშ. სკოლის VII კლასების მოსწავლეებმა (მასწავლებლები ზ. ბიბილეიშვილი და ა. მილორავა) ვერ შესძლეს სხეულის სიჩქარე $v=10$ მ/წმ გამოესახათ კმ/სთ-ში და ამოეხსნათ მარტივი სახის ამოცანა საშუალო სიჩქარის გამოანგარიშებაზე. აქაც მასწ. მილორავამ თავისი ჩარევით არასწორ დასკვნამდე მიიყვანა კლასი.

ქვედა ბზვანის რვაწლიანი სკოლის (მასწ. თ. მჟავანაძე) მოსწავლეები ნავარჯიშევი არ არიან ფიზიკური სიდიდეების გაზომვაში, ზერელედ იციან საშუალო სიჩქარე და სხვ. VI კლასის მოსწავლეებმა ვერ მოახერხეს ერთი და იგივე სიდიდის ფართობის, მოცულობისა და წონის სხვადასხვა ერთეულებში გამოსახვა. კუთრ წონას ვერ ასხვავებენ წონისაგან.

ზოგიერთი მასწავლებელი არ იცნობს სასწავლო პროგრამას. ამაღლების საშ. სკოლის VIII კლასში მასწავლებელი ი. ტყეშელაშვილი „ბგერითი მოვლენების შემდეგ სინათლის მოვლენებს ასწავლის ნაცვლად „ელექტრული მოვლენებისა“. შემოწმებულ სკოლებში საჭირო ყურადღება არ ექცევა გავლილი მასალის განმეორებას. X კლასში ელექტრობიდან თემების „ელექტრული მუხტები და ელექტრული ველის“, „მუდმივი დენის კანონები და „ელექტრული მოვლენები ვაკუუმში“ გავლისას არ გაუმეორებიათ შესატყვისი საკითხები მექანიკიდან, სითბოდან და მოლეკულური ფიზიკიდან, რის

გამო X კლასის „4“ და „5“ წარმატების მოსწავლეებმაც კი ვერ შესძლეს ანალიზი გაეკეთებინათ შემდეგი ფორმულებისათვის

$$E=\frac{F}{q} \text{ და } E=\frac{q}{r^2}. \; L=\frac{A}{q} \text{ და } L=\frac{q}{r}$$

და ისინი შეედარებინათ ურთიერთისადმი. ასევე ვერ შეადარეს ნიუტონის მსოფლიო მიზიდულობის კანონი და კულონის კანონის გამომხატველი ფორმულები. ლითონებში დენისა და ძაბვის შორის დამოკიდებულების გრაფიკი ვერ შეადარეს გაზებში დენის ცვლილებების ძაბვაზე დამოკიდებულების გრაფიკს და ა. შ.

IX კლასის მოსწავლეები არ არიან ნავარჯიშები ამოცანების გრაფიკული ხერხით ამოხსნაზე, ისინი ვერ ახერხებენ გრაფიკულად გამოსახონ ზოგიერთ ფიზიკურ სიდიდეთა შორის პირდაპირი და უკუპროპორციული დამოკიდებულება. ტაბიძის სახ. ვანის საშ. სკოლის მოსწავლეებმა (მასწ. შ. ხურციძე) ვერ შესძლეს გრაფიკულად გამოესახათ აჩქარების და ძალის შორის (როცა m=const), აჩქარებასა და მასას შორის დამოკიდებულება (როცა F=const). არ არის ამოხსნილი ამოცანები მოძრაობის რაოდენობასა და ნიუტონის მეორე კანონზე, როცა სხეულზე მოძრაობისას მოქმედებს რამდენიმე ძალა ერთად. ანალოგიური ტიპის ამოცანების ამოხსნა ვერ შესძლეს შუამთის, ამაღლების და ზოგიერთი სხვა სკოლების „4“ და „5“ წარმატების მქონე მოსწავლეებმაც კი. შესწავლილ სკოლებში არაობიექტურად იწერება ნიშნები ფიზიკაში.

დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს კიროვის სახ. ვანის საშ. სკოლის (მასწ. ლ. ნადირაშვილი) მოსწავლეებმა ასტრონომიაში. მათ არ იციან გეოგრაფიული გრძედი და განედი, დედამიწის რადიუსის სიდიდე, ჭეშმარიტი ჰორიზონტის განსაზღვრა, სრულყოფილი წარმოდგენა არ აქვთ ცის სფეროზე. მასწავლებელი სპეციალობით გეოგრაფია, ვერ ფლობს საგანს და მოსწავლეებს დაბალ მოთხოვნებს უყენებს.

არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებით ხასიათდება ქიმიის სწავლება.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა გამოვლინდა მთისძირის რვაწლიან სკოლაში. ქიმიის მასწავლებელი თ. მამფორია გაკვეთილებს ცდებისა და დაკვირვებების გარეშე ატარებს. შემოწმების დღისათვის მან არ იცოდა ასახსნელი მასალა და თხრობისას მოურიდებლად იყურებოდა სახელმძღვანელოში. ზოგჯერ

მასწავლებელს დაეკარგებოდა სტრიქონები და ერთსა და იგივეს ორჯერ წერდა დაფაზე მაგ. ორჯერ დაწერა მარილების ურთიერთმოქმედება მჟავეებთან და სხვა.

ამაღლების საშუალო სკოლის (მასწ. ო. გაბუნია) IX—X კლასების მოსწავლეები გავლილი პროგრამული მასალის უცოდინარობას ამჟღავნებენ. IX კლასის მოსწავლეები ვერ ადგენენ ტოლობებს ვალენტობის გამოყენებით, ვერ ერკვევიან ნაერთთა ძირითად კლასებში, არ იციან ჟანგეულებისა და ფუძეების მიღების ხერხები მათი ქიმიური თვისებები, მეტად სუსტი ცოდნა აქვთ პერიოდულ სისტემაზე; ვერ ასხვავებენ დიდსა და მცირე პერიოდებს, არ იციან მეტალების განლაგება პერიოდულ სისტემაში. მექანიკურად აქვთ შესწავლილი და ვერ ერკვევიან ელემენტების ცვლილებებში მწკრივებსა და ჯგუფებში. არ იციან პერიოდული სისტემით სარგებლობის წესი.

სრულებით არ აქვთ მოსწავლეებს ამოცანების ამოხსნის ჩვევები. უმარტივესი ამოცანა „რამდენ გრ. შეადგენს 30 ლიტრი ჟანგბადი“—ვერცერთმა მოსწავლემ ვერ ამოხსნა. გაკვეთილი— „ატომგულის შემადგენლობა“ კლასმა სუსტად იცოდა. X კლასის მოსწავლეები ვერ ადგენენ იონურ ტოლობებს, წარმოდგენა არ აქვთ ნაერთთა სტრუქტურულ ფორმულებზე. ვერ ხსნიან მარტივი ტიპის ამოცანებს. მაგ. ამოცანის „რამდენი ლიტრი ნახშირორჟანგი მიიღება 120 გრ. კირქვის თერმული დაშლის შემდეგ“ ამოხსნისას 20 მოსწავლიდან არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო 17-მა, რაც იმით აიხსნება, რომ მასწავლებელი ო. გაბუნია ზერელედ ემზადება გაკვეთილებისათვის, არ აწარმოებს გავლილი მასალის განმეორებას, იშვიათად აძლევს მოსწავლეებს საშინაო დავალებებს ამოცანების ამოხსნაზე, სრულიად არ ატარებს საკონტროლო წერებს და პრაქტიკულ სამუშაოებს.

ასევე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს შუამთის საშუალო (მასწავლებელი ი. ძოძუაშვილი) და ქვემო-ბზვანის 8-წლიანი (მასწ. ნ. ენძელაძე) სკოლების მოსწავლეებმა. მასწავლებელი ძოძუაშვილი ვერ ფლობს ცდების ჩატარების ტექნიკას. მან ბენზოლის ქიმიური თვისებების გაცნობისას ბრომ ბენზოლის მიღება ცდით უხეშად ჩაატარა, ასეთ შემთხვევაში შესაძლო იყო წარმოქმნილი ბრომწყალბადით მოწამვლის გამოწვევა.

საგრძნობი ნაკლოვანებებით ხასიათდება ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის სწავლება ვანის რაიონის ყუმურის (მასწ. გ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადეიშვილი), ამაღლების (მასწ. თ. სინაურიძე, ი. ხარაზანიშვილი), ტაბიძის სახ. ვანის (მასწ. მ. გოგაძე) საშ. სკოლებში. აღნიშნული სკოლების მასწავლებლების თხრობას აკლია კონკრეტულობა, სიმარტივე და დამაჯერებლობა. ისინი კმაყოფილდებიან ისტორიული ფაქტების აღნუსხვით, ვერ არკვევენ ფაქტებსა და მოვლენებს შორის მიზეზშედეგობრივ კავშირებს და სხვ.

უფრო მეტიც: ახალი მასალის თხრობის დროს არ იცავენ თანმიმდევრობას, ზოგჯერ უშვებენ ფაქტობრივ შეცდომებს, არ აზუსტებენ დებულებებს, სტოვებენ მნიშვნელოვან მოვლენებს, მოსწავლეები უკეთეს შემთხვევაში იზეპირებენ სახელმძღვანელოს შესაბამის თავს გაუაზრებლად. აღნიშნული მასწავლებლები არ აწარმოებენ გავლილი მასალის განმეორებას, რის გამო მოსწავლეებს დავიწყებული აქვთ გავლილი მასალა და ვერ პასუხობენ ელემენტარულ საკითხებზე. მაგ. ამაღლების საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეებმა ახალი ისტორიიდან ვერაფერი თქვეს საფრანგეთ-პრუსიის ომის, პარიზის კომუნის, გერმანიის საგარეო და საშინაო პოლიტიკისა და სხვათა შესახებ, VIII კლასის მოსწავლეებმა კი ინგლისის რევოლუციის, საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის შესახებ და სხვ. ყუმურის და ამაღლების საშ. სკოლების X კლასის მოსწავლეებმა საზოგადოებათმცოდნეობიდან არ იციან მარქსიზმის განსაზღვრა, მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი, საზოგადოებრივი ეკონომიური ფორმაცია, საწარმოო ძალები, წარმოებითი ურთიერთობანი, წარმოების წესი, კაპიტალი, ღირებულება და სხვ. საკითხები.

ყუმურის, შუამთის, ამაღლების, ქვედაგორის საშ. სკოლებს არ აქვთ ისტორიული რუკები, არ არის მოწყობილი ისტორიის კაბინეტები, სრულიად არ სწარმოებს სამხარეთმცოდნეო მუშაობა.

გარკვეული ნაკლოვანებებით ხასიათდება გეოგრაფიის სწავლება. კიროვის სახ. საშ. სკოლაში გეოგრაფიას ასწავლის ვ. რატიანი, რომელიც მოხუცებულობის გამო ვერ ახერხებს გაკვეთილის ორგანიზებულად და ცოცხლად წარმართვას. ამიტომ დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე, მათ არ იციან რუკის კითხვა. მოსწავლეებს არა აქვთ ატლასები და კონტურული რუკები. სრულიად უგულებელყოფილია ბუნებაზე დაკვირვება, არ ტარდება პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაოები, ასევე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს გეოგრაფიაში (მასწ. ბ. ნაფეტვარიძე),

ყუმურის (მასწ. გ. დვალიშვილი), ტაბიძის სახელობის (მასწ. მ. ტყეშელაშვილი) საშ. სკოლების მოსწავლეებმა. თითქმის არცერთ სკოლაში, სადაც გამოკვლევა სწარმოებდა, არაა მოწყობილი გეოგრაფიის მოედანი და გეოგრაფიული კაბინეტი.

შემოწმებულ სკოლებში სათანადო სიმაღლეზე არ დგას დაწყებით კლასებში ბუნებისმცოდნეობისა და გეოგრაფიის ეპიზოდური კურსის სწავლების საქმე. მასწავლებლები არ იცნობენ პროგრამის მოთხოვნებს ამ საგნებში, გაკვეთილებზე არ იყენებენ თვალსაჩინოებას.

შუამთის (დირექტორი ს. ფარცხალაძე), ქვედა გორის (დირექტორი გ. საკანდელიძე), ამაღლების (დირექტორი რ. ძიგრაშვილი) საშ. სკოლებში სათანადო ყურადღება არ ექცევა სასკოლო მუშაობის დაგეგმვას. არადამაკმაყოფილებლად არის შედგენილი სკოლის წლიური სამუშაო გეგმები, მასში კონკრეტულად არ არის ჩამოყალიბებული სასწავლო-აღმზრდელობითი ხასიათის საკითხები. ნაკლებად არის გათვალისწინებული ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლების, საპროგრამო მასალის გავლისა და ათვისების ხარისხის, სწავლებაში თვალსაჩინოების გამოყენების, მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურის ამაღლების საკითხების შესწავლა და განხილვა. ადგილი აქვს ზოგი, შესასრულებლად დაგეგმილი საკითხის ბუნდოვანად, გაუგებრად გადმოცემის შემთხვევებს. როგორც ჩანს, გეგმები ფორმალურად იხილება პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე. იგი არ წარმოადგენს პედაგოგიური კოლექტივების შემოქმედებითი ძიებით შექმნილ სასკოლო დოკუმენტს.

არადამაკმაყოფილებლად არის შედგენილი აგრეთვე კლასის ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმები. ისინი, არაიშვიათად ფორმალურად დგება, იმის გაუთვალისწინებლად, თუ რომელ და როგორ კლასთან უხდება მუშაობა მის შემდგენელს; როგორც ირკვევა, სკოლების ხელმძღვანელები დირექტორები და დირექტორის მოადგილეები სასწავლო მუშაობის დარგში გულდასმით არ იხილავენ კლასის ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმებს და არ აძლევენ მათ სათანადო მითითებებს.

პედაგოგიურად და მეთოდურად არასწორად არის შედგენილი გაკვეთილების ცხრილი ამაღლების, ქვედა გორის, კიროვის სახ. (დირექტორი მ. მესხი), შუამთის, ტაბიძის სახ. (დირექტორი გ. ძაგნიძე) საშ. სკოლებში. ორი და სამ საათიანი სასწავლო დის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციპლინები ცხრილში ინტერვალის გარეშე მოთავსებული, ხოლო ერთმანეთის მიყოლებითაა ცხრილში მოქცეული ერთფეროვანი საგნები, ძნელად ასათვისებელი საგნები: მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია მე-6 გაკვეთილებზეა გადატანილი, დღეები თანაბრად არაა დატვირთული. უფრო მეტიც: ქვედა გორის საშუალო სკოლაში ადგილი აქვს მათემატიკის, ქართული ენისა და ლიტერატურის საათების დაწყვილების შემთხვევებს.

გარკვეული ნაკლოვანებებით ხასიათდება შემოწმებული სკოლების პედაგოგიური საბჭოების მუშაობა. პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე არ ვლინდება ცალკეული საგნის მასწავლებლებისა და კლასის ხელმძღვანელების მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი, არ ისახება კონკრეტული ღონისძიებანი მათ გამოსასწორებლად, მეოთხედის ბოლოს არ არის გაკეთებული საფუძვლიანი ანალიზი მეოთხედში ჩატარებული მუშაობისა; არ ხდება მიღებული დადგენილებების შესრულების შემოწმება და სხვ.

სკოლების ადმინისტრაციის და მთელი პედაგოგიური კოლექტივის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგია ის, რომ ზოგიერთ სკოლაში დაბალია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება. მიმდინარე სასწავლო წლის პირველ მეოთხედში კიროვის სახ. საშ. სკოლაში ვერ ასწრებს 559-დან 144 მოსწავლე. (26%), ქვედა გორის საშ. სკოლაში 448-დან 107 მოსწავლე (24%), ყუმურის საშ სკოლაში—303-დან 69 მოსწავლე (22%), შუამთის საშუალო სკოლაში 493-დან 96 მოსწავლე (19,5%).

არასწორად არიან სპეციალობების მიხედვით შერჩეული სკოლის დირექტორები და დირექტორის მოადგილეები სასწავლო მუშაობის დარგში. უმრავლეს შემთხვევაში ისინი ერთი და იგივე ან მონათესავე სპეციალობის არიან. მაგ. გ. ტაბიძის სახ. შუამთის და ამაღლების საშუალო სკოლების დირექტორები და დირექტორის მოადგილეები სასწავლო მუშაობის დარგში ისტორიკოსებია, რაც აძნელებს ყველა მასწავლებლის მუშაობაზე ხელმძღვანელობასა და კონტროლს.

სკოლების მუშაობაში არსებული ეს ნაკლოვანებანი უმთავრესად გამოწვეულია იმით, რომ სკოლების დირექტორები და მათი მოადგილეები სასწავლო მუშაობის დარგში სუსტად ხელმძღვანელობენ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას სკოლებში.

მცირე რაოდენობით აქვთ გაკვეთილები მოსმენილი მთისძირის რვაწლიანი სკოლის დირექტორს დ. ტაბიძეს (6 გაკვეთილი),

ქვედაბზვანის 9-წლიანი სკოლის დირექტორს ი. ნოსერიძეს (12 გაკვეთილი), დირექტორის მოადგილეს სასწავლო მუშაობის დარგში ა. დიასამიძეს (17 გაკვეთილი), ქვედაგორას საშ. სკოლის დირექტორს გ. საკანდელიძეს (10 გაკვეთილი), დირექტორის მოადგილეს სასწავლო მუშაობის დარგში თ. ხურციძეს (22 გაკვეთილი). ანალიზები ზერელე და არაფრის მთქმელია. მასში არ ჩანს გაკვეთილის მეცნიერულ-აკადემიური, მეთოდური და იდეური მხარეები. დასახელებული სკოლების ხელმძღვანელები ნაკლებად იცნობენ ცალკეული საგნების სასწავლო პროგრამებს, განმარტებით ბარათებს, სახელმძღვანელოებს, განათლების სამინისტროს სათანადო მითითებებს და ამდენად არც მათ შესრულებაზე ხელმძღვანელობა და კონტროლი შეუძლიათ.

შ. ლომიძე
ა. აბაშიძე
დ. კომლაძე
ო. ვახტანგაძე
გ. ჯავახიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წ. 31 დეკემბრის ბრძანება № 1491

### ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ესთეტიკური აღზრდის მდგომარეობისა და მის შემდგომ გაუმჯობესებაზე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ა/წ ნოემბერში განიხილა საკითხი, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის პარტიულმა, კომკავშირულმა, პროფკავშირულმა და საბჭოთა ორგანოებმა, სამინისტროებმა, უწყებებმა, შემოქმედებითმა კავშირებმა და საზოგადოებებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს ამ დადგენილების შესასრულებლად. ბევრი რამ გაკეთდა სკოლებში ესთეტიკური ციკლის საგნების სწავლების მეთოდიკის გაუმჯობესების მიმართულებით. თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დაწყებითი განათლების ფაკულტეტზე დაიწყო მუსიკისა და სიმღერის მასწავლებელთა მომზადება. 50 პროცენტით გაიზარდა რესპუბლიკის მუსიკალურ სასწავლებლებში მისაღები კონტინგენტი.

საბავშვო რადიო და ტელეგადაცემათა შინაარსი და ფორმა უკეთ შეესაბამება მოზარდი თაობის ზნეობრივი და კულტურული აღზრდის ამოცანებს. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პირველი ოთხი კლასისათვის გამოიცა მუსიკის სახელმძღვანელო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი. იბეჭდება უფრო მეტი წიგნი, პოპულარული ნარკვევი, კულ-ტურისა და ხელოვნების მოღვაწეთა ბიოგრაფია, მხატვრული ალბომი, რაც აუცილებელია ესთეტიკური აღზრდის გაუმჯობესებისათვის.

გაუმჯობესდა საბავშვო წიგნის მხატვრული გაფორმებისა და პოლიგრაფიული შესრულების დონე.

შეიქმნა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ესთეტიკური აღზრდის სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტი, თბილისის მხატვრული აღზრდის სახლი და საბავშვო წიგნის სახლი. სკოლებში, პიონერთა სასახლეებსა და სახლებში, პროფკავშირულ კლუბებსა და საბავშვო ბიბლიოთეკებში გაძლიერდა კლასგარეშე მუშაობა. მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების ოლიმპიადები და საბავშვო სახატვრო გამოფენები, რომლებიც 1966 წლის ზაფხულში მოეწყო, მასობრივი იყო და მაღალ დონეზე ჩაიარა.

მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის ამ დადებით მხარეებთან ერთად საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ყურადღებას აქცევს აგრეთვე მთელ რიგ ნაკლოვანებებს.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ რესპუბლიკის სკოლები ჯერ კიდევ არ არის დაკომპლექტებული ესთეტიკური ციკლის დისციპლინების საკმაო რაოდენობის კვალიფიციური მასწავლებლებით, განსაკუთრებით სოფლად. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ და განათლების სამინისტრომ სათანადო ღონისძიებანი ვერ განახორციელეს ესთეტიკურ დისციპლინათა მასწავლებლების პროფესიული მომზადების გაუმჯობესებისა და ხელახალი მომზადებისათვის.

ლიტერატურის, ისტორიის, გეოგრაფიის, ბუნებისმეტყველების გაკვეთილებს ჯერ კიდევ ნაკლებად იყენებენ იმისათვის, რომ მოსწავლეებს გამოუმუშაონ მხატვრული გემოვნება და დაუნერგონ კულტურული ჩვევები. მიუხედავად იმისა, რომ ნაყოფიერი მუშაობაა გაწეული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მუსიკალური ჯგუფების შექმნისათვის, რესპუბლიკის მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტი სათანადო ყურადღებით არ ეკიდება მხატვრული აღზრდის სხვა სახეობებს. ხშირად მკაფიო მეცნიერულ-მეთოდური რეკომენდაციების უქონლობის გამო სასკოლო წრეებისა და კლუბების მთელი მუშაობა ამოიწურება ცალკეული სადღესასწაულო ღონისძიებით და შეზღუდულია მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეთა მცირე რიცხვით. ბევრი სკო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის შენობა, საკლასო ოთახი, დერეფანი და ფოიე ცუდად და უგემოვნოდ არის გაფორმებული. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების მიუხედავად, დღემდე არ შექმნილა მოძრავი საბავშვო თოჯინების თეატრები და კინო-თეატრები, არ დამთავრებულა ვიწრო ფირიანი კინოდანადგარებით სკოლების აღჭურვა.

ცოტა დროს უთმობენ ბავშვებთან მუშაობას რესპუბლიკის შემოქმედებითი კავშირები, საზოგადოებები, შემოქმედებითი მუშაკები, აგრეთვე ხალხური შემოქმედების სახლები. საქართველოს სსრ კულტურისა და განათლების სამინისტროებმა და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მოსწავლეებთან მუშაობაში ფართოდ ვერ ჩააბეს თვალსაჩინო მოღვაწენი, შემოქმედი ინტელიგენციის წარმომადგენლები, უმაღლეს სასწავლებელთა მასწავლებლები და სტუდენტები.

მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის ნაკლოვანებანი ხშირად იმის შედეგია, რომ ამ საქმისადმი სათანადო ყურადღებას ვერ იჩენენ ადგილობრივი პარტიული, კომკავშირული და საბჭოთა ორგანოები, რომლებიც ხშირად ჯეროვნად ვერ აფასებენ ესთეტიკური აღზრდის როლს, რაც ახალგაზრდობასთან იდეოლოგიური მუშაობის განუყოფელი ნაწილია.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები უნდა წარმართავდნენ პედაგოგიური კოლექტივების, განათლების და კულტურის ორგანოების, შემოქმედებითი ორგანიზაციებისა და საზოგადოების საქმიანობას იმგვარად, რომ გააძლიერონ მოსწავლე ახალგაზრდობაში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, პროპაგანდა საბჭოთა ადამიანებისათვის უცხო ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენის წინააღმდეგ, გააუმჯობესონ მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის ფორმები და მეთოდები, რათა ყოველმხრივ განვითარებული, კომუნისტური საზოგადოების მომავალი მშენებლები იქნენ აღზრდილი.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ უნდა განახორციელოს ღონისძიებანი, რათა აღმოფხვრას ნაკლოვანებანი, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური კოლექტივების მუშაობას აქვს მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის დარგში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ლიტერატურის, ისტორიის, გეოგრაფიის, ბუნებისმეტყველების სასწავლო მასალის გამოყენებას მოსწავლეებში იმ მტკიცე ესთეტიკურ შეხედულებათა და ჩვევათა დანერგვის მიზნით, რომლებსაც საფუძვლად უდევს სოციალისტური რეალიზმის ჯანსაღი პრინციპები.

სკოლების დირექტორებთან ერთად ესთეტიკური აღზრდის ხელმძღვანელობა უნდა დაეკისროს აგრეთვე კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორებს. კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობისათვის უნდა გამოიყონ შესაფერისი განათლების და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პედაგოგები და სპეციალისტები.

უნდა გაძლიერდეს მუშაობა ესთეტიკური ციკლის ყველა იმ დისციპლინის პროგრამების, სახელმძღვანელოებისა და მეთოდური დამხმარე სახელმძღვანელოების შექმნისა და გაუმჯობესებისათვის, რომლებსაც სკოლაში ასწავლიან.

რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ უნდა განიხილოს საკითხი საშუალო სკოლის უფროს კლასებში ფაკულტატური საგნის—„ესთეტიკის ელემენტარული კურსის“ შემოღების შესახებ.

საქართველოს განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა მკვეთრად უნდა გააუმჯობესოს მუშაობა ესთეტიკური დისციპლინების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის; ინსტიტუტში უნდა შეიქმნას ესთეტიკური აღზრდის კაბინეტი.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი, რომ 1967—1968 სასწავლო წელს ზოგიერთი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის, აგრეთვე ერთ-ორ სკოლა-ინტერნატის კლასებში შემოიღონ ესთეტიკის საგნების გაძლიერებული სწავლება.

უნდა გაუმჯობესდეს ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო მეთოდური კაბინეტის მუშაობა, განხორციელდეს ღონისძიებანი მისი მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის. კაბინეტი უნდა დაკომპლექტდეს ყველა სახეობის მხატვრული აღზრდის სპეციალისტებით.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს და საქართველოს მინისტრთა საბჭოს წარუდგინოს წინადადებანი სასკოლო კინოკაბინეტებისა და ესთეტიკური აღზრდის სხვა კაბინეტების მოწყობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, რესპუბლიკის პროფსაბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი ვალდებული არიან გააუმჯობესონ მოსწავლეებთან სკოლის გარეშე და კლასგარეშე მუშაობის ხელმძღვანელობა ესთეტიკური აღზრდის დარგში, მიაღწიონ იმას, რომ მაღალმხატვრულ დონეზე მიმდინარეობდეს და მასობრივი იყოს ისეთი ღონისძიებანი, როგორიცაა საოლქო, საარაიონთაშორისო, რაიონული, საქალაქო კონკურსები, გამოფენები, დათვალიერებანი, სასკოლო დღესასწაულები, ისინი აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ საბავშვო თეატრების რეპერტუარის, საბავშვო კინოფილმების სცენარების, რადიოსა და ტელევიზიის პროგრამების შექმნასა და გაუმჯობესებაში, უფრო ფართოდ უნდა მოვაწყოთ მოსწავლეთა დასწრება კინოთეატრებში, სიმფონიურ კონცერტებზე, ოპერაში, სპექტაკლებსა და გამოფენებზე, რათა გაფართოვდეს მათი კულტურული ჰორიზონტი და გამოუმუშავდეთ ესთეტიკური გემოვნება.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ უნდა გააუმჯობესოს უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მუსიკის, სიმღერის, ხატვის, ცეკვის მასწავლებელთა კადრების მომზადების საქმე, მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდოს სამხატვრო უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების კურსდამთავრებული სპეციალისტებით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაკომპლექტების საქმეს.

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი, დრამატული თეატრები და სხვა სანახაობითი დაწესებულებანი ვალდებული არიან გააუმჯობესონ საბავშვო რეპერტუარი და მოსწავლეთათვის დადგან უფრო მეტი სპექტაკლი.

რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ უნდა სრულყოს თოჯინების თეატრებისა და მოზარდმაყურებელთა თეატრების საქმიანობა. მათი ყურადღება მიაქციოს გასვლითს სპექტაკლებს და სკოლასთან ურთიერთობის გაფართოებას.

უნდა გაძლიერდეს შემოქმედებითი უმაღლესი სასწავლებლებისა და სასწავლებლების კავშირი სკოლასთან. სტუდენტები პედაგოგიურ საწარმოო პრაქტიკისათვის უნდა გავგზავნოთ სკოლებში, რათა მოაწყონ მხატვრული თვითმოქმედების წრეები და დაეხმარონ სკოლის შენობათა მხატვრულ გაფორმებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს წინადადება მიეცა უახლოეს დროში შექმნას თოჯინების თეატრებსა და მოზარდ მაყურებელთა თეატრებში მუდმივ მოქმედი მოძრავი თეატრები, საქართველოს პროფსაბჭომ, რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ და საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ უნდა განიხილონ მოძრავი თეატრების დაფინანსებაში მონაწილეობის საკითხი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა ერთ თვეში უნდა შეიმუშაოს სკოლის ასაკის ბავშვთა კინომომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებანი. 1966 წლის დამლევამდე უნდა ამუშავდეს ორი მოძრავი კინოთეატრი, რომლებიც მოემსახურება სოფლად მცხოვრებ მოსწავლეებს. თემატურ გეგმაში უნდა გავითვალისწინოთ ქრონიკულ-დოკუმენტური, მეცნიერულ-პოპულარული და ნახატი კინოფილმების რაოდენობის გადიდება. კინოსტუდია „ქართული ფილმი" ვალდებულია ყოველწლიურად გამოუშვას ერთი სრულმეტრაჟიანი საბავშვო მხატვრული ფილმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ უნდა წარმართოს რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა მუშაობა ისე, რომ აამაღლონ სტუდენტთა ცოდნის დონე, მიაღწიონ იმას, რომ ყველა კურსდამთავრებულ პედაგოგს კვალიფიციურად შეეძლოს მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდა.

1967 წლიდან გამომცემლობათა გეგმებში გათვალისწინებული უნდა იქნეს მეტი რაოდენობით საბავშვო ლიტერატურის, პოპულარული ნარკვევების, ალბომების, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე სხვადასხვა კრებულების გამოცემა, აგრეთვე ქართველი მხატვრების ნაწარმოებთა რეპროდუქციების მხატვრული ღია ბარათების კომპლექტთა გამოშვება.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირმა, სახვითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმმა, სახელმწიფო ლიტერატურულმა მუზეუმმა და სახელმწიფო თეატრალურმა მუზეუმმა სკოლებისათვის უნდა მოამზადონ თემატური მოძრავი გამოფენების სერია.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან უნდა შეიქმნას ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური საბჭო, რომელშიც შევლენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის პროფსაბჭოს, კულტურის სამინისტროს, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის, კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტების, შემოქმედებითი კავშირებისა და საზოგადოებების, შემოქმედი ინტელიგენციის წარმომადგენლები.

ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკურ საბჭოს დაევალა მოზარდი თაობის ესთეტიკური აღზრდისათვის მთელი მუშაობის კოორდინაცია, წარმართვა და კონტროლი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ავალებს რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტს გააძლიერონ მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის დარგში ცალკეული სკოლებისა და შემოქმედებითი ორგანიზაციების საუკეთესო გამოცდილების პროპაგანდა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების და სკოლისგარეშე დაწესებულებების დირექტორებმა:

ა) სერიოზული ყურადღება მიაქციონ ესთეტიკის ციკლის საგნების სწავლების გაუმჯობესების საქმეს, მიაღწიონ იმას, რომ გაკვეთილები მუსიკასა და სიმღერაში, სახვით ხელოვნებაში, აგრეთვე კლასგარეშე მუშაობა ამ ხაზით არსებული პროგრამების მოთხოვნილებების შესაბამისად ტარდებოდეს მაღალ დონეზე;

ბ) გააუმჯობესონ მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის ფორმები და მეთოდები, გამოიმუშაონ მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის მწყობრი, მოფიქრებული სისტემა; მიაღწიონ იმას, რომ ესთეტიკური აღზრდის გაუმჯობესება გახდეს მთელი პედაგოგიური კოლექტივის ამოცანა და ამ მიმართულებით მუშაობას სისტემატური, ყოველდღიური ხასიათი ჰქონდეს, იგი ორგანიულად იყოს დაკავშირებული მოსწავლეთა იდეურ, ზნეობრივ და შრომით აღზრდასთან;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ლიტერატურის, ისტორიის, გეოგრაფიის, ბუნებისმეტყველების სასწავლო მასალის გამოყენებას მოსწავლეებში ესთეტიკურ შეხედულებათა და ჩვევათა დასანერგავად; მიაღწიონ იმას. რომ თითოეული საგნის მას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავლებელმა თავისი საგნის სწავლების პროცესში გამოიყენოს ესთეტიკური აღზრდის ელემენტები;

დ) დედაენისა და სხვა სათანადო საგნების გაკვეთილებზე და საწრეო მუშაობაში გარკვეული ადგილი დაუთმონ მოსწავლეებში წიგნის კითხვისადმი სიყვარულის აღზრდას; გამოუმუშაონ ბავშვებს სწორი, გამართული მეტყველების, შეგნებული კითხვის, სიტყვის მკაფიოდ, გარკვევით გამოთქმის უნარი;

ე) შესაფერი ადგილი დაუთმონ ბავშვთა საყოფაცხოვრებო ესთეტიკას. განახორციელონ ღონისძიებანი სასკოლო შენობების, დერეფნების, დარბაზების, საკლასო ოთახების, კაბინეტების, კარმიდამოს ფაქიზად და გემოვნებით გაფორმებისათვის;

ვ) მასობრივად ჩააბან მოსწავლენი მომღერალთა გუნდში, სახვითი ხელოვნების, საორკესტრო, მხატვრული კითხვის, დრამატულ და სხვა წრეებში;

ზ) მიაღწიონ სკოლისა და ოჯახის შეთანხმებულ მუშაობას ბავშვთა ესთეტიკურ აღზრდაში; პერიოდულად ჩაატარონ მშობლებთან მუშაობა ოჯახში ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის მნიშვნელობაზე;

თ) სისტემატურად იზრუნონ ესთეტიკის ციკლის საგნების სწავლებისათვის საჭირო ბაზის შესაქმნელად და განსამტკიცებლად, მუსიკისა და სიმღერის, სახვითი ხელოვნების კაბინეტების სათანადო ინვენტარით, საკრავებითა და ხელსაწყოებით აღჭურვისათვის.

2. აფხაზეთის და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების მუშაობაზე, აამაღლონ სკოლის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის საქმეზე; პერიოდულად შეამოწმონ რაიონის, ქალაქის სკოლებში, სკოლის გარეშე დაწესებულებებში ესთეტიკური აღზრდის მდგომარეობა, შედეგები განიხილონ კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე და განახორციელონ აუცილებელი ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

სერიოზული ადგილი დაუთმონ კლასგარეშე საწრეო მუშაობის ორგანიზაციას საგუნდო, ქორეოგრაფიის, სახვითი ხელოვნების, მხატვრული კითხვისა და სხვა დარგებში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) სისტემატურად იზრუნონ სკოლების დაკომპლექტებისათვის სათანადო განათლების მქონე ესთეტიკის ციკლის საგნების კვალიფიციური მასწავლებლებით; გაატარონ ღონისძიებანი ესთეტიკის ციკლის საგნების მასწავლებელთა კვალიფიკაციისა და საერთოდ მასწავლებელთა და სკოლის ხელმძღვანელთა ესთეტიკური მომზადების დონის ასამაღლებლად;

გ) 1967 წლის იანვარ-თებერვალში შეისწავლონ ესთეტიკური აღზრდის ადგილობრივი სექციების მუშაობა და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი;

დ) მიიღონ ზომები სკოლებში სახვითი ხელოვნებისა და სიმღერის, მუსიკის კაბინეტების მოწყობისა და მათი სათანადო აღჭურვისათვის;

ე) მტკიცე კავშირი დაამყარონ ადგილობრივი შემოქმედებით ორგანიზაციებთან, კულტურისა და მუსიკალურ-სამხატვრო დაწესებულებებთან, რათა მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული მათი დახმარება სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებისადმი ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის საქმეში;

პერიოდულად მოაწყონ სკოლებში ლექციები და საუბრები ხელოვნების სხვადასხვა საკითხებზე, ლექცია-კონცერტები, მოძრავი გამოფენები, შეხვედრები ხელოვნების მუშაკებთან, აწარმოონ კლასიკური და თანამედროვე მუსიკის პროპაგანდა;

ვ) დაგეგმონ და გაშალონ მუშაობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 და ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ესთეტიკური ღონისძიებების ჩასატარებლად;

ზ) გაშალონ სათანადო მუშაობა მოსწავლეთა თვითმოქმედების მე-6 რესპუბლიკური ოლიმპიადის მოსამზადებლად, რომლის ჩატარება განსაზღვრულია 1968 წლის გაზაფხულზე.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მხატვრული აღზრდის რესპუბლიკურმა სამეცნიერო-მეთოდურმა კაბინეტმა (ჯ. მუჯირი):

ა) გააძლიეროს მუშაობა პროგრამების, რეკომენდაციებისა და მითითებების, მეთოდური და მეცნიერული შრომების, სასიმღერო და კლასგარეშე საკითხავი კრებულების შედგენა-დამუშავებაზე;

ბ) სისტემატური დახმარება და კონტროლი გაუწიოს თბილისის მხატვრული აღზრდის სახლს, ქალაქებისა და რაიონების

მეთოდისტებს ესთეტიკური აღზრდის დარგში, პერიოდულად მოაწყოს მათი შეკრება, სემინარები, გამოცდილების გაზიარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. სკოლების სამმართველომ (დ. ჯავახია), სკოლა-ინტერნატების სამმართველომ (ვ. ჩინჩალაძე) და ესთეტიკური აღზრდის სამეცნიერო-მეთოდურმა კაბინეტმა (ჯ. მუჯირი):

ა) პერიოდულად შეისწავლონ განათლების განყოფილებების, სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების მუშაობა მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის დარგში და მოამზადონ საკითხები კოლეგიაზე განსახილველად;

ბ) თვალყური ადევნონ სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების სათანადო ინვენტარით, საკრავებით, მოწყობილობით აღჭურვას, ესთეტიკის ციკლის საგნებისათვის საჭირო საარიცხვო დოკუმენტაციის შექმნასა და დაბეჭდვას;

გ) შეისწავლონ და ერთი თვის ვადაში წარმოადგინონ წინადადებანი რამოდენიმე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში და ერთ ან ორ სკოლა-ინტერნატში 1967—1968 სასწავლო წლიდან ესთეტიკის ციკლის საგნების გაძლიერებული სწავლების შემოღების შესახებ, ამასთან დაკავშირებით შეიმუშაონ და წარმოადგინონ სათანადო დებულება;

დ) 1967 წლის იანვრის ბოლომდე წარმოადგინონ რეკომენდაციები სკოლებში და სკოლისგარეშე დაწესებულებებში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისა და ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების შესახებ;

ე) 1967 წლის თებერვლის ბოლომდე წარმოადგინონ სია მოსწავლეთა თვითმოქმედების მე-6 რესპუბლიკური ოლიმპიადის ოპერატიული შტაბის წევრთა შესახებ და შტაბის სამუშაო გეგმა.

5. სკოლების სამმართველომ (დ. ჯავახია), მეთოდიკის განყოფილებამ (ვ. ცაავა) და ესთეტიკური აღზრდის სამეცნიერო მეთოდურმა კაბინეტმა (ჯ. მუჯირი) წარმოადგინონ წინადადება 1967 წლის 1-ლი სექტემბრიდან უფროს კლასებში „ესთეტიკის ელემენტარული კურსის“ ფაკულტატურად სწავლების შემოღების შესახებ.

6. კადრების განყოფილებამ (ი. კვაჭაძე), მხატვრული აღზრდის სამეცნიერო მეთოდურ კაბინეტთან ერთად, მიიღოს საჭირო ზომები ესთეტიკის ციკლის საგნების მასწავლებელთა შემადგენლობის

შემდგომი გაუმჯობესებისათვის, საჭირო კონტროლი დააწესოს განათლების ადგილობრივი ორგანოებისადმი, სათანადო განათლებისა და გამოცდილების მქონე კადრების შერჩევასა და დანიშვნის საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. განათლების სამინისტროს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტმა (თ. ზახაშვილი) გააძლიეროს მუშაობა ესთეტიკის ციკლის საგნების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის; 1967 წლის გეგმით გაითვალისწინოს სიმღერა-მუსიკის' სახვითი ხელოვნებისა და ქორეოგრაფიის 300 მასწავლებლის გადამზადება.

8. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ა. კვაჭაძე) წარმოადგინოს წინადადებანი:

ა) 1967 წლის იანვრიდან განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში ესთეტიკური აღზრდის კაბინეტის შესაქმნელად და მხატვრული აღზრდის სამეცნიერო მეთოდური კაბინეტის მუშაობის გაძლიერების მიზნით აუცილებელი საშტატო ერთეულების გამოყოფის შესახებ;

ბ) მიიღოს ზომები, მოსწავლეთა თვითმოქმედების მე-6 რესპუბლიკური ოლიმპიადის ღონისძიებათა დროულად დაფინანსებისათვის;

გ) მხატვრული აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის მატერიალური ბაზის გაუმჯობესებისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავის მიძღვნილი ღონისძიებების ჩასატარებლად მხატვრული აღზრდის მეთოდური კაბინეტისათვის სათანადო ასიგნობათა გამოყოფის შესახებ.

9. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ (ს. არველაძე):

ა) მიიღოს ზომები მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდისათვის საჭირო რაოდენობით დგამ-ავეჯისა და კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობილობების დასამზადებლად; მხატვრული აღზრდის სამეცნიერო-მეთოდურ კაბინეტთან ერთად, ერთი თვის ვადაში მოამზადოს სათანადო წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წარსადგენად სასკოლო კინოკაბინეტებისა და ესთეტიკური აღზრდის სხვა კაბინეტების საჭირო მოწყობილობებით აღჭურვის შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) 1967 წლის განმავლობაში უზრუნველყოს მხატვრული აღზრდის რესპუბლიკურ სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტისათვის ავტობუსის გამოყოფა, აგრეთვე გამოუყოს კაბინეტს დგამ-ავეჯი და სხვა საჭირო მოწყობილობა.

10. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს 1967 წლის საგამომცემლო გეგმაში გაითვალისწინოს სასკოლო გუნდების სიმღერების, ზაქარია ფალიაშვილის საბავშვო, სკოლამდელთა სიმღერების, საბავშვო ოპერებისა და კანტანტების კრებულების გამოცემა.

11. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაამტკიცოს ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური საბჭოს შემადგენლობა.

მხატვრული აღზრდის სამეცნიერო-მეთოდურმა კაბინეტმა, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სათანადო სამმართველოსთან ერთად, ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური საბჭოს დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წარსადგენად.

12. გაზეთ „სახალხო განათლების“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა სისტემატურად გააშუქონ საკითხები მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის შესახებ.

13. მინისტრის თანაშემწემ თ. გოდაბრელიძემ სისტემატური ზედამხედველობა დააწესოს ამ ბრძანების განხორციელებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1966 წლის 23 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წ. 31 დეკემბრის ბრძანება № 1498

**მე-15 რესპუბლიკური კონკურსის „ნორჩი ტექნიკოსები სამშობლოს“ შედეგებისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ბავშვთა ტექნიკური შემოქმედების საკავშირო დათვალიერებაში მონაწილეობის შესახებ**

აღვნიშნავ, რომ მე-15 რესპუბლიკური კონკურსის „ნორჩი ტექნიკოსები—სამშობლოს“ ჩატარებამ ხელი შეუწყო სკოლებში ტექნიკური წრეების მუშაობის გაუმჯობესებასა და ტექნიკის შესწავლით დაინტერესებული მოსწავლეების გამოვლინების საქმეს.

მე-15 რესპუბლიკურ კონკურსში მონაწილეობდა საქართველოს სსრ 58 რაიონისა და ქალაქის 1000-ზე მეტი რვაწლიანი და საშუალო სკოლის 40.000-მდე მოსწავლე, რომლებმაც თავიანთი სკოლებისათვის დაამზადეს 25.000-ზე მეტი თვითნაკეთი ხელსაწყო.

ადგილებზე მოწყობილ სარაიონო, საქალაქო და საოლქო გამოფენებზე წარმოდგენილ თვითნაკეთობებიდან შერჩეული იქნა და გადმოიგზავნა 1500-მდე სხვადასხვა სახის თვალსაჩინო ხელსაწყო და დიდაქტიკური მასალა.

რესპუბლიკურ გამოფენაზე სანიმუშოდ შესრულებული ხელსაწყოები და მოქმედი მოდელები წარმოადგინეს: აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. ქ. თბილისის, რუსთავის, ფოთის, გორის, აგრეთვე თელავის, სამტრედიის, გარდაბნის და სხვა რაიონებისა და ქალაქების საშუალო სკოლებმა და სკოლისგარეშე დაწესებულებებმა.

სკოლისგარეშე დაწესებულებებიდან ამ საქმეში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ: ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. ქ. ქუთაისის, რუსთავის, გორის, ფოთის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურები და თელავის, დუშეთისა და სხვა რა᾽ონების პიონერთა სახლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონკურსზე სანიმუშოდ შესრულებული ექსპონატები წარმოადგინეს ქ. თბილისის მე-15, 22-ე, 27-ე, 48-ე და ქ. ბათუმის 23-ე საშუალო სკოლების ქიმიის; ქ. თბილისის 37-ე, 76-ე და 86-ე საშუალო სკოლების რადიოტექნიკურმა; ქ. ქუთაისის მე-10, 30-ე, ქ. რუსთავის სკოლა-ინტერნატისა და ქობულეთის რაიონის ჩაქვის საშუალო სკოლების ფიზიკის; ქ. თბილისის 83-ე, 106-ე, 114-ე, გარდაბნის რაიონის კოჯრის სკოლა-ინტერნატის, ზესტაფონის მე-4, ორჯონიკიძის რაიონის ვახანის, ხაშურის 1-ლი, ასპინძის რაიონის დამალისა და სხვა რაიონებისა და ქალაქების საშუალო სკოლების ტექნიკურმა; ქ. თბილისის 76-ე, ახმეტის რაიონის ქვემო ალვანის, თელავის მე 5 საშუალო და გარდაბნის რაიონის კოჯრის სკოლა-ინტერნატის ხელმარჯვეთა; ქ სოხუმის 1-ლი სკოლა-ინტერნატისა და დუშეთის პიონერთა სახლის ელექტროტექნიკოსთა წრეებმა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ნამუშევრები ტელემექანიკიდან, ავტომატიკიდან. მარტო გამომცდელი მანქანების სახით წარმოდგენილი იყო 30-მდე ექსპონატი.

ზუსტად და ფაქიზად შესრულებული ხელსაწყოების წარმოდგენით გამოირჩეოდნენ: სალარეიშვილი მზია და მოსაშვილი მიხეილი (ქ. რუსთავის მე-10 საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლეები, წარმოადგინეს მშრალი ყინულის მიღების სქემის სტენდი); გოდერძიშვილი გელა და თვაური თემური (ქ. თბილისის მე-7, მე-18 საშუალო სკოლების X კლასის მოსწავლეები, წარმოადგინეს ტრანზისტორებზე მომუშავე მცირეგაბარიტიანი მაგნიტოფონის მოქმედი აპარატურა); ბიტიევი ოლეგი (ქ. ცხინვალის მე-2 საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე, დაამზადა ელექტროვიბრაციული ტუმბოს მოქმედი აპარატი); კიკნაველიძე ბადრი და უგულავა ოთარი (ქ. ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლეები, დაამზადეს ტვირთის გადასაადგილებელი ავტომატური მექანიზმი); პუპინინი ვლადიმერ (გარდაბნის რაიონის კოჯრის სკოლა-ინტერნატის IX კლასის მოსწავლე, ინკრუსტაციის წესით ფერადი ხისაგან დაამზადა ა. ი. ჩეხოვის პორტრეტი); ხარჩილავა დანიელი და ცკობეხია გივი (გალის რაიონის ქვემობარღების საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეები, ხისაგან დაამზადეს მოძრავი მოდელი „შრომისმოყვარე დათუნიები"); ნემსიწვერიძე გენო (ქ. ბათუმის მე-10 საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე, დაამზადა კრეისერის მოქმედი მოდელი); მჟავანაძე დარეჯან და კიკა-

ჩეიშვილი ნარგიზა (ქ. ქუთაისის 19 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეები, დაამზადეს მეტროპოლიტენის მოქმედი მოდელი); მაისაძე ალექსანდრე, ველიჩკო ვლადიმერი (სამტრედიის რუსული საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეები, დაამზადეს გამომცდელი მანქანის მოქმედი აპარატი); სიმონიშვილი ალექსი (საგარეჯოს რაიონის კაკაბეთის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე, დაამზადა „ელექტროგამომთვლელი“); ესართია სერგო (ცხაკაიას მე-2 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე, დაამზადა ელექტროგამტარობის დასადგენი ხელსაწყო); ტყვარჩელის მე-3 საშუალო სკოლის ავტოტექნიკური წრის წევრების მიერ დამზადებული შიდაწვის ძრავის მოქმედი მოდელი ავტომანქანის ძალოვანი გადაცემით და ქ. რუსთავის სკოლა-ინტერნატის ფიზიკის წრის წევრთა მიერ დამზადებული ატომგულის ჯაჭვური რეაქციის სადემონსტრაციო ხელსაწყო.

რესპუბლიკური კონკურსის მონაწილემ, ორჯონიკიძის რაიონის კიცხის სკოლა-ინტერნატის VIII კლასის მოსწავლე მურთაზ სიხარულიძემ ააგო მინიატურული ელექტროსადგური სოფ. ჩახლაეთში, რითაც თავისი საკუთარი ბინა გაინათა.

შემაჯამებელი გამოფენა, რომელიც 80.000-ზე მეტმა კაცმა დაათვალიერა, სულ უფრო პოპულარული ხდება არა მარტო ქ. თბილისის, არამედ რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სკოლებისათვის.

გამოფენაზე წარმოდგენილი მასალებიდან შერჩეულ იქნა და გადაიგზავნა ქ. მოსკოვში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ნორჩ ტექნიკოსთა და ნატურალისტთა პავილიონისათვის 76 მოსწავლის 57 ექსპონატი. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის კომიტეტის მიერ გამოფენის ნორჩი მონაწილისა და ბრინჯაოს მედლებით დაჯილდოებულია 21 მოსწავლე და 4 ხელმძღვანელი.

მიუხედავად აღნიშნული წარმატებისა, მე-15 რესპუბლიკური კონკურსის „ნორჩი ტექნიკოსები — სამშობლოს“ ჩატარების საქმეში ადგილი ჰქონდა სერიოზულ ნაკლოვანებებს.

კონკურსის შემაჯამებელ გამოფენაზე ნაკეთობანი ძირითადად ქალაქებისა და რაიონის ცენტრებიდან არის წარმოდგენილი. კონკურსში ნაკლებად იყვნენ ჩაბმული სოფლის სკოლების წრეები და ცალკეული მოსწავლეები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკურ გამოფენაზე ახალქალაქიდან წარმოდგენილი 3 ექსპონატიდან საორგანიზაციო კომიტეტის მიერ დაწუნებულია 2 ექსპონატი, ახალციხის 5 ექსპონატიდან 4 ექსპონატი, კასპის 2 ექსპონატიდან დაწუნებულია ორი, მაიაკოვსკის რაიონიდან წარმოდგენილ 12 ექსპონატიდან დაწუნებულია 12; დუშეთის 9 ექსპონატიდან მიღებული არ არის 7 ექსპონატი და ა. შ.

კონკურსში სრულებით არ მიუღიათ მონაწილეობა აბაშის, ადიგენის, ამბროლაურის, ბოგდანოვკის, ვანის, ლანჩხუთის, მახარაძის, წალენჯიხის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს და სხვა რაიონების სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებს.

ნორჩ ტექნიკოსთა წრეები და სკოლისგარეშე დაწესებულებები დიდ ნაკლებობას განიცდიან ხელსაწყო-იარაღებისა და მასალების მხრივ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მე-15 რესპუბლიკურ კონკურსში „ნორჩი ტექნიკოსები—სამშობლოს“ აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ:

**I-ლი ხარისხის დიპლომით**

ქ. რუსთავის სკოლა-ინტერნატის ფიზიკის წრე
ქ. თბილისის 48-ე საშუალო სკოლის ქიმიის წრე
ქ. თბილისის მე-60 საშუალო სკოლის კერამიკის წრე
ქ. ქუთაისის 30-ე საშუალო სკოლის ფიზიკის წრე
ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური
ტყვარჩელის მე-3 საშუალო სკოლის მექანიკური წრე

**მეორე ხარისხის დიპლომით**

ქ. ქუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ქიმი ს წრე
ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის მინანქრის შემსწავლელი წრე
ქ. თიბლისის 27-ე საშუალო სკოლის ქიმიის წრე
ქ. ბათუმის 23-ე საშუალო სკოლის ქიმიის წრე
ქ. თბილისის 76-ე საშუალო სკოლის რადიოტექნიკური წრე
დუშეთის პიონერთა სახლის ელექტროტექნიკოსთა წრე
ზესტაფონის მე-4 საშუალო სკოლის ტექნიკური წრე
ქ. სოხუმის მე-4 საშუალო სკოლის მექანიკური წრე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თელავის პიონერთა სახლის მეჩუქურთმეთა წრე

ს/ოსეთის ავტონომიური ოლქის ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგური

ქ. ქუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგური

აჭარის ასსრ ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგური

ქ. რუსთავის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგური

ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის რადიოტექნიკური წრე

ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ფიზიკა-ტექნიკური წრე

ქ. თბილისის 37-ე საშუალო სკოლის რადიოტექნიკური წრე

თელავის მე-5 საშუალო სკოლის ხელმარჯვეთა წრე

ქ. ქუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის გემთმოდელისტთა წრე

ქ. თბილისის 83-ე საშუალო სკოლის ტექნიკური წრე

გარდაბნის რაიონის კოჯრის სკოლა-ინტერნატის ხელმარჯვეთა წრე

გარდაბნის რაიონის კოჯრის სკოლა-ინტერნატის ტექნიკური წრე

ქ. თბილისის 86-ე საშუალო სკოლის რადიოტექნიკური წრე

### მესამე ხარისხის დიპლომით

ქ. გორის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის რადიოტექნიკური წრე

ქ. ქუთაისის მე-16 საშუალო სკოლის ფიზიკის წრე

ქ. სოხუმის 1-ლი სკოლა-ინტერნატის ელექტროტექნიკური წრე

ორჯონიკიძის რაიონის ვახანის საშუალო სკოლის ნორჩ ტექნიკოსთა წრე

სამტრედიის რუსული საშუალო სკოლის ელექტროტექნიკური წრე

ქ. თბილისის 114-ე საშუალო სკოლის ნორჩ ტექნიკოსთა წრე

სიღნაღის რაიონის დაბა წნორის ქართული საშუალო სკოლის ნორჩ ტექნიკოსთა წრე

ქ. თბილისის 106-ე საშუალო სკოლის ნორჩ ტექნიკოსთა წრე

ს/ოსეთის ავტონომიური ოლქის ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის ელექტროტექნიკოსთა წრე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. თბილისის 22-ე საშუალო სკოლის ქიმიის წრე

გორის რაიონის მეჯვრისხევის საშუალო სკოლის მეჩუქურთმეთა წრე

ქ. თბილისის მე-15 საშუალო სკოლის ქიმიის წრე

ქობულეთის რაიონის ჩაქვის საშუალო სკოლის ფიზიკის წრე

ქ. თბილისის 76-ე საშუალო სკოლის ხელმარჯვეთა წრე

ხაშურის 1-ლი საშუალო სკოლის ტექნიკური წრე

ახმეტის რაიონის ქვემო ალვანის საშუალო სკოლის ხელგარჯილობის წრე

ასპინძის რაიონის დამალის საშუალო სკოლის ნორჩ ტექნიკოსთა წრე

გარდაბნის რაიონის სამგორის საბავშვო სახლის ტექნიკური წრე

ხაშურის რაიონის სურამის მე-3 საშუალო სკოლის ტექნიკური წრე

სამტრედიის მე-2 საშუალო სკოლის ტექნიკური წრე.

**პირველი პრემიით** (20 მანეთის ფასიანი საჩუქრითა და I ხარისხის დიპლომით) დაჯილდოვდნენ მოსწავლეები:

1. ა) მოსაშვილი მიხეილი—ქ. რუსთავის მე-10 საშუალო სკოლა, VIII კლასი

ბ) სადარეიშვილი მზია—ქ. რუსთავის მე-10 საშუალო სკოლა, VIII კლასი

2. ა) გოდერძიშვილი გელა—ქ. თბილისის მე-7 საშუალო სკოლა, X კლასი

ბ) თვაური თემური—თბილისის მე-18 საშუალო სკოლა, X კლასი

3. ბაღდასაროვი ალექსანდრე—ქ. თბილისის 116-ე საშუალო სკოლა, IX კლასი

4. ა) ოგანესიანი სარქის—ქ. თბილისის 96-ე საშუალო სკოლა, IX კლასი

ბ) რაგიმოვი იზრაელ—ქ. თბილისის 93-ე საშუალო სკოლა, IX კლასი

5. ა) ბროსტიუკი სერგო—ქ. სოხუმის მე-19 საშუალო სკოლა, XI კლასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ნადარაია ვალერი — ქ. სოხუმის მე-19 საშუალო სკოლა, XI კლასი

გ) კონონენკო ვლადიმერ — ქ. სოხუმის მე-19 საშუალო სკოლა, XI კლასი

6. ა) ხუნდიაშვილი მიხეილ — კოჯრის სკოლა-ინტერნატი, V კლასი

ბ) დრუზიაკინი პეტრე — კოჯრის სკოლა-ინტერნატი, V კლასი

გ) კელმანი ვალერი — კოჯრის სკოლა-ინტერნატი, V კლასი

დ) შიშკინი ანატოლ — კოჯრის სკოლა-ინტერნატი, V კლასი

7. სიხარულიძე მურთაზ — ორჯონიკიძის რაიონის კიცხის სკოლა-ინტერნატი, VIII კლასი.

**მეორე პრემიით** (12 მანეთის ფასიანი საჩუქრითა და მე-2 ხარისხის დიპლომით) დაჯილდოვდნენ:

1. კისილოვა ლარისა — ქ. სოხუმის მე-19 საშუალო სკოლა, XI კლასი

2. ბიტიევი ოლეგ — ქ. ცხინვალის მე-2 საშუალო სკოლა, VI კლასი

3. განჯელიანი იური — ქ. თბილისის 92-ე საშუალო სკოლა, X კლასი

4. ა) ალბოროვი ვლადიმერ — ქ. რუსთავის მე-5 საშუალო სკოლა, IX კლასი

ბ) ოსიპოვი ვიქტორ — ქ. რუსთავის მე-5 საშუალო სკოლა, IX კლასი

გ) ოსიპოვი მიხეილ — ქ. რუსთავის მე-12 საშუალო სკოლა, IX კლასი

5. ა) ბარიგიანი ვლადიმერ — ქ. თბილისის 83-ე საშუალო სკოლა, VI კლასი

ბ) ტალესნიკოვი ვლადიმერ — ქ. თბილისის 83-ე საშუალო სკოლა, VI კლასი

გ) მაგდალასოვი ქრისტეფორე — ქ. თბილისის 83-ე საშუალო სკოლა, VI კლასი

6. ა) შნიცერი მიხეილ — ქ. თბილისის 48-ე საშუალო სკოლა, IX კლასი

ბ) ამილოვი ედუარდ — ქ. თბილისის 48-ე საშუალო სკოლა, IX კლასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ვერულაშვილი გიორგი—ქ. თბილისის 48-ე საშუალო სკოლა, IX კლასი

7. აკოპოვი ედუარდ—ქ. თბილისის 50-ე საშუალო სკოლა, IX კლასი

8. ა) ბოკუჩავა გურამ — გალის რაიონის ზემო ბარღების საშუალო სკოლა, IX კლასი

ბ) გულორდავა ჯიმშერ—გალის რაიონის ზემო ბარღების საშუალო სკოლა, XI კლასი

გ) შამუგია თამაზ—გალის რაიონის ზემო ბარღების საშუალო სკოლა, VIII კლასი

9. ა) კიკნაველიძე ბადრი—ქ. ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლა, VIII კლასი

ბ) უგულავა ოთარ—ქ. ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლა, VIII კლასი

10. ა) ჟორჟოლაძე გოჩა—ქ. ქუთაისის მე-5 საშუალო სკოლა, VII კლასი

ბ) ქარქაშაძე დავით—ქ. ქუთაისის მე-5 საშუალო სკოლა, VI კლასი

გ) მესხი ომარ—ქ. ქუთაისის მე-5 საშუალო სკოლა, XI კლასი

11. პუპინინი ვლადიმერ—გარდაბნის რაიონის კოჯრის სკოლა-ინტერნატი, IX კლასი.

**მესამე პრემიით** (10 მანეთის ფასიანი საჩუქრითა და III ხარისხის დიპლომით) დაჯილდოვდნენ:

1. გოლოვატოვი ვლადიმერ—ქ. სოხუმის მე-18 საშუალო სკოლა, IX კლასი

2 განუსენკო გრიგოლ—ქ სოხუმის მე-4 საშუალო სკოლა, IX კლასი

3. ა) ხარჩილავა დანიელ—გალის რაიონის ქვემო ბარღების საშუალო სკოლა, XI კლასი

ბ) ცობეხია გივი—გალის რაიონის ქვემო ბარღების საშუალო სკოლა, X კლასი

გ) წულაია ნუგზარ—გალის რაიონის ქვემო ბარღების საშუალო სკოლა, X კლასი

4. ა) კვინიხიძე ბესიკ—ქ. თბილისის მე-2 საშუალო სკოლა, X კლასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ბოჭორიშვილი ლენგერ—ქ. ტყიბულის მე-2 საშუალო სკოლა, XI კლასი

გ) ტურძელაძე ლევან—ქ. ტყიბულის მე 2 საშუალო სკოლა, IX კლასი

5. ა) ჯორბენაძე მიხეილ—ქ. ბათუმის 1-ლი საშუალო სკოლა, IX კლასი

ბ) გორდელაძე თენგიზ—ქ. ბათუმის 1-ლი საშუალო სკოლა, IX კლასი

6. კუსნიცინი ვიქტორ—ქობულეთის რაიონის ოჩხამურის რუსული საშუალო სკოლა, X კლასი

7. გეიდელბეგი ილია—ქ. ბათუმის მე-10 საშუალო სკოლა, VIII კლასი

8. ა) ფერბერი ალბერტ—ქ. ბათუმის მე-8 საშუალო სკოლა, VIII კლასი

ბ) ბალალაევი ანატოლ—ქ. ბათუმის მე-20 საშუალო სკოლა, X კლასი

9. ზოტიკოვი ვლადიმერ—ქ. ბათუმის მე-7 საშუალო სკოლა, IX კლასი

10. ნემსიწვერიძე გენო—ქ. ბათუმის მე 10 საშუალო სკოლა, VII კლასი

11. ა) ქუჩულორია ვახტანგ—ქ. თბილისის 63 ე საშუალო სკოლა, X კლასი

ბ) შაპირო იაკობ—ქ. თბილისის 63-ე საშუალო სკოლა, X კლასი

12 ფერაძე როსტომ—ქ. თბილისის 55-ე საშუალო სკოლა, XI კლასი

13. ნარუსლიშვილი გიორგი—ახმეტის რაიონის მატაანის საშუალო სკოლა, XI კლასი

14. ა) გარბუნოვი ვლადიმერ—ქ. ფოთის მე-10 საშუალო სკოლა, IX კლასი

ბ) კემულარია ვახტანგ—ქ. ფოთის მე-2 საშუალო სკოლა, VII კლასი

15. ა) შენგელია ანდრო—ქ. ფოთის მე-3 საშუალო სკოლა, VII კლასი

ბ) ნეზნანოვი გიორგი—ქ. ფოთის მე-3 საშუალო სკოლა, VII კლასი

16. ა) პოსტელგა ნიკოლოზ—ქ. ცხინვალის მე-2 საშუალო სკოლა, IX კლასი

ბ) პეტოევი მიხეილ—ქ. ცხინვალის მე-2 საშუალო სკოლა, IX კლასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ტიბილოვი ნოდარ—ქ. ცხინვალის მე-2 საშუალო სკოლა, IX კლასი

17. ა) კაჩმაზოვი ხაზბი—ცხინვალის რაიონის კვაისის საშუალო სკოლა, VIII კლასი

ბ) ზასიევი ლევ—ცხინვალის რაიონის კვაისის საშუალო სკოლა, VII კლასი

18. ა) ბარამიძე ნიკოლოზ—ქ. რუსთავის მე-8 საშუალო სკოლა, IX კლასი

ბ) სერგაჩევი ოლეგ—ქ. რუსთავის მე-3 საშუალო სკოლა, IX კლასი

19. ა) მჟავანაძე დარეჯან—ქ. ქუთაისის მე-19 საშუალო სკოლა, X კლასი

ბ) კიკაჩეიშვილი ნარგიზა—ქ. ქუთაისის მე-19 საშუალო სკოლა, X კლასი

20. ა) გოქაძე ნუკრი—ქ ქუთაისის მე-17 საშუალო სკოლა, XI კლასი

ბ) ნიჟარაძე მადონა—ქ. ქუთაისის მე-17 საშუალო სკოლა, XI კლასი

გ) კაციტაძე ეთერ—ქ ქუთაისის მე-17 საშუალო სკოლა, IX კლასი

21. ა) ჟანიო პეტრე—ქ. ქუთაისის მე-17 საშუალო სკოლა, VII კლასი

ბ) ხარაბაძე თამაზ—ქ. ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლა, VIII კლასი

22 ლოლაძე თამაზ—ორჯონიკიძის 1-ლი საშუალო სკოლა, XI კლასი

23. ა) მაისაძე ალექსანდრე—სამტრედიის რუსული საშუალო სკოლა, IX კლასი

ბ) ველიჩკო ვლადიმერ—სამტრედიის რუსული საშუალო სკოლა, IX კლასი

24. ა) ადამოვი გიორგი—კოჯრის სკოლა-ინტერნატი, VII კლ.

ბ) ბენდინი ოლეგ—კოჯრის სკოლა-ინტერნატი, VII კლასი

გ) ზასიატკო სლავა—კოჯრის სკოლა-ინტერნატი, VII კლასი

25. ტიტიაევი ვალენტინი—კოჯრის სკოლა-ინტერნატი IX კლასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

26. მათითაშვილი არჩილ—ქ. თბილისის მე 15 საშუალო სკოლა, IX კლასი

27. ხოფერია ავთანდილ—ქ. თბილისის მე-60 საშუალო სკოლა, IX კლასი

28. ა) მამგულაშვილი გენადი—გარდაბნის რაიონის გლდანის საშუალო სკოლა, IX კლასი

ბ) ონანაშვილი ზაურ—გურჯაანის რაიონის გლდანის საშუალო სკოლა, IX კლასი

29. ჩომახაშვილი თამაზ—გარდაბნის რაიონის არაშენდას საშუალო სკოლა, XI კლასი

30. გელაშვილი მერაბ—ქ. თბილისის მე-10 საშუალო სკოლა, VII კლასი.

### პირველი ხარისხის ატესტატით

1. ტრაპაიძე ავთანდილ—ქ. თბილისის მე 7 საშუალო სკოლა, VII კლასი

2. იურცევი კონსტანტინე—ქ. თბილისის 115-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი

3. ფეოფანოვი ვალერი—ქ. თბილისის 116-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი

4. მჭედლიშვილი ნუგზარ—ხაშურის 1-ლი საშუალო სკოლა, VI კლასი

5. ა) ავეტისიანი ჟორა—ახალქალაქის 1-ლი სომხური საშუალო სკოლა, VIII კლასი

ბ) პალანჯიანი ვართან—ახალქალაქის 1-ლი სომხური საშუალო სკოლა, VIII კლასი

გ) მელტონიანი რუდოლფ—ახალქალაქის 1-ლი სომხური საშუალო სკოლა, VIII კლასი

6. ა) ალექსანდროვი ვიქტორ—ქ. სოხუმის მე-19 საშუალო სკოლა, IX კლასი

ბ) ბოკარიოვი ვიაჩესლავ—ქ. სოხუმის მე-19 საშუალო სკოლა, IX კლასი

7. ა) ვოდოლაჟჩენკო ვიქტორ—ქ. სოხუმის მე-3 საშუალო სკოლა, XI კლასი

8. ა) ბოჭორიშვილი ნიკოლოზ—ქ. სოხუმის მე-17 საშუალო სკოლა, XI კლასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) თევზაძე ზურაბ—ქ. სოხუმის მე-17 საშუალო სკოლა, XI კლასი

9. მორგუნია ვალერი—ქ. სოხუმის მე-4 საშუალო სკოლა, VIII კლასი

10. კუბრავა ვალერი—ქ. სოხუმის სკოლა-ინტერნატი, XI კლასი

11. ვოლოდინი ალექსანდრე—ქ. ტყვარჩელის მე-4 საშუალო სკოლა, VIII კლასი

12. კომახიძე სულიკო—ქ. ბათუმის 1-ლი სკოლა-ინტერნატი, XI კლასი

13. ა) წილოსანი ვლადიმერ—ქობულეთის რაიონის ჩაისუბნის სკოლა-ინტერნატი, VIII კლასი

ბ) გულბიანი ტარიელ—ქობულეთის რაიონის ჩაისუბნის სკოლა-ინტერნატი, VIII კლასი

14. ტარასოვი ანატოლ—ქობულეთის მე-2 საშუალო სკოლა, X კლასი

15. მეგრელიშვილი ზურაბ—ქობულეთის მე-2 საშუალო სკოლა, X კლასი

16. მალაევი ალექსანდრე—ქ. ბათუმის მე-7 საშუალო სკოლა, VIII კლასი

17. ნოზაძე ჯუმბერ—ქ. თბილისის 63-ე საშუალო სკოლა, IX კლასი

18. სიმონიშვილი ალექსი—საგარეჯოს რაიონის კაკაბეთის საშუალო სკოლა, XI კლასი

19. ქურციკაშვილი რ.—ქ. თელავის რუსული საშუალო სკოლა, XI კლასი

20. ა) ფიფია ვახტანგ—ცხაკაიას მე-5 საშუალო სკოლა, XI კლასი

ბ) ადანაია რაულ—ცხაკაიას მე-5 საშუალო სკოლა, XI კლასი

21. მეგრელიშვილი ციცინო—ქარელის რაიონის ავლევის საშუალო სკოლა, XI კლასი

22. ჭაქაშუა თენგიზ—სამტრედიის მე-2 საშუალო სკოლა, VIII კლასი

23. მუქერია დომენტი—სამტრედიის რუსული საშუალო სკოლა, VIII კლასი

24. ტიბილოვი ნოდარ—ქ. ცხინვალის მე-2 საშუალო სკოლა, IX კლასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

25. კასრაძე ალექსანდრე—ქ. ცხინვალის 1-ლი საშუალო სკოლა; XI კლასი

26. ბაგაევი ანატოლ—ქ. ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლა, VII კლასი

27. ამაშუკელი ვლადიმერ—ქ. ცხინვალის მე-3 საშუალო სკოლა, X კლასი

28. გაბარაევი მუხარ—ქ. ცხინვალის მე-2 საშუალო სკოლა, X კლასი

29. ა) ხარებოვი სერგო—ქ. ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლა, VIII კლასი

ბ) ტიგიევი ფილიპე—ქ. ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლა, VIII კლასი

30. ა) პეისახი იაკობ—ქ. რუსთავის მე-3 საშუალო სკოლა, VIII კლასი

ბ) კაზარიანი ბორის—ქ. რუსთავის მე-3 საშუალო სკოლა, IX კლასი

31. ა) ფუტკარაძე ელიზბარ—ქ. რუსთავის მე-16 საშუალო სკოლა, VIII კლასი

ბ) ჭამიაშვილი გიორგი—ქ. რუსთავის მე-2 საშუალო სკოლა, VIII კლასი

32. ა) ცინცაბაძე დავით—ქ. რუსთავის მე-15 საშუალო სკოლა, VI კლასი

ბ) ლომიძე თამაზ—ქ. რუსთავის მე-15 საშუალო სკოლა, VI კლასი

გ) კიკნაძე დავით—ქ. რუსთავის მე-15 საშუალო სკოლა, VI კლასი

33. ა) ბალუაშვილი დავით—ქ. ქუთაისის მე-18 საშუალო სკოლა, X კლასი

ბ) შიმშელაშვილი იაკობ—ქ. ქუთაისის მე-18 საშუალო სკოლა, X კლასი

34. ა) დადუნაშვილი ვალერი—ქ. ქუთაისის მე-12 საშუალო სკოლა, VII კლასი

ბ) ნებიერიძე ვასილ—ქ. ქუთაისის მე-12 საშუალო სკოლა, VII კლასი

35. ა) კაკიტელაშვილი ლერი—ქ. ქუთაისის 24-ე საშუალო სკოლა, IX კლასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) თარონიშვილი შალვა—ქ. ქუთაისის 24-ე საშუალო სკოლა, IX კლასი

გ) კალანდაძე ილია—ქ. ქუთაისის 24 ე საშუალო სკოლა, IX კლასი

36. ა) ლორთქიფანიძე ნიკოლოზ—ქ. ქუთაისის მე-7 საშუალო სკოლა, VIII კლასი

ბ) ჩხენკელი ზურაბ—ქ. ქუთაისის მე-7 საშუალო სკოლა, VIII კლასი

37. გვანცელაძე ჯუმბერ—ქ. ქუთაისის მე-5 საშუალო სკოლა, VIII კლასი

38. არიშვილი ვახტანგ—ქ. ქუთაისის მე-8 საშუალო სკოლა, V კლასი

39. მესხი ომარ—ქ. ქუთაისის მე-5 საშუალო სკოლა, XI კლასი

40. იურტაევი კონსტანტინე—ქ. თბილისის 115-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი

41. ა) ჯამანი ვალერი—ქ. თბილისის 83-ე საშუალო სკოლა, VII კლასი

ბ) ხიმნიძე ვალერი—ქ. თბილისის 83-ე საშუალო სკოლა, VII კლასი

გ) გრიშუტინი ვალერი—ქ. თბილისის 83-ე საშუალო სკოლა, VI კლასი

42. ა) მარტიროსიანი ჰამლეტ—ქ. თბილისის მე-40 საშუალო სკოლა, IX კლასი

ბ) იაილაიანი გრიშა—ქ. თბილისის მე-40 საშუალო სკოლა, IX კლასი

43. ა) კეჩხუაშვილი ვაჟა—ქ. თბილისის 37-ე საშუალო სკოლა, X კლასი

ბ) გრიგორიანი ალექსანდრე—ქ. თბილისის 37-ე საშუალო სკოლა, X კლასი

44. მატვეიჩუკი იური—სამტრედიის რუსული საშუალო სკო-ლა, VI კლასი

45. ბაბუნიძე თამაზ—ქ. თბილისის 111-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი

46. ა) თავზარაშვილი ილია—ქ. გორის მე-3 საშუალო სკოლა, VIII კლასი

ბ) თინიკაშვილი გივი—ქ. გორის მე-3 საშუალო სკოლა, VIII კლასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

47. სამარინა ტატიანა — გარდაბნის რაიონის კოჯრის სკოლა-ინტერნატი, VIII კლასი

48. ალახვერდიევა ვალენტინა — გარდაბნის რაიონის კოჯრის სკოლა-ინტერნატი, IX კლასი

49. ა. ივანოვი იგორ — გარდაბნის რაიონის კოჯრის სკოლა-ინტერნატი, V კლასი

ბ) იაკუბოვი ალიოშა — გარდაბნის რაიონის კოჯრის სკოლა-ინტერნატი, V კლასი

50. ახვლედიანი ნიკოლოზ — ქ. თბილისის მე-12 საშუალო სკოლა, VII კლასი

51. ა) ოვსეპიანი ლიანა — ქ. თბილისის 93-ე საშუალო სკოლა, X კლასი

ბ) კირაკოზიანი კარინე — ქ. თბილისის მე-19 საშუალო სკოლა, X კლასი

52. ა) ისაევი ზეინაბ — გარდაბნის რაიონის თელეთის საშუალო სკოლა, X კლასი

გ) ვართანოვი ნარგიზ — გარდაბნის რაიონის თელეთის საშუალო სკოლა, VIII კლასი

53. ლაბარტყავა მიხეილ — ქ. თბილისის 23-ე საშუალო სკოლა, IX კლასი

54. ელიბაშვილი მერაბ — გარდაბნის რაიონის გლდანის საშუალო სკოლა, VIII კლასი

55. ა) ვილდანოვი ალექსანდრე — ქ. თბილისის 86-ე საშუალო სკოლა, IX კლასი

ბ) არუთინოვი ოლეგ — ქ. თბილისის 86-ე საშუალო სკოლა, IX კლასი

56. ლომთაძე თამაზ — ქ. თბილისის მე-100 საშუალო სკოლა, IX კლასი

57. ჭავჭანიძე ზურაბ — ქ. თბილისის 126-ე საშუალო სკოლა, VI კლასი

58. გარაყანიძე ზაალ — ქ. თბილისის 24-ე საშუალო სკოლა, IX კლასი

59. გორგოშიძე გიორგი — ქ. თბილისის 24-ე საშუალო სკოლა, IX კლასი

60. გაჩეჩილაძე თემურ — ქ. თბილისის 24-ე საშუალო სკოლა, IX კლასი

61. ლობჟანიძე ზურაბ — ქ. თბილისის 112-ე საშუალო სკოლა, VII კლასი

62. ქებურია გენადი — ქ. თბილისის 116-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი

63. გაგუა მერაბ — ქ. თბილისის 24-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი

მეორე ხარისხის ატესტატით:

1. არუთინოვი ვლადიმერ — ქ. თბილისის მე-20 საშუალო სკოლა, IX კლასი

2. ავეტიანი სურენ — ქ. თბილისის მე-20 საშუალო სკოლა, IX კლასი

3. გარებენიუკი ვლადიმერ — ქ. თბილისის მე-20 საშუალო სკოლა, VIII კლასი

4. მაისეევი გიორგი — ქ. თბილისის მე-20 საშუალო სკოლა, VIII კლასი

5. პშენიჩნი მიხეილ — ქ. სოხუმის მე-10 საშუალო სკოლა, IX კლასი

6. ა) აბგარიანი ანდრანიკ — ახალციხის რაიონის წყალთბილის საშუალო სკოლა, XI კლასი

ბ) მოსიკიანი ფრანცი — ახალციხის რაიონის წყალთბილის საშუალო სკოლა, IX კლასი

7. ა) კანდელაკი ნიკოლოზ — მცხეთის რაიონის ნიჩბისის საშუალო სკოლა, VII კლასი

ბ) კანდელაკი გიორგი — მცხეთის რაიონის ნიჩბისის საშუალო სკოლა, VII კლასი

გ) ჯავახიშვილი მიხეილ — მცხეთის რაიონის ნიჩბისის საშუალო სკოლა, X კლასი

8. ოქროპირიძე ლევან — მცხეთის საშუალო სკოლა, XI კლასი,

9. ჯორბენაძე მიხეილ — ქ. ბათუმის 1-ლი საშუალო სკოლა, IX კლასი

10. ა) შინიკოვი სერგო — ქ. ბათუმის მე-5 საშუალო სკოლა, V კლასი

ბ) ამირხანოვი ვლადიმერ — ქ. ბათუმის მე-5 საშუალო სკოლა, V კლასი

11. ა) აგრბა თემურ — ქ. ბათუმის მე-5 საშუალო სკოლა, V კლასი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) პეტროსიანი პოლოს—ქ. ბათუმის მე-5 საშუალო სკოლა, V კლასი

12. ა) გაგუა ციცინო—ქ. ბათუმის მე-14 საშუალო სკოლა, VII კლასი

ბ) კვაჭაძე ნუნუ—ქ. ბათუმის მე-14 საშუალო სკოლა, VII კლასი

13. ხალვაში ენვერ—ქობულეთის რაიონის კვირიკის საშუალო სკოლა, XI კლასი

14 ჩანტლაძე ზაურ—ქობულეთის მე-2 საშუალო სკოლა, X კლასი

15. მგელაძე ავთანდილ—ხულოს რაიონის აგარის საშუალო სკოლა, IX კლასი

16. გეიდელბერგი ილია—ქ. ბათუმის მე-10 საშუალო სკოლა, VII კლასი

17. სამნიძე მიხეილ—ქ ბათუმის 1-ლი საშუალო სკოლა, XI კლასი

18 ა) გვერდწითელი მალხაზ—ქ. თბილისის 55-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი

ბ) კვანჭილაშვილი მალხაზ—ქ. თბილისის 55-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი

19. ესართია სერგო—ცხაკაიას მე-2 საშუალო სკოლა, XI კლასი

20. ა) ჭანველოვი ი.—თელავის მე-4 საშუალო სკოლა, VIII კლასი

ბ) ბეშელაშვილი ალექსანდრე თელავის მე-4 საშუალო სკოლა. VIII კლასი

21. ა) გულიაშვილი თემო—თელავის მე-4 საშუალო სკოლა, X კლასი

ბ) კაციტაძე მერაბ—თელავის მე-4 საშუალო სკოლა, X კლასი

22. გოგინავა როინ—ცხაკაიას მე-5 საშუალო სკოლა, XI კლასი

23. კუროჩკინი ალექსანდრე—ქ. ფოთის მე-4 საშუალო სკოლა, X კლასი

24. ა) ზაბალოცკი პავლე—ქ. ფოთის მე-4 საშუალო სკოლა, X კლასი

ბ) ხოლოვუბი ნიკოლოზ—ქ. ფოთის მე-10 საშუალო სკოლა, VIII კლასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

25. ნასარაია როზან—ქ. ფოთის მე-8 საშუალო სკოლა, IX კლასი

26. მაღალაძე თამაზ—ცხინვალის რაიონის ძარწემის საშუალო სკოლა, VI კლასი

27. პანტელეევი ნიკოლოზ—ქ. ცხინვალის მე-5 საშუალო სკოლა, XI კლასი

28. ა) კოზაევი პავლე—ქ. ცხინვალის მე-2 საშუალო სკოლა, VIII კლასი

ბ) კოჩაევი მიხეილ—ქ. ცხინვალის მე-2 საშუალო სკოლა VIII კლასი

29. ა) გახოკიძე ვალერი—ქ. ქუთაისის 1-ლი საშუალო სკოლა, XI კლასი

ბ) გუბელაძე ზურაბ—ქ. ქუთაისის 1-ლი საშუალო სკოლა, XI კლასი

გ) იამანიძე თემურ—ქ. ქუთაისის 1-ლი საშუალო სკოლა, XI კლასი

30. ა) ბურიაკოვი ვლადიმერ—ქ. თბილისის 38-ე საშუალო სკოლა, X კლასი

ბ) სატკროვი ალექსანდრე—ქ. თბილისის 38-ე საშუალო სკოლა, X კლასი

31. ა) კაპორინი დიმიტრი—ქ. თბილისის 83-ე საშუალო სკოლა, VII კლასი

ბ) კოჟანოვი ალექსანდრე—ქ. თბილისის 83-ე საშუალო სკოლა, VII კლასი

გ) ლუკიანიუკი სერგო—ქ. თბილისის 83-ე საშუალო სკოლა, VI კლასი

32. ზიმენკო ლუდა—გარდაბნის რაიონის კოჯრის სკოლა-ინტერნატი, VIII კლასი

33. იაცუკი ალექსანდრე—გარდაბნის რაიონის კოჯრის სკოლა-ინტერნატი, X კლასი

34. ფილიპჩუკი ალიკ—გარდაბნის რაიონის კოჯრის სკოლა-ინტერნატი, V კლასი

35. ა) მამედოვი გულიშ—გარდაბნის რაიონის კოჯრის სკოლა-ინტერნატი, V კლასი

ბ) მიხაილოვი იაშა—გარდაბნის რაიონის კოჯრის სკოლა-ინტერნატი, VII კლასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

36. ა) სილიკანოვი ალექსანდრე—ქ. თბილისის 106-ე საშუალო სკოლა, IX კლასი

ბ) გოჩიტაშვილი გურამ—ქ. თბილისის 106-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი

37. მაჩეხინი იური—ქ. თბილისის 98-ე საშუალო სკოლა, X კლასი

38. ახვლედიანი გივი—ქ. თბილისის მე-12 საშუალო სკოლა, VIII კლასი

39. ანანიკოვი ვალერი—ქ. თბილისის 96-ე საშუალო სკოლა, X კლასი

40. ა) ლაბარტყავა მიხეილ—ქ. თბილისის 23-ე საშუალო სკოლა, IX კლასი

ბ) კობალაძე მ.—ქ. თბილისის 23-ე საშუალო სკოლა, IX კლასი

გ) სურგულაძე გია—ქ. თბილისის 23-ე საშუალო სკოლა, IX კლასი

41. ა) ბუთხუზი ნუგზარ—ქ. თბილისის 23-ე საშუალო სკოლა, X კლასი

ბ) ვაშაკიძე თემურ—ქ. თბილისის 23-ე საშუალო სკოლა, X კლასი

42. ჭავჭანიძე ზურაბ—ქ. თბილისის 126-ე საშუალო სკოლა, VI კლასი

43. ა) ბროევი ალექსანდრე—ქ. თბილისის 117-ე საშუალო სკოლა, VII კლასი

ბ) კრიხელი შალვა—ქ. თბილისის 117-ე საშუალო სკოლა, VII კლასი

44. ა) გოგიშვილი გაიოზ—ქ. თბილისის მე-15 საშუალო სკოლა, VIII კლასი

ბ) მირზოევი რაზმიკ—ქ. თბილისის მე-8 საშუალო სკოლა, IX კლასი

### სოხუმით:

1. ბლინოვი ალექსანდრე—ქ. სოხუმის მე-19 საშუალო სკოლა, IX კლასი

2. ა) არდაგანიანი პაპიკ—ქ. სოხუმის მე-4 საშუალო სკოლა, X კლასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მარტიანოვი ვლადიმერ—ქ. სოხუმის მე-4 საშუალო სკოლა, X კლასი

3. სკოვოროდინი კონსტანტინე—ქ. სოხუმის სკოლა-ინტერნატი, X კლასი

4. ა) ჩაჩხალია იური—ქ. ტყვარჩელის მე-4 საშუალო სკოლა, IX კლასი

ბ) გადელია ზურაბ—ქ. ტყვარჩელის მე-4 საშუალო სკოლა, IX კლასი

5. ტყეშელაშვილი თეიმურაზ—ონის რაიონის პიპილეთის საშუალო სკოლა, IX კლასი

6. ბერიშვილი ბადრი—ონის რაიონის სორის საშუალო სკოლა, IX კლასი

7. ოსეფაშვილი ირაკლი—მცხეთის რაიონის ნიჩბისის საშუალო სკოლა, VII კლასი

8. ივანოვი გიორგი—ქ. ბათუმის მე 3 საშუალო სკოლა, VI კლასი

9. ინგერმანი მიხეილ—ქ. ბათუმის მე-8 საშუალო სკოლა, XI კლასი

10. დემკოვი ვალერი—ქ. ბათუმის მე-10 საშუალო სკოლა, X კლასი

11. ა) გაგუა ციცინო—ქ. ბათუმის 14-ე საშუალო სკოლა, VII კლასი

ბ) კვაჭაძე ნუნუ—ქ. ბათუმის მე-14 საშუალო სკოლა, VII კლასი

12. ნეურონოვი ლეონიდე—ქ. ბათუმის მე-18 საშუალო სკოლა, X კლასი

13. მარგალიტაძე ნათელა—ქ. ბათუმის 22-ე საშუალო სკოლა, X კლასი

14. ქორიძე გიზო—ქ. ბათუმის 23-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი

15. ა) პეტროვი ვალერი—ქ. ბათუმის მე-15 საშუალო სკოლა, IX კლასი

ბ) ავეჩბა ასლან—ქ. ბათუმის მე-15 საშუალო სკოლა, IX კლასი

16. ესართია სერგო—ცხაკაიას მე-2 საშუალო სკოლა, XI კლასი

17. კუპატაძე მურაზ—თელავის მე-5 საშუალო სკოლა VIII კლასი

18. გიგიტელაშვილი ამირან—თელავის 1-ლი საშუალო სკოლა,

19. კიკვიძე ვალერიან—თელავის მე-4 საშუალო სკოლა, VIII კლასი

20. ფიფია ვახტანგ—ცხაკაიას მე-5 საშუალო სკოლა, XI კლასი

21. ხუჭუა ლავრენტი—სამტრედიის მე-2 საშუალო სკოლა, IX კლასი

22. ა) კოლოსოვი ავთანდილ—ქ. თბილისის 47-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი

ბ) გორდელაძე ნუგზარ—ქ. თბილისის 47-ე საშუალო სკოლა. VIII კლასი

გ) წოწორია თემურ—ქ. თბილისის 47-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი

23. ა) პატარაია გიორგი—ქ. თბილისის 47-ე საშუალო სკოლა, IX კლასი

ბ) გოგლიძე თენგიზ—ქ. თბილისის 47-ე საშუალო სკოლა, IX კლასი

24. კოჩიევი ვალერი—ქ. ცხინვალის მე-2 საშუალო სკოლა, IX კლასი

25, მჭედლიძე ბეგლარ—ქ. ცხინვალის 1-ლი საშუალო სკოლა, XI კლასი

26. ჩოჩიევი ვალერი—ქ. ცხინვალის მე-2 საშუალო სკოლა, IX კლასი

27. ლოხოვი როლანდ—ქ. ცხინვალის მე-3 საშუალო სკოლა, X კლასი

28. ბაზეროშვილი თამაზ—ქ. რუსთავის სკოლა-ინტერნატი, XI კლასი

29. ზონენაშვილი იაკობ—ქ. ქუთაისის მე-19 საშუალო სკოლა, VIII კლასი

30. შალამბერიძე თეიმურაზ—ქ. ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლა, IX კლასი

31. კვარაცხელია თეიმურაზ—ქ. ქუთაისის მე-12 საშუალო სკოლა, VIII კლასი

32. ჟვიტიაშვილი თეიმურაზ—ქ. ქუთაისის 22-ე საშუალო სკოლა, XI კლასი

33. იაკობაშვილი სიობა—ქ. ქუთაისის მე-18 საშუალო სკოლა, XI კლასი

34. ა) ღვინეფაძე მერაბ — ქ. ქუთაისის 1-ლი საშუალო სკოლა, X კლასი

ბ) ბერიძე ბესიკ — ქ. ქუთაისის 1-ლი საშუალო სკოლა, X კლასი

35. ჭაბუკიანი ტარიელ — ქ. ქუთაისის მე-18 საშუალო სკოლა, XI კლასი

36. ლაშქარაშვილი გიზო — ქ. ქუთაისის მე-3 საშუალო სკოლა, IX კლასი

37. ა) დავითაშვილი აბრამ — ქ. ქუთაისის 24 ე საშუალო სკოლა, X კლასი

ბ) მეგრელიშვილი მიხეილ — ქ. ქუთაისის 24-ე საშუალო სკოლა, X კლასი

გ) ჭანკვეტაძე აბესალომ — ქ. ქუთაისის 1-ლი საშუალო სკოლა, X კლასი

38. ა) მარგველაშვილი მიხეილ — ქ. ქუთაისის მე-13 საშუალო სკოლა, IX კლასი

ბ) ნიკოლენკო ვალერი — ქ. ქუთაისის მე-13 საშ. სკ., VII კლასი

39. ა) ხერხეულიძე კოტე — ხაშურის 1-ლი საშუალო სკოლა, IX კლასი

ბ) მიქიაშვილი რევაზ — ხაშურის 1-ლი საშუალო სკოლა, XI კლასი

გ) ნოზაძე თემურ — ხაშურის 1-ლი საშუალო სკოლა, XI კლასი

40) ა) სარქისოვი ვლადიმერ — ქ. თბილისის 33-ე საშუალო სკოლა, X კლასი

ბ) ზაქარიანი მიხეილ — ქ. თბილისის 33-ე საშუალო სკოლა, X კლასი

41. ლიანოზოვი ალექსანდრე — ქ. თბილისის 33 ე საშუალო სკოლა, X კლასი

42. შოთაძე ელგუჯა — ქ. თბილისის 30-ე საშუალო სკოლა, IX კლასი

43. ისიანი მარინა — ქ. თბილისის 30-ე საშუალო სკოლა, X კლასი

44. მარშანიშვილი აკაკი — ქ. თბილისის 30-ე საშუალო სკოლა, XI კლასი

35. ა) უჯმაჯურიძე ნოდარ — ქ. თბილისის 30-ე საშუალო სკოლა, XI კლასი

ბ) უჯმაჯურიძე ნუგზარ—ქ. თბილისის 50-ე საშუალო სკოლა, XI კლასი

46. ა) ნოვიცკი ევგენი—ქ. თბილისის 38-ე საშუალო სკოლა, IX კლასი

ბ) საბაევი ა.—ქ. თბილისის 38-ე საშუალო სკოლა, X კლასი

გ) პალიანი ვლადიმერ—ქ. თბილისის 38-ე საშუალო სკოლა, X კლასი

47. სობოლევი ანატოლ—ქ. თბილისის 25-ე საშუალო სკოლა, IX კლასი

48. გეორქიანი გიორგი—ქ. თბილისის 25-ე საშუალო სკოლა, IX კლასი

49. ნარიჟნიანი ბორის—ქ. თბილისის 115-ე საშუალო სკოლა, X კლასი

50. ა) ვაინშტეინი იური—ქ. თბილისის 115-ე საშუალო სკოლა, IX კლასი

ბ) პეროვგუდოვი პავლე—ქ. თბილისის 115-ე საშუალო სკოლა, IX კლასი

გ) ბიბილაშვილი კონსტანტინე—ქ. თბილისის 115-ე საშუალო სკოლა, IX კლასი

51. გომართელი ალექსანდრე—ქ. თბილისის მე-17 საშუალო სკოლა, IX კლასი

52. ზოდელავა თემურ—ქ. თბილისის 116-ე საშუალო სკოლა, X კლასი

53. ა) იმანოვი ალექსანდრე—ქ. თბილისის 32-ე საშუალო სკოლა, IX კლასი

ბ) კაკიტელაშვილი რაფიელ—ქ. თბილისის 32-ე საშუალო სკოლა, IX კლასი

54. ა) კირაკოსიანი ბაგრატ—ქ. თბილისის მე-40 საშუალო სკოლა, VIII კლასი

ბ) სარქისიანი რაფაელ—ქ. თბილისის მე-40 საშუალო სკოლა, IX კლასი

გ) კაზარიანი რაჩიკ—ქ. თბილისის მე-40 საშუალო სკოლა, IX კლასი

55. ა) პარტნოვი ალექსი—ქ. თბილისის 116-ე საშუალო სკოლა, VII კლასი

ბ) სივოვი ალექსანდრე—ქ. თბილისის 116-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი.

56. ალახვერდიევა ვალენტინა—გარდაბნის რაიონის კოჯრის სკოლა-ინტერნატი, IX კლასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

57. ჟუროვი ალექსანდრე—გარდაბნის რაიონის კოჯრის სკოლა-ინტერნატი, VII კლასი

58. გელაშვილი პავლე—ქ. თბილისის მე-15 საშუალო სკოლა, XI კლასი

59. ბაზიანი გულნარა—ქ. თბილისის მე-20 საშუალო სკოლა, VIII კლასი

60. ა) კბილაშვილი ანზორ—გარდაბნის რაიონის გლდანის საშუალო სკოლა, VIII კლასი

ბ) ყირიმელი თამაზ—გარდაბნის რაიონის გლდანის საშუალო სკოლა, VIII კლასი

ბ) გოგიძე გივი—გარდაბნის რაიონის გლდანის საშუალო სკოლა, VIII კლასი

61. ცომაია ვახტანგ—ქ. თბილისის 24-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი

62. დიდებულიძე ირაკლი—ქ. თბილისის 7-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი

63. ა) მიტრიუშინი ვიქტორ—ქ. თბილისის 86-ე საშუალო სკოლა, VI კლასი

ბ) ივანოვი ალექსანდრე—ქ. თბილისას 86-ე საშუალო სკოლა, VI კლასი

64. ა) სარუხანოვი თენგიზ—ქ. თბილისის მე-60 საშუალო სკოლა, IX კლასი

ბ) გოგიბერიშვილი თენგიზ—ქ. თბილისის მე-60 საშუალო სკოლა, IX კლასი

გ) ჟღენტი დიმიტრი—ქ. თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი, I კურსი

65. ნალბანდიანი კოტე—ქ. თბილისის 66-ე საშუალო სკოლა, IX კლასი

66. სახოკია ვახტანგ—ქ. თბილისის 85-ე საშუალო სკოლა, IX კლასი

67. მირიმანოვი ვლადიმერ—ქ. თბილისის 56-ე საშუალო სკოლა, IX კლასი

2. რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების საქმეში აქტიური მონაწილეობისა და შემაჯამებელ გამოფენაზე საუკეთესო ექსპონა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტების წარმოდგენისათვის დაჯილდოვდნენ „სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით:

1. გვენცაძე ვასილ—ქ. რუსთავის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის დირექტორი
2. ცობეხია ტერენტი—გალის რაიონის ზემობარღების საშუალო სკოლის ტექნიკური წრის ხელმძღვანელი
3. შახრამანოვი იაკობ—ქ. თბილისის 86-ე საშუალო სკოლის დირექტორი
4. ბაგაევი გაბრიელ—ს/ოსეთის ავტონომიური ოლქის ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის დირექტორი.

3. კონკურსის ჩატარების საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ სიგელებით სკოლისა და სკოლის გარეშე დაწესებულებათა მუშაკები:

1. რატიანი ოთარ—გარდაბნის რაიონის კოჯრის სკოლა-ინტერნატის ხელმარჯვეთა წრის ხელმძღვანელი
2. ქოჩიაშვილი ნადია—ზესტაფონის მე-4 საშუალო სკოლის ფიზიკის წრის ხელმძღვანელი
3. ნებიერიძე შალვა—ზესტაფონის მე-4 საშუალო სკოლის ტექნიკური წრის ხელმძღვანელი
4. ხიდირბეგიშვილი ილია—ხაშურის რაიონის სურამის მე-3 საშუალო სკოლის ტექნიკური წრის ხელმძღვანელი
5. ხაჩოიანი რობერტ—გარდაბნის რაიონის სამგორის საბავშვო სახლის ტექნიკური წრის ხელმძღვანელი
6. დათოშვილი ალექსანდრე—გარდაბნის რაიონის სამგორის საშუალო სკოლის ტექნიკური წრის ხელმძღვანელი
7. გრაჩოვი ბენიამინ—ქ. თბილისის 83-ე საშუალო სკოლის ტექნიკური წრის ხელმძღვანელი
8. ნესტეროვი ნიკოლოზ—გარდაბნის რაიონის კოჯრის სკოლა-ინტერნატის ტექნიკური წრის ხელმძღვანელი
9. ფანქველაშვილი კონსტანტინე—ხაშურის პირველი საშუალო სკოლის ტექნიკური წრის ხელმძღვანელი
10. ჯიშკარიანი გენო—ქ. ქუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის გემთმოდელისტთა წრის ხელმძღვანელი
11. არენბილდი არტურ—ქ. ქუთაისის პიონერთა სასახლის გემთმოდელისტთა წრის ხელმძღვანელი
13. ტაბიძე რევაზ—ქ. ქუთაისის მე-5 საშუალო სკოლის გემთმოდელისტთა წრის ხელმძღვანელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. კარაპეტიანი რონდოზ—ქ. თბილისის 86-ე საშუალო სკოლის რადიოტექნიკური წრის ხელმძღვანელი

14. ჭავჭანიძე ლილი—სამტრედიის მე-2 საშუალო სკოლის ტექნიკური წრის ხელმძღვანელი

15. შენგელია გიორგი—სამტრედიის მე-2 საშუალო სკოლის ტექნიკური წრის ხელმძღვანელი

16. იასამანოვი გივი—ქ. გორის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის რადიოტექნიკური წრის ხელმძღვანელი

17. ღარიბოვი ვალერი—ქ. თბილისის 37-ე საშუალო სკოლის რადიოტექნიკური წრის ხელმძღვანელი

18. ხარლამოვა ირინა—ქ. თბილისის 48-ე საშუალო სკოლის ქიმიის წრის ხელმძღვანელი

19. ბერიანიძე ირინე—ქ. თბილისის მე-60 საშუალო სკოლის კერამიკის წრის ხელმძღვანელი

20. გელაშვილი თამარ—ქ. თბილისის მე-12 საშუალო სკოლის ქიმიის წრის ხელმძღვანელი

21. კაჭახიძე ვენერა—ქ. თბილისის მე-15 საშუალო სკოლის ქიმიის წრის ხელმძღვანელი

22. წილოსანი სერგო—ქ. ქუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ქიმიის წრის ხელმძღვანელი

23. მოსაშვილი ასმათ—ქ. რუსთავის სკოლა-ინტერნატის ფიზიკის წრის ხელმძღვანელი

24. ლორთქიფანიძე ლილი—ქ. თბილისის 55-ე საშუალო სკოლის ქიმიის წრის ხელმძღვანელი

25. გოდოლაძე ლიანა—ქ. ქუთაისის 30-ე საშუალო სკოლის ფიზიკის წრის ხელმძღვანელი

26. რიშკევიჩი ნიკოლოზ—ქ. თბილისის 76-ე საშუალო სკოლის რადიოტექნიკური წრის ხელმძღვანელი

27. ოთარაშვილი ოთარ—დუშეთის პიონერთა სახლის ელექტროტექნიკური წრის ხელმძღვანელი

28. დარახველიძე იური—ქ. ქუთაისის მე-10 საშუალო სკოლის ტექნიკური წრის ხელმძღვანელი

29. არევაძე ალექსანდრე—ორჯონიკიძის რაიონის ვახანის საშუალო სკოლის ტექნიკური წრის ხელმძღვანელი

30. ბაღდავაძე ალექსანდრე—სამტრედიის რუსული საშუალო სკოლის ელექტროტექნიკური წრის ხელმძღვანელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

31. გალუსტოვი დავით—სიღნაღის რაიონის წნორის ქა[illegible]ლი საშუალო სკოლის ნორჩ ტექნიკოსთა წრის ხელმძღვანელი.

32. საფაროვი გრიგოლ—თელავის პიონერთა სახლის მეჩუქურთმეთა წრის ხელმძღვანელი

33. ვარდანაშვილი ლუარსაბ—გორის რაიონის მეჯვრისხევის საშუალო სკოლის მეჩუქურთმეთა წრის ხელმძღვანელი

34. კარაპეტიანი რონდოზ—ქ. თბილისის 86-ე საშუალო სკოლის რადიოტექნიკური წრის ხელმძღვანელი

35. ჩილიჯიანი სურენ—ქ. ბათუმის მე-5 საშუალო სკოლის ავიამოდელისტთი წრის ხელმძღვანელი

36. ლექვინაძე სიმონ—ქ. ქუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის დირექტორი

37. შერვაშიძე კარლო—აჭარის ასსრ ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის დირექტორი

38. არტამონოვი სერგო—ს/ოსეთის ავტონომიური ოლქის ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის ფიზიკა-ტექნიკის წრის ხელმძღვანელი

39. ბიტიევი ნიკოლოზ—ს/ოსეთის ავტონომიური ოლქის ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის ავტომატიკის წრის ხელმძღვანელი

40. მოლჩანოვი ვიქტორ—ქ. ქუთაისის მე-9 საშუალო სკოლის ტექნიკური წრის ხელმძღვანელი

41. ნერსესოვი გიორგი—ქ. თბილისის 30-ე საშუალო სკოლის ფიზიკის წრის ხელმძღვანელი

42. სემიონოვი ოლეგი—ქ. თბილისის 83-ე საშუალო სკოლის ავიამოდელისტთა წრის ხელმძღვანელი

43. კიკნაძე ზაურ—ქ. გორის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ავტომატიკის წრის ხელმძღვანელი

44. ბურჭულაძე მიხეილ—ქ. თბილისის 132-ე საშუალო სკოლის რადიოტექნიკური წრის ხელმძღვანელი

45. აბულაძე ი. ს.—ორჯონიკიძის რაიონის კიცხის სკოლა-ინტერნატის სასწავლო-სააღმზრდელო ნაწილის გამგე

46. ვერხოვსკი სიმონ—აჭარის ასსრ ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის ტელემექანიკის წრის ხელმძღვანელი

47. ივანოვი ვლადისლავ—ქ. ბათუმის მე-3 საშუალო სკოლის შრომის მასწავლებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

48. ოლეინიჩენკო იური—ქ. ტყვარჩელის მე-3 საშუალო სკოლის მანქანათმცოდნეობის მასწავლებელი.

3. წელს ღონისძიება-კონკურსის „ნორჩი ტექნიკოსები—სამშობლოს“ ნაცვლად ჩატარდეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური-რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ბავშვთა ტექნიკური შემოქმედების საკავშირო დათვალიერება.

4. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურმა სადგურმა (გ. ეპიტაშვილი):

ა) ბავშვთა ტექნიკური შემოქმედების რესპუბლიკურ დათვალიერების საქმეში გაუწიოს საჭირო დახმარება და კონსულტაცია სკოლებსა და სკოლის გარეშე დაწესებულებებს;

ბ) დათვალიერებისათვის თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებისა და სხვადასხვა თვითნაკეთობათა დასამუშავებლად შეადგინოს საორიენტაციო თემატიკა და რაიონები უზრუნველყოს საჭირო მეთოდური მასალებით;

გ) მიავლინოს სპეციალისტები ქალაქებსა და რაიონებში დათვალიერების მზადების საქმეში სკოლებისათვის დახმარების აღმოსაჩენად;

ვ) დაეხმაროს ქ. თბილისის სკოლებს და სკოლის გარეშე დაწესებულებებს ხელსაწყო-იარაღების ბიბლიოთეკით;

დ) 1967 წლისათვის უზრუნველყოს თვითნაკეთი ხელსაწყოთა და მოქმედ მოდელთა აღწერილობების მომზადება და მათი ბროშურების სახით გამოცემა 15 საავტორო ფორმის საერთო მოცულობით.

5. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლებას განყოფილებათა გამგეებმა:

ა) პედაგოგიურ კაბინეტებთან ერთად მასწავლებელთა სექციებზე ფართოდ განიხილონ მე-15 რესპუბლიკური კონკურსის „ნორჩი ტექნიკოსები—სამშობლოს“ შედეგები და ბავშვთა ტექნიკური შემოქმედების საკავშირო დათვალიერებაში მონაწილეობის პირობები და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი დათვალიერებაში პიონერთა და მოსწავლეთა ფართო მონაწილეობისათვის;

ბ) განემარტოთ სკოლებისა და სკოლის გარეშე დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ბავშვთა ტექნიკური

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოქმედების საკავშირო დათვალიერებაში მონაწილეობა სავალდებულოა ყველა რვაწლიანი და საშუალო სკოლებისათვის.

6. ბავშვთა ტექნიკური შემოქმედების დათვალიერების რაიონული (საქალაქო) გამოფენები მოეწყოს 1967 წლის 15 აპრილამდე, საოლქო მნიშვნელობის გამოფენები 1967 წლის 15 მაისამდე, ხოლო რესპუბლიკური გამოფენა კი მოეწყოს 1967 წლის 15 აგვისტოს ქ. თბილისში.

7. ქ. ქ. თბილისისა და ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეების, ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო და საქალაქო სადგურებისა და პიონერთა სახლების დირექტორებმა გაშალონ დათვალიერებაში მონაწილეობისათვის მოსამზადებელი მუშაობა და ტექნიკური წრეების საქმიანობა მჭიდროდ დაუკავშირონ ბავშვთა ტექნიკური შემოქმედების დათვალიერების ამოცანებს.

8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმოსაფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) 1957 წლის ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ბიუჯეტში გაითვალისწინოს დათვალიერების რესპუბლიკური შემაჯამებელი გამოფენისათვის საჭირო სახსრები.

9. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე):

ა) ბავშვთა ტექნიკური შემოქმედების საკავშირო დათვალიერების საჭიროებისათვის ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს გამოუყოს 800 კილოგრამი საბეჭდი ქაღალდი;

ბ) რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილების შესაბამისად უზრუნველყოს დათვალიერებაში გამარჯვებულ მოსწავლეთათვის ჯილდოების შეძენა.

10. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა სისტემატურად გააშუქონ ბავშვთა ტექნიკური შემოქმედების საკავშირო დათვალიერებაში სკოლებისა და სკოლის გარეშე დაწესებულებების მონაწილეობა.

11. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახია) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

საქართველოს განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**
1966 წლის 26 დეკემბერი

# მოსწავლეთა მხატვრული ნამუშევრების რესპუბლიკური კონკურსის

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## კონკურსის დევიზი „ჩემი სამშობლო“

### I. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია გამოაცოცხლოს სკოლებისა და სკოლის გარეშე დაწესებულებების სახვითი წრეების მუშაობა, აღადგინოს საქართველოში ტრადიციული ხალხური ხელოვნების სახეობები: ხალიჩების, წინდების, ჩითების ქსოვა; წვნა; ხის, რკინის, მხატვრული დამუშავება; ავეჯის, ჭურჭლის, იარაღების დამზადება (გობი, ხონჩა, მუსიკალური საკრავები, ურმები, აკვნები და სხვ.) კერამიკული ნაკეთობის და საოჯახო ნივთების დამზადება. ქართული ტანისამოსის ნიმუშები მინიატურაში და სხვ. კონკურსში მონაწილეობენ აგრეთვე ნორჩი მხატვრები, მოქანდაკეები, მძერწავები, კონსტრუქტორები და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ეროვნული ხასიათის ნიმუშებს.

კონკურსის ჟიურის მიერ მოწონებული საუკეთესო ნამუშევრები გაიგზავნება საკავშირო გამოფენაზე, რომელიც გაიხსნება 1967 წლის შემოდგომაზე მოსკოვში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმის აღსანიშნავად.

საუკეთესო ნამუშევრები დაჯილდოვდება როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკური ჟიურის მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## II. რესპუბლიკური კონკურსის ხელმძღვანელი ორგანოები

რესპუბლიკური კონკურსის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის იქმნება რაიონული, საქალაქო, საოლქო, ავტონომიური რესპუბლიკების საორგანიზაციო კომიტეტები.

რესპუბლიკური კონკურსის ცენტრალური საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა:

1. უშ. ობოლაძე—საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე, პროფესორი, თავმჯდომარე;
2. ჯ. მუჯირი—მხატვრული აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის დირექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე;
3. ელ. გორგაძე—მხატვრული აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის სახვითი ხელოვნების სექტორის გამგე—კომიტეტის მდივანი.
4. ი. ურუშაძე—მხატვრული აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის სახვითი ხელოვნების სექციის თავმჯდომარე, პროფესორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე—კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;
5. ჯ. კვარაცხელია—თბილისის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასახლის დირექტორი;
6. ვ. მელიქიშვილი—მხატვარი;
7. გ. მიქაძე—პედაგოგიურ მეცნიერებათა კვლევითი სამეცნიერო ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი—მხატვარი.

## III. კონკურსის პირობები:

1. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მოსწავლეებს I-დან X კლასის ჩათვლით;

2. სკოლის სახვითი ხელოვნების წრე, ან კონკურსის მონაწილე ინდივიდუალური წესით წარადგენს ნამუშევარს არაუგვიანეს I მარტისა რაიონულ, საქალაქო, საოლქო ან ავტონომიური რესპუბლიკის საორგანიზაციო კომიტეტში. ხოლო თავის მხრივ ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტები შეკრებილ ნამუშევრებს არაუგვიანეს 20 მარტისა გადაუგზავნიან რესპუბლიკური კონკურსის ცენტრალურ საორგანიზაციო კომიტეტს შემდეგი მისამართით: თბილისი, ლერმონტოვის ქ. № 8. მხატვრული აღზრდის რესპუბლი-

კური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის სახვითი ხელოვნების სექტორს.

3. ნამუშევარს თან უნდა ერთვოდეს შემდეგი ცნობები: ექსპონატის სახელწოდება, ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი, ასაკი, სკოლის, კლასის დასახელება და საცხოვრებელი მისამართი (ფერწერული ტილო, ნახატები უნდა იყოს ჩარჩოს გარეშე).

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მხატვრული აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წ. 3 იანვრის ბრძანება № 6

### საგარეჯოს მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

საგარეჯოს მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის (დირექტორი გ. გ. რევაზოვი) სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებებს.

მასწავლებელთა ერთი ნაწილი ნაკლები პასუხისმგებლობით ეკიდება საგნის სწავლებას, გულდასმით არ ემზადება ყოველი გაკვეთილისათვის, არ ზრუნავს მოსწავლე ახალგაზრდობას შორის აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად, რის გამოც დაბალ პედაგოგიურ-მეთოდურ დონეზე ატარებს გაკვეთილს; დაბალია მოსწავლეთა ცოდნის დონე ცალკეულ საგნებში.

სკოლაში არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ქართული ენა და ლიტერატურა (მასწავლებლები: მ. ქისტაური, ა. ქვლივიძე). ძალზე დაბალია მოსწავლეთა წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა, მათ სუსტად იციან განვლილი მასალა, უძნელდებათ ნაწარმოების შინაარსის გადმოცემა. მასწავლებლები არ იცავენ დადგენილ წერის ნორმებს, არაგულისხმიერად ასწორებენ მოსწავლეთა ნაწერებს და ლიბერალურად აფასებენ მათ. ადგილი აქვს ჩამორჩენას საპროგრამო მასალის გავლაში.

მიუხედავად იმისა, რომ რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ა. შანავა დაუფლებულია საგანს, დაბალია მოსწავლეთა ცოდნის დონე ამ საგანში. არადამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნეს VIII კლასის მოსწავლეებმა. წინადადების გარჩევის დროს ქვემდებარე „я", რომელიც გამოხატულია პირის ნაცვალსახელით, მოსწავლემ შემასმენლად მიიჩნია; მასწავლებელი არ ასწორებს მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს, სათანადო ყურადღებას არ აქცევს საშინაო და საკლასო წერებს, არ სრულდება საკონტროლო წერის ნორმები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული სკოლაში მათემატიკის სწავლება (მასწავლებლები: ა. კუთხაშვილი, გ. როსტიაშვილი). ისინი ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ გაკვეთილებზე მოსწავლეთა აქტივიზაციას, არ ასრულებენ საკონტროლო სამუშაოების ნორმებს, არ იცავენ წერითი მუშაობის სახეებს. მასწავლებლები არ არიან გარკვეულნი ამ ტიპის სკოლის მუშაობის თავისებურებაში, დაბალია მოსწავლეთა ცოდნის დონე VII—XI კლასებში.

სათანადო სიმაღლეზე არ დგას აგრეთვე ქიმია-ბიოლოგიის სწავლება (მასწავლებელი მ. მეტრეველი). მასწავლებელი ვერ ამჩნევს მოსწავლის მიერ დაფაზე შეცდომით დაწერილ ფორმულებს, ამასთან ახალი მასალის „კოლოიდური ხსნარების“ ახსნის დროს მასწავლებელმა თვითონ დაუშვა შეცდომა: ნაცვლად იმისა, რომ დაეწერა $(NH_4)_2SO_4$, დაწერა $(NH_3)_2SO_4$. არც ერთ მოსწავლეს არ ჰქონდა ქიმიის რვეული.

არადამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნეს IX და X კლასის მოსწავლეებმა ისტორიაში (მასწავლებელი მ. ქისტაური). მოსწავლეები ერთმანეთში ურევენ ინდოელი ხალხის აჯანყების მიზეზებსა და მიზნებს, ჩინეთისა და ინდოეთის ისტორიას. მასწავლებელი არ ასწორებს მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს; მაგალითად, „ინდოეთის ხალხის აჯანყების მეთაური იყო სუნიატსენი“, ან „ინდოეთში პრეზიდენტად სუნიატსენი აირჩიეს“. ახალი მასალის ახსნისას „რევოლუცია ირანსა და თურქეთში“ მასწავლებელმა თვითონ დაუშვა შეცდომები.

X და XI კლასების მოსწავლეებმა დაბალი ცოდნა გამოამჟღავნეს სსრ კავშირის ეკონომიურ გეოგრაფიაში. მოსწავლეებს გაუჭირდათ მოკავშირე რესპუბლიკების დასახელება და ჩვენება რუკაზე. არ ტარდება პრაქტიკული ვარჯიშობანი კონტურულ რუკებზე. შემცვლელმა მასწავლებელმა გ. რევაზოვმა (იგივე დირექტორმა) ვერც ერთ გაკვეთილზე ვერ შეძლო ახალი მასალის გაკვეთილზევე განმტკიცება.

სკოლის პედაგოგიური კოლექტივი არასაკმაოდ მუშაობს სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული კონტინგენტის სწავლებაში ჩასაბმელად და მის შესანარჩუნებლად. მიმდინარე სასწავლო წელს სახალხო მეურნეობის გეგმით უნდა გახსნილიყო 6 კლასი 72 მოსწავლით, ფაქტიურად გაიხსნა 5 კლასი 61 მოსწავლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოება-დაწესებულებებთან არადამაკმაყოფილებელი [illegible]რისა და ზოგი სხვა ღონისძიების გაუტარებლობის გამო, შენარჩუნებული არაა მოსწავლეთა კონტინგენტი. 5 სექტემბრის მდგომარეობის მიხედვით IX კლასში ირიცხებოდა 15 მოსწავლე, შემოწმებისას კი — 7 მოსწავლეა. გასული 1965—66 და მიმდინარე სასწავლო წელს სკოლას ჩამოსცილდა და განითესა 24 მოსწავლე.

სკოლას არ გააჩნია მოსწავლეთა მოძრაობის წიგნი და სკოლის დღიური; არ წარმოებს გაკვეთილებზე მოსწავლეთა გამოცხადების აღრიცხვა; არაა აღრიცხული, რომელმა მასწავლებელმა გააცდინა და ვინ შესცვალა, ვის და რამდენჯერ დაესწრო დირექტორი გაკვეთილზე და სხვ.

მაშინ როდესაც, ქ. საგარეჯოს 9 წარმოება-დაწესებულებაში მუშაობს სწავლებაში ჩაუბმელი 113 ახალგაზრდა, მუშა ახალგაზრდობის სკოლის კლასები დაუტვირთავია.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა სასკოლო მუშაობის დაგეგმვას; სკოლის წლიურ, პედაგოგიურ საბჭოსა და კლასის ხელმძღვანელთა ნახევარწლიურ გეგმებში საკმაოდ არაა ასახული ამ ტიპის სკოლის თავისებურებანი, როგორიცაა საწარმოო-დაწესებულებებთან კავშირის დამყარება, სკოლის დაკომპლექტებისათვის ჩასატარებელი ღონისძიებანი და სხვ.

კლასის ხელმძღვანელების მიერ შედგენილი სააღმზრდელო გეგმები ზოგადია. არც ერთ ხელმძღვანელს არ ჰქონდა გათვალისწინებული შ. რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით საუბრების ჩატარება.

მოუვლელია მოსწავლეთა პირადი საქმეები. მოსწავლეთა ნაწილს აკლია ცნობები სამუშაო ადგილიდან და დაბადების მოწმობები.

საკლასო ჟურნალებში ჩაწერილი მიმდინარე შეფასების ნიშნების საფუძველზე არასწორადაა გამოყვანილი I მეოთხედის ნიშნები; ასე, მაგალითად, IX კლასის მოსწავლე გ. ბ-ს ქართულ ლიტერატურაში მიღებული აქვს ნიშანი „2“, I მეოთხედის ნიშნად კი უწერია — „3“, ამავე კლასის მოსწავლე თ. რ-ს II/X-ს ალგებრაში მიღებული აქვს შეფასება „2“, I მეოთხედის ნიშნად კი უწერია „4“. ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი სხვა კლასებშიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბალია I მეოთხედის აკადემიური მოსწრება. 61 შეფა-სებული მოსწავლიდან ასწრებს მხოლოდ 38, რაც 62,3% შეადგენს.

რვაწლიანი განათლების მოწმობებისა და საშუალო განათლების ატესტატის ბლანკების აღრიცხვის წიგნების შემოწმებით დადგინდა, რომ 1965-66 წელს 12 მოსწავლეს საშუალო განათლების ატესტატი და 6 მოსწავლეს 8 კლასის განათლების მოწმობა შემოწმების დღისათვის არ ჰქონდათ მიღებული და ამ დოკუმენტებს დირექტორი ინახავდა ხის ყუთში.

შემოწმებამ ცხადყო, რომ სკოლის დირექტორსა და პედაგოგიურ კოლექტივს საჭირო დასკვნები არ გაუკეთებია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წლის 17 სექტემბრის №1058 ბრძანებიდან „საქართველოს სსრ სკოლებში საგაზაფხულო გამოცდების დროს გამოვლინებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ", რომელშიაც მოხსენებული იყო საგარეჯოს მუშა-ახალგაზრდობის სკოლა, პედაგოგიურ საბჭოზე არ უმსჯელიათ და არ დაუსახავთ ღონისძიებანი ამ ბრძანებაში მითითებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საგარეჯოს რაიონის განათლების განყოფილებამ (ამხ. ვ. ბედიაშვილი):

ა) გააუმჯობესოს საგარეჯოს მუშა ახალგაზრდობის საშ. სკოლისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი, მიაღწიოს საწარმოო-დაწესებულებების, მათი პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა დაინტერესებას მათთან მომუშავე ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდით; მიაღწიოს იმას, რომ წარმატებით მოსწავლე ახალგაზრდები სარგებლობდნენ კანონით დაწესებული შეღავათებით;

ბ) ქმედითი ღონისძიებანი გაატაროს მუშა ახალგაზრდობის სკოლის სასწავლო-მატერიალური ბაზის გასაუმჯობესებლად; დაუყოვნებლივ მოაგვაროს დღის სკოლის კაბინეტ-ლაბორატორიებით მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის მიერ სარგებლობის საკითხი;

გ) განათლების საბჭოს სხდომაზე განიხილოს აღნიშნული ბრძანება, დასაჯოს მასში აღნიშნული სუსტად მომუშავე მასწავ-

ლებლები და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი სკოლაში მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;

დ) სასწავლო წლის დამლევამდე მოახდინონ ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შემოწმება და შედეგი აცნობონ განათლების სამინისტროს 1967 წლის 25 ივნისამდე.

2. საგარეჯოს მუშა ახალგაზრდობის სკოლის დირექტორმა (ამხ. გ. რევაზოვმა):

ა) საგრძნობლად გააუმჯობესოს შინასასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე; პერიოდულად შეისწავლოს ცალკეული საგნის მასწავლებლების საქმიანობა და გაატაროს საჭირო ღონისძიებანი სკოლაში სწავლების ხარისხის ასამაღლებლად;

ბ) შექმნას ცალკეული საგნების მეთოდ-გაერთიანებანი და იზრუნოს მათი მუშაობის ჯეროვან სიმაღლეზე დასაყენებლად;

გ) სასკოლო მუშაობის დაგეგმვისას გაითვალისწინოს ამ ტიპის სკოლების თავისებურებანი;

დ) ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა გაშალოს, ერთი მხრივ, მოსწავლეთა სკოლაში შესანარჩუნებლად, მათ მიერ გაკვეთილების არასაპატიო მიზეზით გაცდენათა სალიკვიდაციოდ, მეორე მხრივ, წარმოებაში დასაქმებულ რვაწლიანი და საშუალო განათლების არმქონე ახალგაზრდების სწავლებაში ჩასაბმელად;

ე) უახლოეს ხანში სრულ წესრიგში მოიყვანოს სასკოლო დოკუმენტაცია;

ვ) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე, შექმნას მუშა ახალგაზრდობის სკოლის მუდმივმოქმედი ხელშემწყობი კომისია და ქმედითად გამოიყენოს იგი სკოლასა და წარმოება-დაწესებულებათა შორის მტკიცე, საქმიანი კავშირის განსახორციელებლად.

3. მასწავლებლებმა გადაჭრით გააუმჯობესონ მუშაობა, ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ საგნის სწავლებისათვის საჭირო სახელმძღვანელო და დამხმარე ლიტერატურაზე ინდივიდუალურ მუშაობას, მათ საფუძვლიან შესწავლას და შემოქმედებითად გამოყენებას.

4. მიღებულ იქნას ცნობად, რომ განათლების სამინისტროს 1966 წლის 17 სექტემბრის № 1058 ბრძანებით სკოლის დირექტორ გ. გ. რევაზოვსა და მათემატიკის მასწავლებელ ა. ს. კუთხაშვილს მკაცრი სასჯელი დაედოთ იმის გამო, რომ 1966-67 სასწავ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო წელს საგაზაფხულო გამოცდებზე XI კლასის მოსწავლეებმა დაბალი ცოდნა გამოამჟღავნეს. ამასთან საგარეჯოს რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა 1966 წლის 13 დეკემბერს იმსჯელა შექმნილი მდგომარეობის შესახებ და მიიღო საჭირო გადაწყვეტილება, სასტიკი საყვედური გამოუცხადა რა სკოლის დირექტორს.

5. სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობას.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1966 წლის 23 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წ. 5 იანვარი ბრძანება № 17

### 1966 წელს ქალაქებსა და რაიონებში სასკოლო შენობების კაპიტალური რემონტის ჩატარების შედეგების შესახებ

შერჩევითი შემოწმებით და ადგილებიდან მიღებული მასალებით გამოვლინებულია, რომ რესპუბლიკის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებათა შენობების კაპიტალური რემონტი რიგ ქალაქებსა და რაიონებში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ტარდება.

აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს 194 სკოლის შენობის მიმდინარე და 81 სკოლის კაპიტალური რემონტისათვის გამოეყო 262 ათასი მანეთი. გამოყოფილი თანხები ძირითადად ათვისებულია, სამუშაოები ვადაზეა შესრულებული. დამაკმაყოფილებლად ჩატარდა რემონტი ქ. ბათუმის № 1, 2, 3, 5, 7, 8, 14, 15 სკოლებში, № 1, 3 სკოლა-ინტერნატებში, აგრეთვე ქობულეთისა და ბათუმის რაიონის სკოლებში. მიუხედავად ამისა, აჭარის რესპუბლიკის რიგ რაიონებში დროულად არ ჩატარდა სასკოლო შენობების სარემონტო სამუშაოები. უხარისხოდ ჩატარდა სარემონტო სამუშაოები ხულოს სკოლა-ინტერნატის, დორჯომის საშუალო სკოლის, წაბლიანის 8 წლიანი და ქედის რაიონის სოფ. წონიარისის საშუალო სკოლების შენობებში.

აფხაზეთის ასსრ სკოლებში გეგმის მიხედვით 511 სასკოლო შენობას უნდა ჩატარებოდა მიმდინარე და კაპიტალური რემონტი, საამისოდ მიმდინარე რემონტისათვის გამოყოფილი იყო 90 ათასი მანეთი, ხოლო კაპიტალური რემონტისათვის—271 ათასი მანეთი. კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა 42 სკოლას და საბავშვო დაწესებულებას, მიმდინარე კი—469 სასკოლო შენობას. რემონტისათვის გამოყოფილი თანხა დღეისათვის მთლიანად არის ათვისებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამაკმაყოფილებლად ჩატარდა სარემონტო სამუშაოები გულრიფშის, სოხუმის, ოჩამჩირის და გაგრის რაიონებში. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს 4 სასკოლო შენობას მიუშენდა 56 საკლასო ოთახი 2210 მოსწავლე ადგილით. სასკოლო შენობების კაპიტალური რემონტისათვის გამოყოფილი თანხებიდან ამ სამუშაოებზე დაიხარჯა 172 ათასი მანეთი ანუ სარემონტო სამუშაოებისათვის გამოყოფილი თანხის 50%.

სამხრეთ ოსეთის ა/ო სასკოლო ობიექტებისათვის გამოყოფილი იყო 134 ათ. მანეთი, აქედან 74 ათასი მანეთი შენობათა კაპიტალური რემონტისათვის, ხოლო 60 ათასი მანეთი არსებულ სასკოლო შენობებზე საკლასო ოთახების მიშენება-დაშენებისათვის.

აღნიშნული თანხებიდან სასწავლო წლის დაწყების წინ ათვისებული იყო 63 ათასი მანეთი; შეკეთებულია მხოლოდ 48 სასკოლო შენობა. მიმდინარე წლის I ოქტომბრისათვის აუთვისებელი დარჩა 28 ათასი მანეთი. არ დამთავრებულა ქ. ცხინვალში ერთი საბავშვო ბაღისა და სამი რვაწლიანი სკოლის შენობის რემონტი, რიგი სასკოლო შენობების კაპიტალური რემონტი უხარისხოდ ჩატარდა, რამაც გამოიწვია სარემონტო სამუშაოების ხელმეორედ შესრულება. არსებულ სასკოლო შენობებზე საკლასო ოთახების მიშენებისათვის გამოყოფილი თანხებიდან ა/წლის 10 სექტემბრისათვის ათვისებული იყო მხოლოდ 32 ათასი მანეთი, ანუ 52%.

ქ. ქუთაისის სასკოლო შენობების კაპიტალური რემონტისათვის გამოყოფილი იყო 113 ათასი მანეთი, ქ. ქუთაისის № 1 სკოლა-ინტერნატსა და № 17 საშუალო სკოლის შენობებზე სარემონტო სამუშაოების ჩატარებისას ადგილი ჰქონდა შესრულებული სამუშაოების მოცულობის ხელოვნურად გაზრდის შემთხვევებს. № 1 სკოლა-ინტერნატის შენობის 7500 მანეთის მოცულობის სარემონტო სამუშაოების ჩატარების დროს ზედმეტად მიწერილი თანხა შეადგენს 236 მანეთს (ქუთაისის სამშენებლო-სარემონტო სამმართველო, სამუშაოთა მწარმოებელი შ. გურგენიძე), № 17 საშუალო სკოლის შენობის 4 ათასი მანეთის სამუშაოების შესრულებისას ზედმეტად მიწერილი თანხა შეადგენს 849 მანეთს (სამუშაოთა მწარმოებელი ამხ. დ. ესაიაშვილი). აღნიშნულის გამო ქუთაისის განათლების განყოფილებას მიეთითა ზედმეტად მიწერილი თანხები დაუკავოს მოიჯარე ორგანიზაციებს.

გარდაბნის რაიონის სასკოლო შენობების კაპიტალური და მიმდინარე რემონტისათვის გამოყოფილი იყო 63 ათასი მანეთი.

ალნიშნული რაიონის სასკოლო ობიექტებიდან შემოწმებული იქნა წავკისის, ტაბახმელას, კიკეთის, გამარჯვების და ნაზრალოს საშუალო სკოლების შენობებში ჩატარებული კაპიტალური რემონტის მოცულობები და ხარისხი, რომელსაც აწარმოებდა გარდაბნის რაიონის სამშენებლო-სარემონტო უბანი (უფროსი ი. ქარუმიძე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოდგენილი მასალებიდან დასტურდება, რომ ზედმეტად არის მიწერილი სოფ. წავკისის საშუალო სკოლის შენობის რემონტზე 130 მანეთი (სამუშაოთა მწარმოებელი ამირაშვილი), სოფ. ტაბახმელას საშუალო სკოლის შენობის რემონტზე—77 მანეთი (სამუშაოთა მწარმოებელი გ. ბაკურაძე), სოფ. კიკეთის საშუალო სკოლის შენობის რემონტზე—30 მანეთი (სამუშაოთა მწარმოებელი გ. ჩახოიანი), ხოლო სოფ. ნაზრალოს დაწყებითი სკოლის შენობაზე—166 მანეთი, რის გამო გარდაბნის რაიონის განათლების განყოფილებას მიეთითა ზედმეტად მიწერილი თანხის დაუყოვნებლივ ჩამოწერის შესახებ.

ყვარელის რაიონის სასკოლო შენობების კაპიტალური და მიმდინარე რემონტისათვის გამოყოფილი იყო 29.300 მანეთი, ალნიშნული თანხა ძირითადად მოხმარდა ყვარლის № 2 საშუალო სკოლის, სოფ. შილდის საშუალო სკოლის და ყვარლის სკოლა-ინტერნატის შენობების კაპიტალურ რემონტს. ადგილზე ჩატარებული შემოწმებით დასტურდება, რომ სარემონტო სამუშაოები შესრულებულია დაბალი ხარისხით (სარემონტო კანტორის უფროსი ო. სამხარაული).

ცხაკაიას რაიონში სასკოლო შენობების კაპიტალური რემონტისათვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი იყო 38 ათასი მანეთი, აქედან 18 ათასი მანეთი განაღდებული იქნა გასულ წელს სოფ. ნაქალაქევის სკოლის შენობაზე საკლასო ოთახების მიშენებისათვის, 17 ათასი მანეთი მოხმარდა ცხაკაიას საშუალო სკოლის შენობებზე საკლასო ოთახების მიშენების სამუშაოებს, ხოლო დარჩენილი თანხა 3 ათასი მანეთის ოდენობით მოხმარდა სკოლების შენობების კაპიტალურ რემონტს.

ზესტაფონის რაიონის სასკოლო შენობების კაპიტალური რემონტისათვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი იყო 71 ათასი მანეთი, ალნიშნული თანხა სასწავლო წლისათვის ათვისებულია მთლიანად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაზბეგის რაიონის სასკოლო შენობების კაპიტალური რემონტისათვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი იყო 18 ათასი მანეთი. რაიონის 27 სკოლიდან 10 საშუალო და რვაწლიან სკოლას ჩაუტარდა კაპიტალური, ხოლო 17 სკოლას მიმდინარე რემონტი.

ქ. თბილისის სასკოლო შენობების კაპიტალური რემონტის ჩასატარებლად თბილისის განათლების განყოფილების მიერ გამოყოფილი იყო 508 ათასი მანეთი, რომელიც განაწილებული იქნა:

| | | |
|---|---|---|
| ლენინის რაიონის სკოლებისათვის | — 58 ათასი | მანეთი |
| I-ლი მაისის რაიონის " | — 55 ათასი | " |
| ოქტომბრის რაიონის " | — 50 ათასი | " |
| კალინინის რაიონის " | — 50 ათასი | " |
| ორჯონიკიძის რაიონის " | — 70 ათასი | " |
| კიროვის რაიონის " | — 70 ათასი | " |
| 26 კომისრის რაიონის " | —100 ათასი | " |
| სკოლის გარეშე დაწესებულებებისათვის | — 28 ათასი | " |
| ს უ ლ . . . . | 508 ათასი | მანეთი |

1966 წლის ოქტომბრისათვის ათვისებული იყო 677 ათასი მანეთი, ანუ 169 ათასი მანეთით მეტი, გამოყოფილ თანხასთან შედარებით. ეს თანხა გაღებულია საშეფო ორგანიზაციების მიერ. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული თანხიდან თბილისის № 38, 69, 99 და მე-3 საშუალო სკოლების შენობებს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია-გაფართოება საკლასო ოთახების მიშენების სახით, რაზედაც დაიხარჯა 170 ათასი მანეთი.

მიშენებული და დაშენებული იქნა 32 საკლასო ოთახი 1280 მოსწავლე ადგილით და 2 სპორტული დარბაზი. კაპიტალური რემონტის სამუშაოები ძირითადად დამთავრებული იქნა ახალსასწავლო წლისათვის.

სულ რესპუბლიკის სკოლების კაპიტალური რემონტისათვის გამოყოფილი თანხებიდან—3.308,0 ათ. მანეთიდან, 1968 წლის ოქტომბრისათვის ათვისებულია მხოლოდ 2.821,0 ათ. მანეთით, ანუ წლიური გეგმის 85,3%.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დაევალოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) მკვეთრად გააუმჯობესონ კონტროლი განათლების ობიექტების შენობების კაპიტალური რემონტის სამუშაოებზე და არ დაუშვან უხარისხოდ ჩატარებული სამუშაოების მიღება;

ბ) არ დაუშვან სასკოლო შენობების კაპიტალური რემონტისათვის გამოყოფილი თანხების აუთვისებლობა და შესრულებული სამუშაოების მოცულობაზე მიწერების ფაქტები;

გ) საჭირო ზომები მიიღონ, რათა სასკოლო შენობების კაპიტალური რემონტის და არსებული სკოლების შენობებზე საკლასო ოთახების მიშენება-დაშენების სამუშაოები დაიწყონ წლის დასაწყისიდან და დაამთავრონ სასწავლო წლის დაწყებამდე;

დ) ყოველკვარტალურად წარმოუდგინონ ანგარიშები საქართველო სსრ განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებას სასკოლო შენობებზე კაპიტალური რემონტისათვის დაშვებული თანხების ათვისების მიმდინარეობის შესახებ;

ე) დროულად მოამზადონ მომავალი წლისათვის სასკოლო და სააღმზრდელო დაწესებულებათა შენობებზე ადგილობრივი ბიუჯეტის თანხებიდან საკლასო ოთახების მიშენების ტექნიკური დოკუმენტაცია.

2. ეთხოვოს საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, რათა სასკოლო შენობების რემონტისათვის გამოყოფილი თანხები 1967 წელს ძირითადად გაითვალისწინონ არსებულ სასკოლო შენობებზე საკლასო ოთახების მიშენებისათვის, განსაკუთრებით იქ, სადაც შექმნილია სამცვლიან მეცადინეობაზე გადასვლის საშიშროება.

3. დაევალოს განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებას:

ა) სისტემატურად შეამოწმოს ქალაქებსა და რაიონებში სასკოლო შენობების კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებული თანხების ათვისებისა და დანიშნულებისამებრ გამოყენების მიმდინარეობა;

ბ) არ დაუშვას სასკოლო შენობებზე საკლასო ოთახების მიშე-ეროვნული ბიბლიოთეკა
ნება-დაშენება, ამისათვის საჭირო ტექნიკური დოკუმენტაციისა და განათლების ადგილობრივი ორგანოების მიერ საქ. სსრ განათლების სამინისტროსთან საკითხის წინასწარი შეთანხმების გარეშე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1966 წლის 20 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წ. 11 იანვრის ბრძანება № 31

### ქ. ქიათურის და თიანეთის რაიონის ზოგიერთი სასკოლო ბიბლიოთეკის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დასტურდება, რომ ქ. ქიათურისა და თიანეთის რაიონის რიგ სკოლებში დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურება. ქ. ქიათურის ზოდის, თიანეთის რაიონის სიმონიანთხევის და ტუშურების საშუალო სკოლების ბიბლიოთეკებს კლასგარეშე კითხვაში ჩაბმული ჰყავთ მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა. დასახელებული სასკოლო ბიბლიოთეკები რეგულარულად ატარებენ მკითხველთა კონფერენციებს. წიგნის ხმამაღლა კითხვას, ლიტერატურულ დილებს და ამით ნერგავენ მოსწავლეთა შორის წიგნისადმი ცხოველ ინტერესს.

მაგრამ შემოწმებული სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობაში შეინიშნება მთელი რიგი ნაკლოვანებანი.

სასკოლო ბიბლიოთეკების ერთ ნაწილს არა აქვს შესაფერისი ბინა. მაგალითად, ქ. ქიათურის ნიგოზეთის საშუალო სკოლის ბიბლიოთეკას დათმობილი აქვს მცირე მოცულობის გასასვლელი ოთახი. ცალკე ოთახი არა აქვს გამოყოფილი ბიბლიოთეკას თიანეთის რაიონის ტუშურების საშუალო სკოლაში; აქ პიონერთა ოთახი და ბიბლიოთეკა ერთადაა მოთავსებული, რაც აძნელებს მათ მუშაობას. შეუფერებელ, ვიწრო ბინაშია მოთავსებული აგრეთვე ქ. ქიათურის მე-3 საშუალო სკოლის ბიბლიოთეკა.

შემოწმებული ბიბლიოთეკების ერთი ნაწილი განიცდის საჭირო ინვენტარის — თაროების, საკატალოგო ყუთების, დგამების სიმცირეს.

ზოგიერთ სასკოლო ბიბლიოთეკაში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მოსწავლეთა კლასგარეშე კითხვაში ჩაბმის საქმე. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ქ. ქიათურის რგა-

ნის საშუალო სკოლაში (დირექტორი ტ. ნოზაძე, ბიბლიოთეკის გამგე კ. ცერცვაძე), სადაც შემოწმების დღისათვის ბიბლიოთეკას მხოლოდ 14 მკითხველი ჰყავდა. არასაკმაო რაოდენობით ჰყავთ შემოკრებილი მკითხველები აგრეთვე ქ. ჭიათურის მე-3, ნიგოზეთის და თიანეთის საშუალო სკოლებში. ამ სკოლებში მცირეა მკითხველებზე გაცემულ წიგნთა რაოდენობა, რის შედეგად არადამაკმაყოფილებელია წიგნების ბრუნვა.

ზოგან (ქ. ჭიათურის მე-3, ნიგოზეთის საშუალო და ზარიძეების რვაწლიანი სკოლები) არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული წიგნის პროპაგანდა მოსწავლეთა შორის: არარეგულარულად ტარდება მკითხველთა კონფერენციები, ლიტერატურული დილები, წიგნის ხმამაღალი კითხვა და სხვა. თიანეთის რაიონის ზარიძეების რვაწლიანი სკოლის ბიბლიოთეკაში (სკოლის დირექტორი ვ. წიკლაური, ბიბლიოთეკის გამგე შ. მგელიაშვილი) კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სარეკომენდაციო სიები კლასების მიხედვით არასწორად არის შედგენილი. ამ სიების მიხედვით III კლასელთათვის გათვალისწინებულია ვაჟა ფშაველას „ალუდა ქეთელაური“ და ი. ჭავჭავაძის „სახრჩობელაზე“, ხოლო VIII კლასელთათვის ჯონათან სვიფტის „გულივერის მოგზაურობა“.

შემოწმებული სკოლების ერთ ნაწილს (ქ. ჭიათურის ნიგოზეთის, თიანეთის რაიონის სიმონიანთხევის საშუალო და ამავე რაიონის ზარიძეების რვაწლიან სკოლებში) წესრიგში არა აქვთ საინვენტარო წიგნები, რომლებიც არ არის ზონარგაყრილი, დალუქული და ხელმოწერილი.

ხარვეზებია წიგნადი ფონდის დაკომპლექტების საქმეში. სასკოლო ბიბლიოთეკებში გვხვდება არაპროფილური, შეუფერებელი ლიტერატურა.

ზოგიერთ სასკოლო ბიბლიოთეკას გამოწერილი არა აქვს ცენტრალური და ადგილობრივი საბავშვო ჟურნალ-გაზეთები. მაგალითად, ქ. ჭიათურის მე-3 საშუალო სკოლის ბიბლიოთეკას გამოწერილი არა აქვს ჟურნალი „დილა“ და გაზეთი „პიონერსკაია პრავდა“, ასეთივე მდგომარეობაა ქ. ჭიათურის ნიგოზეთის საშუალო და თიანეთის რაიონის ზარიძეების რვაწლიან სკოლებში.

შემოწმებული სასკოლო ბიბლიოთეკების უმრავლესობა დაკომპლექტებულია არასპეციალური განათლების მქონე კადრებით.

შემოწმებულ სკოლებს ჯერ კიდევ არ აუღიათ ვალდებულებები ბიბლიოთეკების მუშაობის გარდასაქმნელად ოქტომბრის რევო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ბიბლიოთეკების საზოგადოებრივ დათვალიერებასთან დაკავშირებით.

სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობას განსაკუთრებით აბრკოლებს ის, რომ სათანადო კლასებისა და საგნების მასწავლებლები, განსაკუთრებით კი დაწყებითი კლასებისა და ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები და კლასის ხელმძღვანელები ფაქტიურად საჭირო დახმარებას არ უწევენ ბიბლიოთეკას იმ მიმართულებით, რათა მოსწავლეები აუცილებლად კითხულობდნენ კლასგარეშე მხატვრულ, ტექნიკურ-პოპულარულ ლიტერატურას და საბავშვო და სხვა ჟურნალებს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ქ. ჭიათურისა და თიანეთის რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეებმა (ამხ. ამხ. გ. ცხადიაშვილი, ე. თურქიაშვილი):

ა) განიხილონ ეს ბრძანება სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე და დასახონ საჭირო ღონისძიებანი სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ბ) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წლის 7 დეკემბრის № 1364 ბრძანების შესაბამისად უზრუნველყონ ყველა სასკოლო ბიბლიოთეკის ჩაბმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ბიბლიოთეკების საზოგადოებრივ დათვალიერებაში;

გ) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი სასკოლო ბიბლიოთეკებისადმი იმ ვარაუდით, რომ სკოლებმა მაქსიმალურად გაზარდონ მკითხველთა რაოდენობა და წიგნის ბრუნვის კოეფიციენტი;

დ) სასკოლო ბიბლიოთეკების გამგეები, რომელთაც არა აქვთ უმაღლესი საბიბლიოთეკო განათლება და სათანადო გამოცდილება, ჩააბან დაუსწრებელ სწავლებაში.

2. სკოლების დირექტორებმა:

ა) უზრუნველყონ სასკოლო ბიბლიოთეკები შესაფერისი ბინით და საჭირო ინვენტარით;

ბ) მოაგვარონ საბიბლიოთეკო მეურნეობა (წიგნადი ფონდების დამუშავება, საინვენტარო და ჯამობრივი აღრიცხვის წიგნების წარმოება, კატალოგების შედგენა, ყოველდღიური მუშაობის ზუსტი აღრიცხვა და სხვა).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ) გაწმინდონ წიგნადი ფონდები არაპროფილური, შეუფერებელი და მოძველებული ლიტერატურისაგან.

დ) საგნის მასწავლებლებსა და კლასის ხელმძღვანელებს დააკისრონ მჭიდრო, საქმიანი კავშირის დამყარება ბიბლიოთეკასთან და ყოველდღიური დახმარების აღმოჩენა მოსწავლეთა ფართო მასების მოზიდვასა და წიგნის პროპაგანდის საქმეში.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წ. 11 იანვრის ბრძანება № 32

### სპორტის ტექნიკურ სახეებში რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში მონაწილე მოსწავლეთა სპორტული კოლექტივების შედეგებისა და 1967 წელს საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავისადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებისათვის მზადების შესახებ

აღვნიშნავ, რომ რესპუბლიკის სკოლებმა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს სპორტის ტექნიკურ სახეებში წრეების შესაქმნელად. საგრძნობლად გაიზარდა აკია, გემთმოდელისტთა და ავტომოდელისტთა წრეების რაოდენობა და მათში გაერთიანებულ მოსწავლეთა რიცხვი. ბევრ სასკოლო ტექნიკურ წრეში მუშაობა საინტერესოდ და მიმზიდველად წარიმართა, რის შედეგადაც 1965—66 სასწავლო წლის დასასრულს მათ შეძლეს მონაწილეობა მიეღოთ ადგილობრივ, რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში.

გასულ სასწავლო წლის ბოლოს ჩატარებულ ნორჩ ავიამოდელისტთა XXXV რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მონაწილეობდა 17 გუნდი 160 მოსწავლით, ხოლო ნორჩ გემთმოდელისტთა მე-3 რესპუბლიკურ შეჯიბრებაში 8 გუნდი 58 მოსწავლის რაოდენობით.

სპორტის ამ სახეობებში ჩატარებულმა შეჯიბრებებმა გვიჩვენეს მოსწავლე-ახალგაზრდობის ცოდნის სათანადო დონე და კარგი სპორტული მომზადება. შეჯიბრებაზე წარმოდგენილ ავიამოდელისტთა საფრენოსნო და გემთმოდელისტთა ცურვის მონაცემები, წინა წლებთან შედარებით, უკეთესი იყო.

ავიამოდელისტთა XXXV რესპუბლიკურ პირად-გუნდურ შეჯიბრებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ორმა გუნდმა, ქ. რუსთავის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის, ქ. თბილისის 83-ე საშ. სკოლის, ქ. ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ავიამოდელისტთა გუნდმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ გუნდების მიერ წარმოდგენილი მოდელები, როგორც საფრენოსნო მონაცემებით, ასევე გარეგანი გაფორმებით კარგი იყო. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ ამ გუნდებიდან გამოავლინდნენ მოსწავლეები, რომელთა მოდელებმაც მსაჯთა კოლეგიის მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

ნორჩ ავიამოდელისტთა შეჯიბრებამ ნათლად გვიჩვენა, რომ ავიამოდელიზმი მოსწავლე-ახალგაზრდობას შორის წლითიწლობით სულ უფრო პოპულარული ხდება. ამის დამადასტურებელია ჩატარებული შეჯიბრებების სპორტული შედეგი და შეჯიბრში მონაწილე კოლექტივთა ზრდა. წელს შეჯიბრებაში პირველად მონაწილეობდნენ ქ. ფოთის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის, ხაშურის პიონერთა სახლის, ახმეტის მე-2 და ქუთაისის მე-5 საშუალო სკოლების ნორჩ ავიამოდელისტთა გუნდები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის, ქ. რუსთავის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის, ქ. თბილისის 83-ე საშუალო სკოლის, ქ. ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის გუნდების სპორტული წარმატებები, რომლებმაც საპრიზო ადგილები დაიკავეს.

პირად ჩათვლაში დიდ წარმატებას მიაღწია ქ. თბილისის მე-7 საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე ირაკლი მელიქიშვილმა, რომელმაც შეჯიბრებაზე ოსტატის კანდიდატის ნორმა შეასრულა; ქ. რუსთავის მე-5 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე ვიქტორ აბუაშვილმა, ქ. თბილისის 83-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე ნუგზარ წიკლაურმა, ქ. თბილისის მე-2 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე არტემ ავაქოვმა, ქ. თბილისის მე-2 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე სერგო ბდოიანმა და სხვებმა შეასრულეს სპორტული თანრიგის I და II ნორმები. ქ. რუსთავის მე-5 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლის ვიქტორ ოსიპოვის მიერ დამზადებულმა რადიოთი სამართავმა თვითმფრინავის მოდელმა პირველსავე ცდაზე რეკორდი დაამყარა და იგი დაეშვა მოცემულ წრეში.

ავიამოდელისტთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე გუნდური პირველი ადგილი დაიკავა ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ავიამოდელისტთა პირველმა გუნდმა (ხელმძღვანელი—რ. შმატკოვი), მეორე ადგილი—ქ. რუსთავის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ავიამოდელისტთა გუნდმა (ხელმძღვანელი—ვ. სტარინინი),

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო მესამე საპრიზო ადგილი—ქ. თბილისის 83-ე საშუალო სკოლის გუნდმა (ხელმძღვანელი—ო. სემიონოვი).

ნორჩ ავიამოდელისტთა XXXV რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე გამარჯვებულ მოსწავლეთაგან დაკომპლექტებულმა გუნდმა 8 მოსწავლის შემადგენლობით მონაწილეობა მიიღო ნორჩ ავიამოდელისტთა მე-2 საკავშირო შეჯიბრებაში, რომელიც მ/წელს 24-დან 28 ივლისამდე ქ. იევსკში ჩატარდა.

აღნიშნულმა გუნდმა შეჯიბრებაზე საერთო X ადგილი დაიკავა, მაგრამ გასულ წელთან შედარებით (XIV) ნორჩმა ავიამოდელისტებმა გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს.

ნორჩ ავიამოდელისტთა საკავშირო შეჯიბრებაზე ქ. თბილისის მე-2 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე სერგო ბდოიანმა საკორდო ასლ-მოდელით მეორე ადგილი დაიკავა, ქ. თბილისის მე-8 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე ირაკლი მელიქიშვილმა რეზინძრავიანი მოდელით—მე-4 ადგილი, ხოლო ქ. თბილისის 83-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე ვლადიმერ ტალესნიკოვმა, რაკეტის კლასის მოდელებში მე-4 საპრიზო ადგილი.

შედეგების ანალიზმა ცხადჰყო, რომ ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლე-ავიამოდელისტების გუნდმა საკავშირო შეჯიბრებაზე ვერ გამოავლინა მთელი თავისი შესაძლებლობა. გუნდი ტექნიკურად არ იყო აღჭურვილი საჭირო ხელსაწყოებითა და მოწყობილობით. მას არ გააჩნდა ქარხნული წესით დამზადებული რადიოთი სამართავი მოდელი, რის გამო დაკარგა ქულათა გარკვეული რაოდენობა.

ნორჩ გემთმოდელისტთა III რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე, რომელიც 1966 წლის 27-დან 30 ივნისამდე ქ. თბილისში ჩატარდა, მოსწავლეთა მიერ წარმოდგენილი იყო 100-მდე სატვირთო გემის, გლისერის, წყალქვეშა ნავის, თანამედროვე რაკეტ-მზიდის, ნაღმოსნისა და სხვადასხვა სახის მოძრავი თუ მოქმედი მოდელი.

სვლის საუკეთესო შედეგი უჩვენა და I ადგილი დაიკავა ქ. ქუთაისის მე-13 საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლის გიორგი ლომთაძის მიერ დამზადებულმა ნაღმოსნის თვითმავალმა მოდელმა. ასევე კარგი შედეგები უჩვენეს ახმეტის რაიონის დუისის საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლის სპარტაკ ბალაკაშვილის მიერ დამზადებულმა წყალქვეშა ნავის მოქმედმა მოდელმა, ქ. ბათუმის 24-ე საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლის ლევ ოვსეპიანის მიერ დამზადებულმა თვითმავალმა მოდელმა და სხვ.

ამ შეჯიბრებაზე გუნდური საპრიზო ადგილები დაიკავეს აჭარის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასსრ ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის, ქ. ქუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურისა და პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის გემთმოდელისტთა გუნდებმა.

გემთმოდელისტთა შეჯიბრებაზე მონაწილე მოდელებმა თვალნათლივ დაადასტურეს მოსწავლე-ახალგაზრდობის მომზადების დონე, მათი უნარი გაიანგარიშონ და საკუთარი ხელით დაამზადონ თანამედროვე გემების სრულყოფილი მოდელები.

დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურთან მუშაობს ნორჩ რადიომოყვარულ მოკლეტალღოსანთა სექცია. მოკლე ხნის განმავლობაში მოსწავლეთა მიერ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის რადიომოყვარულებთან დამყარებულია 2000-მდე ორმხრივი რადიოკავშირი.

1966 წლის ზაფხულში გამართულ პიონერ-მოსწავლეთა III საკავშირო რადიოთამაშობათა შეჯიბრებაში ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ნორჩ რადიომოყვარულებისაგან დაკომპლექტებულმა გუნდმა, რომელიც პირველად ღებულობდა მონაწილეობას ასეთი სახის დიდ სპორტულ შეჯიბრებაში, საკავშირო II ადგილი დაიკავა და „დოსააფის“ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი თასი მოიპოვა (ხელმძღვანელები: ვ. ჯაფარიძე, რ. ჩარგეიშვილი).

პირად პირველობაში კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს ქ.-თბილისის მოსწავლეებმა კონსტანტინე ნალბანდიანმა, რომელმაც ზონაში შემავალ გუნდებისათვის სარეკორდო შედეგი უჩვენა და წუთში 140 ნიშანი მიიღო, რითაც საკავშირო მეორე ადგილი დაიკავა. ასევე მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა რადიომრავალჭიდში მოსწავლეთა გუნდმა გივი ქოქიაურისა და შოთა ირემაშვილის შემადგენლობით. მესამე და მეოთხე ადგილები დაიკავეს „ხმელეთზე ნადირობის“ შეჯიბრებაში მოსწავლეებმა გივი ქოქიაურმა და თამაზ ლომთაძემ.

წელს პირველად მონაწილეობდა რესპუბლიკის გუნდი ავტომოდელისტთა მე-3 საკავშირო შეჯიბრებაში, რომელიც მ/წლის ზაფხულში ქ. ლენინგრადში მოეწყო.

საყურადღებოა გუნდის ზოგიერთი წევრის წარმატება, რომელიც მათ ამ შეჯიბრებაზე მოიპოვეს. ასე, მაგალითად, ქ. ბათუმის მე-2 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე ზურაბ სიორიძემ სარბოლო ავტომოდელით, რომლის ძრავის მოცულობა 2,5 კუბურსანტიმეტრს უდრიდა, საკავშირო VI ადგილი დაიკავა, ქ. ბათუმის ამავე სკოლის IX კლასის მოსწავლე ზურაბ ინწკირველმა ანალოგიური

სახეობის მოდელებში 5 კუბურსანტიმეტრის მოცულობის ძრავიანი ავტომოდელით მე-7 ადგილი დაიკავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა აღინიშნოს, რომ ამ გუნდის ყველა ოთხმა წევრმა შეასრულა სპორტული თანრიგის ნორმები.

სპორტის ტექნიკურ სახეებში რესპუბლიკურ შეჯიბრებების ჩატარებამ და საკავშირო შეჯიბრებებში მონაწილეობამ, დადებით მხარეებთან ერთად, გამოავლინა ისიც, რომ ზოგიერთი განათლების განყოფილება არ ასრულებს სკოლებში სპორტის ტექნიკურ სახეობათა დანერგვისა და განვითარების შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებებს.

უკვე რამდენიმე წელია, რაც აფხაზეთის ასსრ სკოლები და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებები არ მონაწილეობენ ავიამოდელისტთა შეჯიბრებებში, ეს იმ დროს როცა ახმეტის მე-2, მახარაძის რაიონის სოფ. მერიის, ქ. ქუთაისის მე-5, ქ. თბილისის 83-ე და სხვა საშუალო სკოლებთან არსებულ მოსწავლეთა ტექნიკურ წრეებში მასობრივად აგებენ სხვადასხვა სახის მოდელებს და წარმატებით მონაწილეობენ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში.

ანალოგიური მდგომარეობა შეინიშნება აგრეთვე ქ. ქ. ტყიბულის, გორის, ზესტაფონის, ლანჩხუთის, საგარეჯოს, სამტრედიის, სიღნაღის, თელავის, ზუგდიდის, ცხაკაიას და რესპუბლიკის ზოგიერთი სხვა რაიონების განათლების განყოფილებების მუშაობაში, რომლებიც ჯეროვან ზომებს არ ღებულობენ სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში სპორტის ტექნიკური სახეების დანერგვისა და აღნიშნულ სახეობებში შეჯიბრებების ჩატარებისათვის.

რესპუბლიკის ბევრი სკოლისგარეშე დაწესებულება არ ზრუნავს სპორტის ტექნიკურ სახეებში წრეების ჩამოყალიბებისათვის, ხოლო იქ, სადაც არსებობს, სათანადო დახმარებას არ უწევენ.

ავტომოდელისტთა და რადიოსპორტულ წრეებს დღევანდლამდე არ დაუწყიათ მუშაობა ქ. ქ. სოხუმის, ფოთის, ჭიათურის, გორის, ცხინვალის ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებსა და პიონერთა სახლებში.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ნორჩ ავიამოდელისტთა XXXV და ნორჩ გემთმოდელისტთა III რეპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრებების ჩამტარებელი საორგანიზაციო კომიტეტების მიერ წარმოდგენილი ანგარიში გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარჯვებული გუნდებისა და ცალკეული მოსწავლეების დაჯილდოვების შესახებ დამტკიცდეს (იხ. დანართები № 1 და №2).

2. რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ

### პირველი ხარისხის დიპლომით:

1. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის რადიოსპორტული სექცია
2. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ავიასამოდელო ლაბორატორია
3. აჭარის ასსრ ნორჩ-ტექნიკოსთა საოლქო სადგურის გემთმოდელისტთა წრე
4. ქ. რუსთავის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ავიასამოდელო წრე
5. ქ. ქუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის გემთმოდელისტთა წრე
6. ქ. თბილისის 83-ე საშუალო სკოლის ავიამოდელისტთა წრე
7. ქ. ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის გემთმოდელისტთა წრე

### მეორე ხარისხის დიპლომით:

1. ქ. თბილისის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ავიამოდელისტთა წრე
2. ქ. ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ავიამოდელისტთა წრე
3. ს/ოსეთის ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის გემთმოდელისტთა წრე
4. მახარაძის რაიონის მერიის საშუალო სკოლის ავიამოდელისტთა წრე
5. ქ. ქუთაისის მე-12 საშუალო სკოლის გემთმოდელისტთა წრე
6. ხაშურის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ავიამოდელისტთა წრე
7. აჭარის ასსრ ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის რადიოსპორტული წრე
8. ახმეტის რაიონის დუისის საშუალო სკოლის გემთმოდელისტთა წრე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე ხარისხის დიპლომით:

1. ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ავიამოდელისტთა წრე

2. ქ. ქუთაისის მე-5 საშ. სკოლის ავიამოდელისტთა წრე

3. ქობულეთის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ავიამოდელისტთა წრე

4. ახმეტის მე-2 საშუალო სკოლის ავიამოდელისტთა წრე

3. ნორჩ ავიამოდელისტთა წრეების მუშაობაზე ნაყოფიერი ხელმძღვანელობისა და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში მნიშვნელოვანი წარმატების მოპოვებისათვის დაჯილდოვდნენ „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით განათლების დარგის შემდეგი მუშაკები:

ა) შმატკოვი რუდოლფი—ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ავიამოდელისტთა ლაბორატორიის გამგე

ბ) მოისწრაფიშვილი ჭოლა—მახარაძის რაიონის მერიის საშუალო სკოლის ავიაწრის ხელმძღვანელი

გ) სემიონოვი ოლეგ—ქ. თბილისის 83-ე საშუალო სკოლის ავიაწრის ხელმძღვანელი

4. პიონერ-მოსწავლეთა III საკავშირო რადიოთამაშობებში II საპრიზო ადგილის მოპოვებისათვის დაჯილდოვდნენ ნაკრები გუნდის წევრები: პ ი რ ვ ე ლ ი  პ რ ე მ ი ი თ (10 მანეთის ფასიანი საჩუქრითა და 1-ლი ხარისხის დიპლომით):

1. ლომთაძე თამაზ—ქ. თბილისის მე-100 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე

2. ქოქიაური გივი—ქ. თბილისის მე-12 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე

3. ირემაშვილი შოთა—ქ. თბილისის 30-ე საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე

4. ნალბანდიანი კონსტანტინე—ქ. თბილისის 66-ე საშუალო სკოლის IX კლისის მოსწავლე

5. შმელიოვა სვეტლანა—ქ. თბილისის I-ლი გახანგრძლივებული სკოლის VII კლასის მოსწავლე

5. რადიოსპორტსმენთა გუნდის მომზადების საქმეში ენერგიული მუშაობისათვის, რამაც განაპირობა საკავშირო შეჯიბრებაზე II-ო ადგილის მოპოვება ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის მუშაკებს—გუნდის მწვრთნელს ვიოლეტა შალვას ასულ ჯაფარიძეს

სა და გუნდის უფროსს როინ ირაკლის ძე ჩარგეიშვილს გამოეც-ხადოთ მადლობა და დაჯილდოვდნენ სიგელებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. სპორტის ტექნიკურ სახეობათა შეჯიბრებებში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ სიგელებით სკოლის და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებათა შემდეგი მუშაკები:

1. გვენცაძე ვასილ—ქ. რუსთავის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის დირექტორი

2. სტარინინი ვიტალი—ქ. რუსთავის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ავიამოდელისტთა წრეების ხელმძღვანელი

3. ვორობეიჩუკი იაკობ—ქ. თბილისის 83-ე საშუალო სკოლის დირექტორი

4. საყვარელიძე ვალენტინი—ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ავიამოდელისტთა წრის ხელმძღვანელი

5. შალამბერიძე გივი—ქ. თბილისის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ავიამოდელისტთა წრის ხელმძღვანელი

6. ბაღათურია რობერტ—ქ. ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ავიამოდელისტთა წრის ხელმძღვანელი.

7. ტაბიძე რევაზ—ქ. ქუთაისის მე-5 საშუალო სკოლის ავიამოდელისტთა წრის ხელმძღვანელი

8. ჭუმბურიძე სერგო—ქ. ქუთაისის მე-5 საშუალო სკოლის დირექტორი.

9. გობრონიძე შოთა—მახარაძის რაიონის მერიის საშუალო სკოლის დირექტორი

10. მოისწრაფიშვილი ჭოლა—მახარაძის რაიონის მერიის საშუალო სკოლის ავიამოდელისტთა წრის ხელმძღვანელი

11. გამგონიძე გიორგი—ხაშურის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორი

12. პოლიშუკი ალექსანდრე—ქ. თბილისის სამხატვრო-საწარმოო კომბინატის მხატვარ-გამფორმებელი—ავიამოდელისტთა შეჯიბრების მთავარი მსაჯი

13. ბერძენიშვილი უშანგი—დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის რადიოკლუბის უფროსის მოადგილე

14. მურადიანი გიორგი—ქარხანა ელექტროიზოლიტის ელექტრიკი—შეჯიბრების უფროსი მსაჯი

15. ჯაფარიძე შალვა—ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ავტომძღოლი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

16. ბალაკაშვილი მახმუდი—ახმეტის რაიონის დუისის საშუალო სკოლის გემთმოდელისტთა წრის ხელმძღვანელი

17. ფაფაზიანი სერგო—აჭარის ასსრ ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის გემთმოდელისტთა წრის ხელმძღვანელი

18. ჯიშკარიანი გენო—ქ. ქუთაისის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის გემთმოდელისტთა წრის ხელმძღვანელი

19. ბიტიევი ნიკოლოზ—ს/ოსეთის ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის გემთმოდელისტთა წრის ხელმძღვანელი.

20. ლავრენტიევი ანდრია—დოსააფის თბილისის კომიტეტის საზღვაო კლუბის უფროსის მოადგილე—გემთმოდელისტთა შეჯიბრების მთავარი მსაჯი

21. სალნიკოვი ანატოლ—დოსააფის თბილისის კომიტეტის საზღვაო კლუბის ინსტრუქტორი—გემთმოდელისტთა შეჯიბრების უფროსი მსაჯი

22. ვერხოვსკი სერგო—აჭარის ასსრ ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის რადიოსპორტული წრის ხელმძღვანელი

7. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ბაზაზე 1967 წელს ჩატარდეს რესპუბლიკური შეჯიბრებები სპორტის ტექნიკურ სახეებში

შეჯიბრებები მიეძღვნას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების 50 წლისთავს და ჩატარდეს შემდეგ ვადებში:

ა) ნორჩ რადიოსპორტსმენთა პირველი რესპუბლიკური შეჯიბრება — 1967 წლის 25-დან 28 მაისამდე

ბ) ნორჩ გემთმოდელისტთა IV რესპუბლიკური შეჯიბრება — 1967 წლის 27-დან 30 ივნისამდე

გ) ნორჩ ავტომოდელისტთა 1-ლი რესპუბლიკური შეჯიბრება — 1967 წლის 1-დან 4 ივლისამდე

დ) ნორჩ ავიამოდელისტთა XXXVI პირად-გუნდური რესპუბლიკური შეჯიბრება—1967 წლის 6-დან 10 ივლისამდე

8. სპორტის ტექნიკურ სახეებში შეჯიბრებების მაღალ დონეზე ჩატარების უზრუნველსაყოფად შეიქმნას საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. ბერიოზაშვილი ირაკლი—საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე—საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე.

2. ნიკოლაიშვილი თამაზ—საქართველოს სსრ განათლების სა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილე—საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

3. შევარდნაძე ალექსანდრე—დოსაავის რესპუბლიკური კომიტეტის განყოფილების უფროსი—საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

4. ტყეშელაშვილი შოთა—დოსაავის რესპუბლიკური კომიტეტის ავიასპორტკლუბის უფროსი—საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

5. ბაცელაშვილი ირაკლი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილების უფროსი

6. ოსტროვსკაია ვალენტინა—საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე

7. ორახელაშვილი ალექსანდრე—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი

8. ეპიტაშვილი გიორგი—ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორი

9. ლავრენტიევი ანდრია—დოსაავის თბილისის კომიტეტის საზღვაო კლუბის უფროსის მოადგილე

10. კიკნაძე გიორგი—ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის მეთოდისტი

11. ჩხაიძე ა.—დოსაავის რესპუბლიკური კომიტეტის ავტომოტოკლუბის უფროსი

12. შმატკოვი რუდოლფი - ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ავიალაბორატორიის გამგე

13. აშხარუმოვი ს.—დოსაავის რესპუბლიკური კომიტეტის ავიალაბორატორიის გამგე

9. ნორჩ რადიოსპორტსმენთა და ავტომოდელისტთა I, გემთმოდელისტთა IV და ნორჩ ავიამოდელისტთა XXXVI რესპუბლიკური შეჯიბრებების დებულებები დამტკიცდეს (თან ერთვის).

10. სპორტის ტექნიკურ სახეებში შეჯიბრებების ჩამტარებელმა საორგანიზაციო კომიტეტმა უხელმძღვანელოს შეჯიბრებების მომზადებასა და ჩატარებას და პერიოდულად მოამახსენოს შეჯიბრებებისათვის რაიონებისა და ქალაქების მზადყოფნის შესახებ.

11. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურმა სადგურმა (ამხ. გ. ეპიტაშვილი):

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) დროულად ჩაატაროს მოსამზადებელი მუშაობა და მოსწავლეთა ტექნიკური წრეები უზრუნველყოს საჭირო მეთოდური მასალებით;

ბ) სათანადო დახმარება გაუწიოს სკოლებსა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებში არსებული სპორტის ტექნიკური წრეების ხელმძღვანელებს შეჯიბრებების მოწყობაში;

გ) მიავლინოს სპეციალისტები რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში შეჯიბრებების მზადების პერიოდში სკოლებისათვის დახმარების გასაწევად, აღმოუჩინოს ქმედითი დახმარება ახლად ჩამოყალიბებულ ავიამოდელისტთა, რადიოსპორტული, გემთმოდელისტთა და ავტომოდელისტთა წრეებს;

დ) 1967 წლის მარტამდე ჩაატაროს ავიამოდელისტთა რადიოტექნიკური და ავტომოდელისტთა წრეების ხელმძღვანელთა 12-დღიანი სემინარპრაქტიკუმი, რომელთა სასწავლო გეგმებში გაითვალისწინოს სპორტის ტექნიკურ სახეებში შეჯიბრებების მომზადებისა და ჩატარების საკითხები;

ე) ა/წლის 25 დეკემბრამდე შეადგინოს და წარუდგინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველოს სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში მომუშავე ტექნიკური წრეების მუშაობისა და შეჯიბრებების ჩატარებისათვის აუცილებელი მასალებისა და ხელსაწყოების სია;

ვ) 1967 წლისათვის უზრუნველყოს სპორტის ტექნიკურ სახეებში მოქმედ მოდელთა აღწერილობების მომზადება და მათი მასობრივი ტირაჟით გამოშვება.

12. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, ს/ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) რვაწლიანი, საშუალო სკოლებისა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებათა დირექტორებს და ტექნიკური წრის ხელმძღვანელებს გააცნონ სპორტის ტექნიკურ სახეებში ჩატარებული რესპუბლიკური შეჯიბრებების შედეგები და 1967—68 სასწავლო წელს ჩასატარებელ ღონისძიებათა პირობები და უზრუნველყონ შეჯიბრებებში მოსწავლეთა ფართო მონაწილეობა;

ბ) შეჯიბრებების ჩატარებისას ზუსტად იხელმძღვანელონ არსებული პროგრამითა და დებულებებით;

გ) დებულების მიხედვით შექმნან ხელშემწყობი კომიტეტები და ადგილებზე ჩაატარონ შეჯიბრებები;

დ) მიიღონ გადამჭრელი ზომები, რათა სკოლებსა და სკოლის გარეშე საბავშვო დაწესებულებებში, სადაც დღემდე შექმნილი არაა სპორტის ტექნიკური წრეები, ჩამოაყალიბონ და ყოველმხრივ ხელი შეუწყონ მათ ნაყოფიერ მუშაობას;

ე) განემარტოთ რვაწლიანი, საშუალო სკოლების დირექტორებს და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, რომ სპორტის ტექნიკური სახეები შეტანილია რესპუბლიკურ და ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადის პროგრამაში და მასში მონაწილეობა სავალდებულოა ყველა რაიონისა და ქალაქისათვის.

13. მოსწავლეთა შორის რადიოსპორტის დანერგვისა და მისი ფართოდ განვითარების მიზნით, ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურთან ჩამოყალიბდეს მოსწავლეთა რადიოკლუბი.

14. ქ. ქ. თბილისისა და ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეების, ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო და საქალაქო სადგურებისა და პიონერთა სახლების დირექტორებმა გადამჭრელი ზომები მიიღონ სპორტის ტექნიკურ სახეებში წრეების შესაქმნელად, წრეების მუშაობისათვის შექმნან ნორმალური პირობები და მთელი მათი საქმიანობა დაუკავშირონ მომავალი შეჯიბრებების ამოცანებს.

15. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა კვაჭაძე):

ა) განიხილოს და წარმოადგინოს წინადადება ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის 1967 წლის ბიუჯეტში სპორტის ტექნიკურ სახეებში რესპუბლიკური შეჯიბრებების ჩატარებისა და მოქმედ მოდელთა აღწერილობების შედგენისა და დაბეჭდვისათვის საჭირო თანხის გამოყოფის შესახებ;

ბ) ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის რადიოკლუბის მეთოდისტის ერთი საშტატო ერთეულის გამოყოფის შესახებ.

16. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე):

ა) სპორტის ტექნიკური სახეების შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტის მოთხოვნათა მიხედვით გამოუყოს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს შეჯიბრებების საჭიროებისათვის მასალები, ხელსაწყოები და ინვენტარი;

ბ) სპორტის ტექნიკურ სახეებში მოქმედი მოდელების აღწე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რილობებისა და ნახაზების დაბეჭდვისათვის გამოუყოს ნორჩ ტექ-ნიკოსთა ცენტრალურ სადგურს 500 კილოგრამი საბეჭდი ქაღალდი.

17. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა პერიოდულად გააშუქონ სპორტის ტექნიკურ სახეებში წრეობრივი მუშაობა და შეჯიბრებებისათვის მზადების საკითხები.

18. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებამ (ამხ. ი. ბაცელაშვილი) ქმედითი დახმარება გაუწიოს შეჯიბრების ჩამტარებელ საორგანიზაციო კომიტეტს სპორტის ტექნიკურ სახეებში შეჯიბრებების მომზადებისა და ჩატარების საქმეში.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1966 წლის 23 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წ. 16 იანვრის ბრძანება № 40

## დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი მოსწავლეთა თვითნაკეთი სათამაშოების და გასართობების დამზადება-შედგენაზე 1-ლი რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების შესახებ

1. მიღებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენოსანი თბილისის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის წინადადება მოსწავლეთა თვითნაკეთი სათამაშოების და გასართობების შედგენა-დამზადებაზე, რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების შესახებ.

2. მოსწავლეთა თვითნაკეთი სათამაშოებისა და გასართობების I რესპუბლიკური კონკურსის დებულება დამტკიცდეს (თან ერთვის).

3. მოსწავლეთა თვითნაკეთი სათამაშოებისა და გასართობების შედგენა-დამზადებაზე 1-ლი რესპუბლიკური კონკურსის ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. ბერიზაშვილი ირაკლი—განათლების მინისტრის მოადგილე (თავმჯდომარე)

2. ხაჭაპურიძე ბარნაბი—თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და პედაგოგიკურ-მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ექსპერიმენტალური დიდაქტიკის ლაბორატორიის გამგე

3. ლორთქიფანიძე დავითი—თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, პედაგოგიკის კათედრის გამგე

4. ხარშილაძე იოსები—გორის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი—დაწყებითი სკოლის კათედრის გამგე

5. ჩხიკვაძე აკაკი—თბილისის განათლების განყოფილების გამგის მოადგილე

6. ოსტროვსკაია ვალენტინა—საქ. ალკკ ცკ-ის სასკოლო განყოფილების გამგის მოადგილე

7. კვარაცხელია ჯუანშერი—თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორი

8. დარსალია ქეთევანი—განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი

9. კობიაშვილი ეთერი—თბილისის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე

10. ბურჯანაძე კიკილო—თბ. ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის გასართობებისა და სათამაშოების კაბინეტის გამგე—(მდივანი)

11. ეპიტაშვილი გიორგი—ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორი

4. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლემ (ამხ. ჯ. კვარაცხელია):

მეთოდური ხელმძღვანელობა გაუწიოს კონკურსში ჩაბმულ მოსწავლეებს, სასახლის კაბინეტ-ლაბორატორიებს, პიონერულ რგოლებს, რაზმებს, რაზმეულებს და სკოლის გარეშე საბავშვო დაწესებულებებს, კრებულის ან პლაკატის სახით ადგილებზე საორიენტაციოდ დაგზავნოს სათამაშოების ნახაზები.

5. ვავალებ ნორჩ ტექნიკოსთა (ამხ. გ. ეპიტაშვილი), ნორჩ ნატურალისტთა (ამხ. შ. მანგიაშვილი) სადგურების, ესთეტიკური აღზრდის სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის (ამხ. ჯ. მუჯირი) დირექტორებს ჩაებან ამ კონკურსში და მეთოდურ-პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინონ სკოლებსა და სკოლის გარეშე დაწესებულებებს.

6. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებმა, ალკკ საოლქო, სარაიონო კომიტეტებთან ერთად:

ა) უზრუნველყონ სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებებისათვის კონკურსის პირობების გაცნობა და ამ საქმეში მოსწავლეთა ფართო მასების ჩაბმა;

ბ) მიიღონ ზომები საშუალო სკოლებში სათამაშოებისა და გასართობი ოთახების ან კუთხეების მოწყობისათვის.

7. რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორებმა დახ-

მარება გაუწიონ კონკურსში ჩაბმულ მოსწავლეებს სათამაშოების დამზადებისათვის საჭირო მასალებითა და ხელსაწყოებით უზრუნველყოფის საქმეში. მისცენ მათ საშუალება კლასგარეშე მუშაობის სახით იმუშაონ სასკოლო სახელოსნოებში შრომის მასწავლებლის ხელმძღვანელობით.

8. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. ღ. ჯავახია) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დებულება

მოსწავლეთა თვითნაკეთი სათამაშოების და გასართობების დამზადებაზე 1-ლ რესპუბლიკურ კონკურსს ატარებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო შრომის წითელი დროშის ორდენოსან თბილისის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ბაზაზე.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია რესპუბლიკის 8-წლიანი და საშუალო სკოლების მოსწავლეებს, პიონერულ რგოლებს, რაზმებს, რაზმეულებს, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების აღსაზრდელებს, ნორჩ ტექნიკოსთა და ნორჩ ნატურალისტთა სადგურებს, პიონერთა და მოსწავლეთა სახლებსა და სასახლეებს, პიონერთა და მოსწავლეთა კულტურისა და დასვენების პარკებს, პიონერთა რესპუბლიკურ, საქალაქო და რაიონულ ბანაკებს. (ნამუშევრების წარმოდგენა შეიძლება როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტიური სახით).

## კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია მოსწავლეთა შემოქმედებითი ფანტაზიის სტიმულირება, შრომითი ჩვევების დანერგვა, ტექნიკურ-გამომგონებლობისადმი ინტერესის გაღვივება, ნორჩი ავტორებისა და კონსტრუქტორების გამოვლინება, მხატვრული და ესთეტიკური გემოვნების განვითარება, ბავშვების მიერ ახალი საინტერესო სათამაშოების შექმნა და დამზადება.

## კონკურსის ორგანიზაცია

კონკურსი ტარდება 1967 წლის 20 იანვრიდან 1967 წლის 15 ოქტომბრამდე. კონკურსის ორგანიზაციისათვის საჭიროა ყოველი ქალაქის, რაიონის განათლების განყოფილებასთან შეიქმნას ხელშემწყობი რაიონული კომისია, რომლის შემადგენლობაში შეყვანილი უნდა იქნან: განათლების, კომკავშირის, პიონერული საბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქოების და სკოლის გარეშე დაწესებულებების წარმომადგენლები. სასურველია ამ კომისიების მუშაობაში ჩაბმული იქნენ უფროსი პიონერხელმძღვანელები, მასწავლებლები, მშობელთა კომიტეტისა და საშეფო ორგანიზაციების წარმომადგენლები. კონკურსის მოსამზადებელ პერიოდში რაიონული ხელშემწყობი კომისიები შეარჩევენ კონკურსის მონაწილე ბავშვებს, გაუწევენ მათ პრაქტიკულ დახმარებას თემების შერჩევასა და სათამაშოების ხარისხიანად დამუშავება-დამზადებაში.

მუშაობას შეაჯამებს რაიონის, ქალაქის განათლების განყოფილებასთან შექმნილი ხელისშემწყობი კომისია, მოაწყობს ადგილებზე პიონერთა და მოსწავლეთა სახლებში მოსწავლეთა მიერ დამზადებულ თვითნაკეთი სათამაშოების გამოფენას და 1967 წლის 1 ოქტომბრამდე გამოგზავნის ექსპონატებს თბილისის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში.

## კონკურსის თემატიკა

კონკურსზე შეიძლება წარმოდგენილი იქნეს: ყურადღების, მეხსიერების, დაკვირვების, თვალზომის და კუნთების სავარჯიშო სათამაშოები; ახალი ტექნიკური მიღწევების ამსახველი სათამაშოები; ზღაპრების, გამოცანების, იგავ-არაკების და სხვა მასალებზე შედგენილი სახალისო და სათავგადასავლო თავშესაქცევები; ხალხური გასართობებისა და თამაშობების შინაარსის ამსახველი სათამაშოები; ჩვენი ქვეყნის ხალხთა მრავალფეროვანი კულტურული ცხოვრების ამსახველი სათამაშოები; გასართობები — სახალისო ქიმიიდან, ფიზიკიდან, გეოგრაფიიდან, მათემატიკიდან, ისტორიიდან, ლიტერატურიდან, მშობლიურ და უცხო ენებიდან, ბიოლოგიიდან; სათამაშოები ცხოველთა და მცენარეთა სამყაროდან.

თემატიკის შესაბამისად დამზადებული ნამუშევრები შეიძლება წარმოდგენილი იქნეს შემდეგი სახის: სამაგიდო, თავსატეხის, სამაგიდო-სპორტული, სურათი-გამოცანა, კედლის სათამაშო, ატრაქციონული ხასიათის ეზოს სათამაშო, ფანქრით თამაშის ლოტო და სხვ. შესაძლებელია აგრეთვე წარმოდგენილი იყოს ორიგინალურ სათამაშოთა პროექტი ნახაზის ან მაკეტის სახით.

სასურველია ნორჩმა ავტორებმა ყურადღება მიაქციონ ელექტროფიცირებული და მექანიზირებული სათამაშოების დამზადებას დასაშვებია სათამაშოს არსებული ესკიზის მიხედვით დამზადება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან სათამაშო უნდა იყოს ლამაზად, სუფთად გაკეთებული, გამძლე და ხმარებაში მოსახერხებელი.

ყოველ სათამაშოს უნდა ახლდეს თამაშის წესი. სათამაშოები შეიძლება დამზადდეს: ხის, ლითონის, მუყაოს, პარალონის, პლასტმასის და სხვა მასალისაგან.

აღნიშნული თემატიკა არ ამოწურავს სათამაშოების მრავალსახეობას, არ ზღუდავს კონკურსის მონაწილეთა ნება-სურვილებს და ფანტაზიას.

1967 წლის ოქტომბერში თბილისის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში ჩატარდება „თამაშის კვირეული“ და რესპუბლიკური კონკურსის შემაჯამებელი გამოფენა. კონკურსში გამარჯვებული საუკეთესო ნორჩი ავტორები გამოძახებულნი იქნებიან „თამაშის კვირეულზე“ და რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი იქნებიან განათლების სამინისტროში დიპლომებით, ფასიანი საჩუქრებით და საგზურებით დასაჯილდოებლად.

**შენიშვნა:** სათამაშოები გამოიგზავნება შემდეგი მისამართით: თბილისი, რუსთაველის გამზირი № 6, თბილისის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის გასართობებისა და სათამაშოების კაბინეტი.

ყოველ ნაშრომზე უნდა იყოს მიწერილი ნორჩი ავტორის, შემდგენელის გვარი, სახელი, მამის სახელი, ზუსტი მისამართი, რაიონი, სოფელი, სკოლა, კლასი, თარიღი და ხელმძღვანელის ხელის მოწერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შ ი ნ ა ა რ ს ი

გვ.

1. დადგენილება—საქართველოს სსრ მოსწავლეთა XVIII რესპუბლიკური სპარტაკიადისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების მოსწავლეთა მეგობრულ თამაშებში საქართველოს ნაკრები გუნდების მონაწილეობის შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 3

2. დადგენილება—1965—1966 სასწავლო წელს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა სამუშაოზე მოწყობის მიმდინარეობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . 12

3. ბრძანება № 1426—1966 წლის II, III და IV კვარტალში განათლების სამინისტროში შემოსული მშრომელთა განცხადება-საჩივრების განხილვის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . 15

4. ბრძანება № 1485—ვანის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . 21

5. მოხსენებითი ბარათი ვანის რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . 24

6. ბრძანება № 1491—ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ესთეტიკური აღზრდის მდგომარეობისა და მის შემდგომ გაუმჯობესებაზე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . 40

7. ბრძანება № 1498—მე-15 რესპუბლიკური კონკურსის „ნორჩი ტექნიკოსები—სამშობლოს" შედეგებისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ბავშვთა ტექნიკური შემოქმედების საკავშირო დათვალიერებაში მონაწილეობის შესახებ . . . . . . . 52

8. დებულება მოსწავლეთა მხატვრული ნამუშევრების რესპუბლიკური კონკურსისა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 81

9. ბრძანება № 6—საგარეჯოს მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . 84

10. ბრძანება № 17—1966 წელს ქალაქებსა და რაიონებში სასკოლო შენობების კაპიტალური რემონტის ჩატარების შედეგების შესახებ . . . . . 90

11. ბრძანება № 31—ქ. ჭიათურისა და თიანეთის რაიონის ზოგიერთი სასკოლო ბიბლიოთეკის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . 96

ეროვნული
ბიბლიოთეკა

12. ბრძანება № 32—სპორტის ტექნიკურ სახეებში რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში მოსწავლეთა სპორტული კოლექტივების შედეგებისა და 1967 წელს საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებისათვის მზადების შესახებ . . . 100
13. ბრძანება № 40—დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი მოსწავლეთა თვითნაკეთი სათამაშოების და გასართობების დამზადება-შედგენაზე 1-ლი რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 113